ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

19 თებერვლიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა სამტომეულის
მეორე ტომი
8 ლარი




სამშაბათი, 19 თებერვალი, 2013 №41 (6042) ფასი: 30 თეთრი

# თეა წულუკიანი: „გიორგი ვაშაძე, თქვენ ხართ ერთი პრანჭია კაცი“



გვ.3

## გოგა ხაჩიძე: „ნაციონალურ მოძრაობაში აღმოჩნდნენ ვირთხები“

გვ.4





## კასპის პოლიციის ამფეთქებელი დააკავეს

გვ.4

## ბიძინა ივანიშვილი: „კონსტიტუციას დახვეწა და ჭკუაზე მოყვანა სჭირდება“

გვ.3





გვ.2

## მამუკა არეშიძე: „კოჰაბიტაციას წყალი აქვს შეყენებული!“



## ქართული პოლიტიკური ელ კლასიკო

ანუ როდემდე ითამაშებენ მარტო ოცნება და ნაცმოძი

გვ.4

„ახალი თაობა“
+
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები
ტომი 1
ამერიკული ზღაპრები
6 ლარი




9 771987 938006

**7** ნიკოლოზ მჟავანაძე: „ახალი ხელისუფლება უგერგილოდ იქცევა“

**5** ალექსანდრე ალადაშვილი: „მოსამართლე ბესარიონ ალავიძე იურისტი არ არის!“

**2** ეროვნული ბანკი მოსახლეობას აფრთხილებს

**5** რა საფრთხეს უქმნის ლილოს ნაგავსაყრელი თვითმფრინავებს

# მამუკა არეშიძე: „კოჰაბიტაციას წყალი აქვს შეყენებული!“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ექსპერტ კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან

*— ბატონო მამუკა, როგორია თქვენი, როგორც ექსპერტის შეფასებები ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით? თითქოსდა მიმდინარეობს კონსულტაციები კონსტიტუციასთან დაკავშირებით და ამავდროულად საკმაოდ მწვავე დაპირისპირებაა უმრავლესობასა და უმცირესობას შორის... რამდენად არის შესაძლებელი, რომ მოხდეს შეთანხმება, კოჰაბიტაცია?*

— კოჰაბიტაცია, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდება. ვინც მოახდინა ამ ტერმინის პრეზენტაცია, დღევანდელმა ოპოზიციამ, ნაციონალური მოძრაობის სახით, ერთი ხელით კოჰაბიტაცია შესთავაზა საზოგადოებას, მეორე ხელით ცდილობს რევანში აიღოს. ანუ, აქ ლაპარაკი იმაზე, გამოიყენოს პოლიტიკური სიტუაცია იმისთვის, რომ მომავალ არჩევნებზე გაიმარჯვოს, ამაზე არ არის ლაპარაკი, ეს თავისთავად ლოგიკური იქნებოდა და ვერავინ ვერ გაამტყუნებდა. მე შემიძლია გითხრათ, რომ პრინციპში საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დონეზე მიმდინარეობს მომზადება იმისთვის, რომ ზუსტად მოხდეს რევანში და რაც შეიძლება მალე. აქედან გამომდინარე კოჰაბიტაციას წყალი აქვს შეყენებული და ვერანაირი კოჰაბიტაცია ვერ შედგება. თუნდაც ავიღოთ ისეთი ძალიან მარტივი მაგალითი, როგორიც არის საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ბოლოს და ბოლოს ვერ ხვდება, ზუსტად რა ხდება, იმიტომ, რომ ხან ერთი მხარე ცდილობს ტაქტიკური სვლა გააკეთოს, ხან — მეორე. თუმცა ამ კონსტიტუციური ცვლილებების კონტექსტში არის ძალიან „საინტერესო“ იდეა, რომელიც წამოაყენა ნაციონალურმა მოძრაობამ, ეს არის კონსტიტუციაში შეტანა, საქართველოს ნატოში სავალდებულო გაწევრიანებაზე. აი, ეს იდეა, ელემენტარულად, თვალთმაქცობაა. ჯერ ერთი, თუ ამის გამკეთებლები იყვნენ, როდესაც თვითონ იყვნენ ხელისუფლებაში, თვითონ გაეკეთებინათ ეს. მეორეც, ძალიან კარგად იციან, რომ ამ ნაბიჯით ნაციონალური მოძრაობა შემდეგის დემონსტრირებას ახდენს, რომ მას თავისი საზოგადოების არ სჯერა. არც დღევანდელი ხელისუფლების და ეს გასაგებიც არის, მაგრამ არც საზოგადოებისა. ხალხის არ სჯერა, რომ ხალხი არ გადადგამს სხვა ნაბიჯს და არ შეცვლის ორიენტაციას. ის უბრალოდ ეუბნება ხალხს, რომ მე თქვენი არ მჯერა და ამიტომ ეს კონსტიტუციაში უნდა შევიტანოო.

*— ეს რამდენად სწორი დამოკიდებულებაა საკუთარ ხალხთან?*

— მე თუ მკითხავთ, ეს არის ერთგვარი ცინიზმი. თუ გადავავლებთ ნაციონალური მოძრაობის მოქმედებას თვალს მთელი ამ წლების განმავლობაში, დავინახავთ, რომ ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდება. თუ გახსოვთ, ერთი პერიოდი ისინი ჰპირდებოდნენ ხალხს, რომ აღადგენდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას სარკოზის 13 აგვისტოს დოკუმენტის მიხედვით. ეს დოკუმენტი თავისთავად ძალიან საინტერესოა და ადამიანი რომ ჩაუღრმავდეს, მიხვდება, რომ ასე მარტივად არ არის საქმე.

*— რას გულისხმობთ?*

— მაგალითად, ამ დოკუმენტის მიხედვით, ერთ-ერთი პუნქტი გულისხმობს, რომ მდგომარეობა უნდა აღდგეს 7 აგვისტოს მიხედვით. 7 აგვისტოს რა ხდებოდა? 7 აგვისტოს იდგა სამშვიდობო ჯარები სამხრეთ ოსეთის და საქართველოს ზოგიერთ ტერიტორიაზე, ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა თავიანთ სოფლებში, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ცნობდა რუსეთი და საქართველო შედიოდა დსთ-ს შემადგენლობაში. ე.ი. ეს ყველაფერი რომ აღდგეს, საქართველო უნდა შევიდეს დსთ-ს შემადგენლობაში. ასე გამოდის, არა? თუ ყველაფერი უნდა აღდგეს, მაშინ საქართველო დსთ-ში უნდა დაბრუნდეს. ე.ი. როდის თვალთმაქცობდა ნაციონალური მოძრაობა, მაშინ, როცა საქართველოს უკან მიათრევდა დსთ-ში, თუ დღეს, როდესაც ამბობს, რომ გინდა თუ არა, ნატოში უნდა შევიდეთ და კონსტიტუციურად უნდა გავაფორმოთ ეს ყველაფერიო. აი, ეს კითხვათა კითხვაა, რომელზეც პირადად მე პასუხი არა მაქვს.

*— ნაციონალებს როგორც აწყობთ და როგორც სჭირდებათ, იმის მიხედვით იქცევიან...*

— დიახ, როგორც სჭირდებათ, იმის მიხედვით იქცევიან, მაგრამ აბსოლუტურად არ უწევენ აზრს შექმნილ რეალობას, არც იმას არ უწევენ აზრს, რას ფიქრობს ამასთან დაკავშირებით ხალხი, ცდილობენ, რომ მოატყუონ და შეცდომაში შეიყვანონ. ახლა ვიღაცა გამომედავება, რომ სარკოზის დოკუმენტში არსად არ წერია, რომ დსთ-ში უნდა დაბრუნდეს საქართველო. კი ბატონო, არ წერია, მაგრამ არც ის არ წერია, რომ ქართველი მოსახლეობა სახლებში უნდა დაბრუნდეს, სამშვიდობო ჯარები ისევ იქ უნდა იდგეს და რუსეთმა უნდა აღიაროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ეს ყველაფერი იგულისხმება დოკუმენტის მიხედვით. იმიტომ, რომ ამ დოკუმენტის შექმნის შემდეგ რუსეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა ამ ორი რეგიონის და შემდეგ უკვე საქართველო გავიდა დსთ-დან. თუ აღდგენაზეა ლაპარაკი, მაშინ ყველაფერი უნდა აღდგეს. რაც შეეხება დღევანდელ საკონსტიტუციო



ცვლილებებს, ისევ ისე ხდება, კონიუნქტურიდან გამომდინარე აწარმოებს ამ კამპანიას ნაციონალური მოძრაობა. მმართველი ძალის უარის შემთხვევაში ამ საკონსტიტუციო ცვლილებასთან, ცდილობს, რომ მსოფლიოს დაანახოს, რომ არიქა, საქართველოს აღარ უნდა დასავლეთთან ურთიერთობა და რუსეთისკენ გადაიხარა და აი, ამ მცირე მოგებისათვის მზად არის, საქართველოს პოლიტიკური მანევრის საშუალება დაუკარგოს. ანუ თავისი პატარა მოგებისთვის, საქართველოს დიდ მოგებას აკარგვინებს. აი, ასეთი რამ ხდება. ამ ფონზე რა კოჰაბიტაციაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როდესაც საქართველოს ინტერესები მეორეხარისხოვანი ხდება ოპოზიციური ძალისთვის და მთავარი, საკუთარი ვიწრო პარტიული ინტერესებია. ასე რომ, ამ კითხვაზე შემიძლია ასე გიპასუხოთ, რომ არავითარი კოჰაბიტაცია არ შეიძლება შედგეს, მიუხედავად ჩვენი დასავლელი პარტნიორების დიდი მცდელობისა.

*— თანაც ამ ფონზე გაჩაღებულია დიდი მუშტი-კრივი...*

— მუშტი-კრივს რაც შეეხება, მე ძალიან არ მომწონს ის, რაც ხდება; არ მომსწონს ის, რაც 8 თებერვალს მოხდა; ის, რაც მაესტროს ტელესივრცეში მოხდა, მაგრამ მე არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ძალადობა შობს ძალადობას! როდესაც მე ვხედავ ტელეეკრანზე ჩიორა თაქთაქიშვილის სისხლიან სახეს, ეს ნამდვილად არ მიხარია, დარწმუნებული იყავით, მით უმეტეს, რომ ეს კარგად გამოიყენეს ნაციონალური მოძრაობის ლობისტებმა და სიენენზე და ბიბისის ეკრანებზე გაუთავებლად იყო ჩიორას სისხლიანი სახე. მაგრამ მე არ მავიწყდება, როგორ სცემეს ეკა მათიაშვილი, მაგალითად, ვეტერანების აქციის დარბევის დროს. ამას ხაზს ვუსვამ, რადგან ასეთი მაგალითები ქალების ცემისა, რაც ჩემ თვალწინ ხდებოდა, მაგალითად, 2007 წლის 7 ნოემბერს, უამრავი იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ხაზს ვუსვამ ამას, უწყინარ აქციას აწყობდნენ ვეტერანები და ეკა მათიაშვილს, რომელიც ერთ-ერთის მეუღლე იყო, თავპირი გაუერთიანეს.

*— თუმცა მაშინ არ ამტყდარა ამაზე ერთი ამბავი...*

— დიახ, ამაზე მაშინ ხმა არავის ამოუღია. ასევე ჩემ თვალწინ მოხდა, როდესაც გეგეჭკორმა ხელი გაარტყა ვერსიის ჟურნალისტ გოგონას და კიბიდან ჩააგდო. მაშინაც არანაირი რეაქცია არ ჰქონია არავის. მე ვგულისხმობ ხელისუფლებისგან და დღეს ქვეყანა გადადგეს, აი, ნახეთ, რა მოხდა და მერე ლოგინიდან ვერ ააყენეს ჩიორა თაქთაქიშვილი. სწორედ ამას გეუბნებით, ეს საშინელებაა, რაც მოხდა, მაგრამ ძალადობა შობს ძალადობას. როცა სხვებს სცემდნენ, მაშინ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ხმას არ იღებდნენ, მაგალითად, კობა დავითაშვილს, დათო საგანელიძეს, ვალერი გელაშვილს და სხვა დეპუტატებსაც. მე ის კადრებიც ძალიან კარგად მახსოვს, თბილისის საკრებულოს დეპუტატებს რომ სცემეს მოყვანილმა ზონდერ ჯგუფებმა. მაშინ არაფერი და ახლა ქვეყანა შეყარეს და 37 წელი, სისხლიანი რეჟიმი და ასეთ რაღაცებს იძახიან. ასე რომ, ძალადობა შობს, სამწუხაროდ, ძალადობას, ეს არის აქსიომა და შესაბამისად ვიღებთ ძალიან უარყოფით სურათს. საქმეში ჩაუხედავი ჩვენი დასავლელი პარტნიორები იქნებიან თუ მეგობრები, ისინი, რასაკვირველია, აღიქვამენ მხოლოდ სურათს და არა არსს და შესაბამის შეფასებას აძლევენ. ახლა ირაკლი კაკაბაძე ავრცელებს ინფორმაციას, რამდენად მართალია ჩემთვის რთული სათქმელია, რომ მზადდება კანონპროექტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის მიხედვითაც არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს სერიოზული სანქციები დააკისრონ.

*— დიახ, ეს ინფორმაცია ჩემთვისაც ცნობილია...*

— რამდენად მართალია, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ ეს იქნება კატასტროფა ქვეყნისათვის, ძალიან მძიმე შედეგები ექნება და ამას აკეთებენ ნაციონალური მოძრაობის ლობისტები. ეს ყველაფერი საზოგადოებამ კარგად უნდა გაიგოს. როგორც ახლა, მაგალითად, მე მაქვს უტყუარი ცნობები იმის თაობაზე, რომ გლდანი-ნაძალადევის ზონაში დაძრწიან ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები და მოსახლეობას თავში უდებენ იმას, ჩინური ქალაქი რომ შენდება თბილისის ზღვაზე, ეს არის დღევანდელი ხელისუფლების ინიციატივა. ამ საკითხს აყენებენ ასე, გაკვირვებული მოქალაქეების კითხვაზე, ეს ხომ თქვენს დროს დაიწყოო, პასუხობენ, კი, ჩვენს დროს დაიწყო, მაგრამ ჩვენ ეს ქალაქი გვინდოდა, როგორც მინიქალაქი სოციალურად დაუცველებისთვის და ლტოლვილებისთვის და ამათ ჩინელები ჩამოჰყავთო. როგორც თვითონ სჭირდებათ, ისე ლაპარაკობენ, არც ტყუილს ერიდებიან, არც თვალთმაქცობას, ოღონდ თავის პოლიტიკურ ინტერესებს მიაღწიონ. საქართველოს მდგომარეობა, დღევანდელი თუ ხვალინდელი, აბსოლუტურად ფეხებზე ჰკიდიათ.

*— ეს რამდენად საშიშია?*

— საშიშია, რასაკვირველია. ის რაც მოხდა 8 თებერვალს, ახლა ამაზე რამდენიც არ უნდა მელაპარაკონ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა, რომ ორგანიზებული იყო ხელისუფლების მიერ, პირიქით, ხელისუფლების წისქვილზე ეს წყალს არ ასხამდა არანაირად. რამდენად იდიოტები უნდა იყვნენ, ვერ ხვდებოდნენ, რომ როგორ უნდა მაწყობდეს მე ექსცესი, ხელისუფლებას, როდესაც იქ არიან დიპკორპუსის მთელი წარმომადგენლები. ლოგიკური არ არის ეს. პირიქით, შევეცდები, რომ მაქსიმალურად რბილად ჩავატარო ეს ყველაფერი, რომ არ მოხდეს არეულობა. რაც მოხდა, აბსოლუტურად სპონტანური იყო და აბსოლუტურად საზოგადოების წიაღიდან წამოვიდა ეს აგრესია. ეს წამოვიდა სწორედ იმიტომ, რომ ხალხს მობეზრდა ეს გაუთავებელი ტყუილები ნაციონალური მოძრაობისა და თან ის უსამართლობა, რომელიც წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში სუფევდა. მე ამას ვწინასწარმეტყველებდი, ჯერ კიდევ ადრე, რომ თუ სამართლიანობის აღდგენის პროცესი არ იქნება ფორსირებული, თუ ნაციონალურმა მოძრაობამ ვერ მოახერხა თავის ჩარჩოში მოქცევა და ისევ მოინდომა პუბლიკაზე თამაში, მაშინ ასეთი რაღაცეები მოხდება. ის რომ სამართლიანობის აღდგენა არ ხდება იმ ტემპებით და იმ მასშტაბით, როგორც ეს საჭიროა, მე ამას არც დავმალავ და პირდაპირ ვამბობ.

*— ეს რეიტინგებზეც ხომ არ აისახა? ცოტა დაკლებულია ოცნების რეიტინგი...*

— რასაკვირველია, რეიტინგებზეც აისახება ეს ყველაფერი და ამიტომაც დაიწია პოპულარობამ ქართული ოცნების. პირველი იმიტომ, რომ ქართული ოცნება თავისი გაკეთებული საქმის საზოგადოებამდე მიტანას ვერ ახერხებს. ვერც საინფორმაციო თვალსაზრისით და ვერც საორგანიზაციო თვალსაზრისით. საორგანიზაციო თვალსაზრისით გასაგებია, იმიტომ, რომ რეგიონებში ჯერ დიდი უმრავლესობით ხელისუფლებაში კვლავ ნაციონალები არიან, საინფორმაციო თვალსაზრისით ხომ შეუძლიათ ამის გაკეთება? ამასაც ვერ ახერხებენ. ეს ძალიან ცუდია. რაც შეეხება ძალოვან სტრუქტურებში შექმნილ მდგომარეობას, რამდენიმე დღის წინ არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, რომ პროკურორები იძულებულები იყვნენ ის შეესრულებინათ, რასაც ასრულებდნენ. აქედან გამომდინარე მათ უნდა შევუნდოთ, რადგან ისინი იძულებულები იყვნენ და ამაზე არ უნდა გავამახვილოთ ყურადღებაო. ჩემი მეგობარი პროკურორები კი, რომლებიც ახლა მივიდნენ სამსახურებში, მეუბნებიან, რა ვქნა, როგორ მოვკიდო საქმეს ხელი, როგორ დავიწყო საქმეზე მუშაობა, როდესაც ამ საქმის გამფუჭებელი და ამ საქმეში დამნაშავე და ძიების არასწორად წარმმართველი გვერდით მაგიდაზე მიზის? აი, ამაშია საქმე, არანაირ შენდობაზე არ შეიძლება ლაპარაკი, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. მე არ ვამბობ, რომ მაინცდამაინც ყველანი ციხეებში უნდა წავიდნენ, არავითარ შემთხვევაში, მაგრამ სუფთა პროფესიული შეფასება უნდა მიეცეს და, შესაბამისად, უნდა იქნას ის ადამიანი დათხოვილი თუ არა გაწვეული მაინც ამ საქმეებისგან. თუ გვყავს ქვეყანაში ორასამდე პოლიტპატიმარი, ე.ი. გვყავს ორასამდე სისხლის სამართლის დამნაშავე პროკურორი, რომელმაც ეს ხალხი უკანონოდ გაუშვა ციხეში. ეს ხომ ლოგიკაა, მაშინ რატომაა ის ადამიანი პოლიტპატიმარი? აი, ამანაც იმოქმედა ამ რეიტინგის დაცემაზე. მე ვშიშობ, რომ ექსცესების რიცხვი შეიძლება გაიზარდოს. მე არ ვიცი, ზუსტად რა მოხდება, არიან ოჯახები, რომლებიც ნაციონალებმა მთლიანად გაანადგურეს და ციხიდან გამოსვლის შემდეგ ამ ადამიანმა უცებ, სადმე რომ დაინახოს ის, ვინც მას ეს გაუკეთა და მის წინააღმდეგ ძალა გამოიყენოს, ეს მე არ გამიკვირდება. სახელმწიფოს სიძლიერე მდგომარეობს იმაში, რამდენად ორგანიზებულად ხდება კანონის დაცვა და როგორია სამართლიანობის ხარისხი ქვეყანაში. 9 წლის განმავლობაში რაც ხდებოდა ქვეყანაში, ეს არის შეკუმშული ზამბარა, რომელიც არასწორი მოქმედების შემთხვევაში, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება გაიშალოს და რა მოხდება, კაცმა არ იცის.

## ეროვნული ბანკი მოსახლეობას აფრთხილებს

საქართველოს ეროვნული ბანკი მოსახლეობას, ეროვნული ბანკის მიერ არარეგულირებად ინსტიტუტებში თანხის დაბანდების დროს, სიფრთხილის გამოჩენისკენ მოუწოდებს. „ბოლო პერიოდში ქართული მედიასაშუალებების სარეკლამო სივრცეში გამოჩნდა კომპანიები, რომლებიც წარმოებული ინტენსიური სარეკლამო კამპანიის საშუალებით, მოსახლეობას მოკლე ვადაში ბაზრისათვის არაადექვატურად მაღალი სარგებლის მიღებას სთავაზობენ. მაღალია ალბათობა იმისა, რომ ისინი, ფიზიკური პირებისაგან მოზიდულ სახსრებს საკმაოდ რისკიან აქტივებსა თუ ბიზნეს საქმიანობაში აბანდებენ. უმეტეს შემთხვევაში კი მათი მოქმედება „ფინანსური პირამიდის“ კლასიკური მოდელის ნიშნებსაც შეიძლება ატარებდეს. უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მსგავსი ტიპის კომპანიები არ კონტროლდება ეროვნული ბანკის მხრიდან, შესაბამისად, მათზე არ ვრცელდება საზედამხედველო ნორმები და სანქციები. ამიტომ, ეროვნული ბანკი მიმართავს მოქალაქეებს და მოუწოდებს მათ, რომ მეტი სიფრთხილით მოეკიდონ საკუთარი სახსრების განთავსებას ეროვნული ბანკის მიერ არარეგულირებად ინსტიტუტებში. ხოლო რისკის თავიდან აცილების მიზნით, წინასწარ მოიძიონ ინფორმაცია აღნიშნული კომპანიების საქმიანობისა და გადამხდელუნარიანობის მდგომარეობის შესახებ“ — ნათქვამია ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ნიუსპრესი

## არმია ქართული წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგდება

ქართული ჯარი საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციით მომარაგდება. თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მათ მიერ გამოცხადებული ტენდერების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ქართული პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა იქნება.

მაისიდან წლის ბოლომდე, ქართული ჯარის კვების მომსახურებაზე გამოყენებული ადგილობრივი საკვები პროდუქტების მთლიანი ღირებულება 15%-დან 45%-მდე გაიზრდება. სამხედრო მოსამსახურეები კი, ჯანსაღი კვებით უზრუნველყოფილნი იქნებიან როგორც სასადილოში, ასევე საველე პირობებში.

ამ საკითხთან დაკავშირებით დღეს, თავდაცვის სამინისტროში თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ ერთობლივი ბრიფინგი გამართეს. მინისტრების განცხადებით, 2014 წლის 31 დეკემბრამდე ქართული პროდუქტის ხვედრითი წილი მინიმუმ 55%-მდე გაიზრდება. დღეიდან თავდაცვის სამინისტროს მიერ, საქართველოს სხვადასხვა რაიონში განლაგებული სამხედრო ნაწილების მომსახურეთა კვებით უზრუნველყოფის შესყიდვის მიზნით, ტენდერი ოთხი რეგიონის მიხედვით ცხადდება. ტენდერში გამარჯვებულმა ქართველი სამხედრო მოსამსახურეები დღეში სამჯერადი, ნორმირებული, ჯანსაღი საკვებით უნდა უზრუნველყოს.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## დავით უსუფაშვილი ჰელენ კლარკს შეხვდა

საქართველოში სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით მყოფმა გაეროს განვითარების პროგრამის ადმინისტრატორმა ჰელენ კლარკმა, გუშინ პირველი შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან დავით უსუფაშვილთან გამართა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, რომელიც თბილისის იუსტიციის სახლში გაიმართა, პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს შეხვედრა მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსა და იმ სტრატეგიის განვითარებისათვის, რომელიც ქვეყანას მიზნად აქვს დასახული.

„ჩვენ ვისაუბრეთ საქართველოს პარლამენტში გასახორციელებელ პროექტებზე. პარლამენტს სჭირდება მეტი ცოდნა, გამოცდილება და სათანადო ინსტრუმენტები, რომ თავისი ფუნქციები სრულყოფილად შეასრულოს. ჩვენ ასევე ვისაუბრეთ ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობაზეც, იმაზე, თუ როგორ დავაღწიოთ თავი მშვიდ ვითარებაში გარდამავალ პერიოდს და შევძლოთ იმ პოლიტიკის გატარება, რომელიც ხალხისთვის სასარგებლო იქნება"-განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

ჰელენ კლარკი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი უმაღლესი ოფიციალური პირია და გაეროს განვითარების ჯგუფს თავმჯდომარეობს, რომელიც გაეროს ყველა ფონდის პროგრამისა და დეპარტამენტის ლიდერებს აერთიანებს.

1999-2008 წლებში ჰელენ კლარკი, სამი წარმატებული ვადის მანძილზე ახალი ზელანდიის პრემიერ მინისტრი იყო. სწორედ მისმა მთავრობამ მიაღწია ახალი ზელანდიის მნიშვნელოვან ეკონომიკურ წინსვლას, ცხოვრების დონის საყოველთაო ამაღლებას და განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების განვითარებას.

**ნიუსპრესი**

## თეა წულუკიანი: „გიორგი ვაშაძე, თქვენ ხართ ერთი პრანჭია კაცი"

**ნათია ხურცილავა**

არასამათავრობო სექტორის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე პრემიერ-მინისტრმა და მინისტრთა კაბინეტის წევრებმა 100-დღიანი მუშაობა შეაჯამეს.

ხელისუფლებამ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან ძირითადად კრიტიკა თვითმმართველობებში მიმდინარე პროცესებთან და საჯარო სამსახურებიდან კადრების გათავისუფლებასთან დაკავშირებით მიიღო.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა განცხადებით, ხელისუფლებამ აღნიშნული შენიშვნები გულდასმით მოისმინა.

სამოქალაქო სექტორის მიერ ორგანიზებულ კონფერენციას პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი, მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი, ადამინის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, უმცირესობის წარმომადგენლები დავით საყვარელიძე, გიორგი ვაშაძე, გიორგი კანდელაკი ესწრებოდნენ.

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საპარლამენტო უმცირესობას 8 თებერვლის მოვლენებთან დაკავშირებით გამოძიებასთან თანამშრომლობისკენ მოუწოდებს.

ღარიბაშვილმა სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" მიმდინარე კონფერენციაზე არასამთავრობო სექტორის კრიტიკის კომენტირებისას განაცხადა:

– მე არაერთხელ განვმარტე უკვე დეტალურად, თუ რასთან გვქონდა საქმე რეალურად 8 თებერვალს. სამწუხაროდ, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური სათანადო ფორმით მომზადებული არ იყო, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით ჩვენ შეტყობინება ზუსტად დღის 15:00 საათზე მივიღეთ, რის შემდეგაც მე იქ გავგზავნე 200 პოლიციელი. ჩვენ უზრუნველვყავით ორი ალტერნატიული შესასვლელის გაკეთება, რის შესახებაც პირადად მე ვაცნობე უშიშროების საბჭოს მდივანს. აქვე გეტყვით, რომ საპატრულო პოლიციას მუდმივი კონტაქტი ჰქონდა სამთავრობო დაცვასთან. სამწუხაროდ, 8 თებერვალი პოლიტიკური სპეკულირების თემად გადაიქცა. საპარლამენტი უმცირესობა დაკითხვაზე მისვლაზე უარს აცხადებს, ისინი უარს ამბობენ ითანამშრომლონ გამოძიებასთან. – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ღარიბაშვილის თქმით, ის მზად არის, მიიღოს ნებისმიერი კრიტიკა და შენიშვნა, რომელიც ობიექტური და ჯანსაღი იქნება.

მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის განცხადებით, ფაქტები, რომლებიც სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის თენგიზ გუნავას ოფიციალურ სისხლის სამართლის საქმეშია ასახული, სინამდვილეს არ შეესაბამება.

– შინაგან საქმეთა მინისტრმა როგორც განაცხადა, მან დაითხოვა პოლიციელები. ჩვენ დავასრულეთ გამოძიება იმ პრეტენზიებთან, რომელიც გუნავას ნარკოტიკისა და იარაღის ჩადებასთან დაკავშირებით აქვს.



ფაქტები დადგენილია, საჭიროა სამართლებრივი შეფასების გაკეთება. ამ ეტაპზე შემიძლია ვთქვა, რომ ის ფაქტები, რომლებიც გუნავას მიმართ ოფიციალურ სისხლის სამართლის საქმეშია ასახული, სინამდვილეს არ შეესაბამება და იქ ფაქტების აღრიცხვა დამახინჯებულია. ეს ფაქტი შემიძლია, დადგენილად განვაცხადო. – განაცხადა კბილაშვილმა.

მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის განცხადებით, უახლოეს პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის გაფლანგვისა და უკანონო ხარჯვის მილიონებიანი შემთხვევები გასაჯაროვდება.

არჩილ კბილაშვილმა არასამთავრობო სექტორს განუცხადა, რომ საფინანსო ეკონომიკური დანაშაულობების გამოძიება მთავარი პროკურატურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება.

– უახლოეს პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის გაფლანგვისა და უკანონო ხარჯვის მილიონებიანი შემთხვევები გასაჯაროვდება. ერთ-ერთი უკვე ცნობილი ფაქტია, თუ როგორ ხდებოდა საქართველოს მასშტაბით 21 ათასი პარტიული აქტივისტისთვის თანხების გაცემა. 2000 ადამიანი იქნა დაკითხული, რომელიც აცხადებს, რომ მათ სოციალური აგენტის არავითარი ფუნქცია არ შეუსრულებიათ და ისინი თანხას მხოლოდ პარტიული დავალებების შესრულებაში იღებდნენ. – განაცხადა კბილაშვილმა.

მთავარი პროკურორი ასევე შეეხო სოციალური აგენტის საკითხს. როგორც კბილაშვილმა განაცხადა, დაკითხული 2 ათასი ადამიანი აცხადებს, რომ მათ არავითარი ფუნქცია სოცილაური აგენტის არ ჰქონიათ და ისინი მხოლოდ პარტიულ დავალებას ასრულებდნენ.

მთავარმა პროკურორმა გახმაურებულ საქმეებზეც ისაუბრა. კბილაშვილის განცხადებით გამოძიებამ სერიოზულ წინსვლას მიაღწია რობაქიძის საქმეზე, ასევე გირგვლიანის საქმეზე.

– ასევე მალე სრული სურათი გვექნება ყოფილი პრემიერის, ზურაბ ჟვანიას საქმეზე, რომელთა დაკავშირებითაც რთულად, მაგრამ წინ მივდივართ. – ამბობს არჩილ კბილაშვილი.

პრესის ყურადღება მიიქცია კიდევ ერთმა ფაქტმა. იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი გვერდიგვერდ ისხდნენ. ამჯერად დაპირისპირება არა კუბლაშვილსა და წულუკინს შორის, არამედ დეპუტატ გიორგი ვაშაძესა და მინისტრ თეა წულუკიანს შორის მოხდა.

წულუკიანის განცხადებით, საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა გიორგი ვაშაძემ და თინათინ ბოკუჩავამ სამოქალაქო რეესტრის ერთ-ერთი თანამშრომლის დახმარებით უკანონო პასპორტები აიღეს.

წულუკიანმა ვაშაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ კვლავ სიტყვა ითხოვა და მიმართა, რომ მას არ ჰქონდა უფლება, იუსტიციის თანამშრომლებზე ესაუბრა.

– თქვენ ხართ ის კაცი, რომელმაც ბოკუჩავასთან ერთად გამოიყენეთ თქვენი ყოფილი კავშირები და თქვენ სამოქალაქო რეესტრის ერთ-ერთი თანამშრომლის დახმარებით მიიღეთ უკანონო პასპორტები. ამის შემდეგ მე ამ კომპეტენტური კადრის სამსახურიდან გათავისუფლება მომიწია. ადამიანი, ვინც ეს გააკეთა, ნუ მელაპარაკებით კანონიერებაზე, მე მივიღე იუსტიციის სამინისტრის კადრები და მას ბოლომდე დავიცავ. – განაცხადა წულუკიანმა.

ვაშაძემ მინისტრს მოუწოდა, რომ ნუ ემუქრება. გიორგი ვაშაძის თქმით, მას უკანონოდ არ მისცეს დიპლომატიური პასპორტი, ამიტომ მან მართლაც დარეკა და აღნიშნული პასპორტის აღება ითხოვა.

ამის შემდეგ წულუკიანმა მას მოუწოდა, რომ უნამუსოდ ნუ იქცეოდა და იმ ხალხისთვის თავი დაენებებინა, ვინც იუსტიციის სამინიტროში მუშაობს.

– თქვენ ხართ ერთი პრანჭია კაცი, – მიმართა წულუკიანმა გიორგი ვაშაძეს.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის, ვაშაძის შეფასებით, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აბსოლუტურად არაადეკვატური და კონტექსტიდან ამოვარდნილი ადამიანია.

იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, იუსტიციის სამინისტროს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საერთო პოზიცია აქვს იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული პატიმრობა ვერ გაუქმდება.

ამის შესახებ წულუკიანმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მინისტრის განცხადებით სერიოზული რეფორმა იგეგმება ნარკოპოლიტიკის დარგში.

– ჩვენ ან უნდა დავაკანონოთ ეს პოლიტიკა, რაც ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოხდება, ან თუ ადმინისტრაციულ პატიმრობას გავაუქმებთ, ნარკოტიკების მომხმარებლები, სისხლის სამართლებრივი წესით უნდა გავასამართლოთ, ან სხვა რაიმე წესი უნდა შემოვიტანოთ. – განაცხადა თეა წულუკიანმა.

სწორედ აქედან გამომდინარე მინისტრი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული პატიმრობა ვერ გაუქმდება.

იუსტიციის მინისტრის თქმით, დღევანდელი შეხვედრის შემდეგ იგი სამინისტროში მისვლისთანავე იმ სამართალშემოქმედების გეგმას გამოაქვეყნებს, რომელიც სამინისტროს შიდა დოკუმენტად აქვს და კანონმდებლობის რეფორმას ისახავს მიზნად.

იუსტიციის მინისტრმა შრომის კოდექსზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისი შემუშავება პროფკავშირებთან და დამსაქმებლებთან შეთახმებით მოხდა.

წულუკიანის განცხადებით იუსტიციის სამინისტრო ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელმა ადამიანმა დატოვა, რომლებიც მინისტრმა პირადად გაათავისუფლა.

– მე მათ დავუძახე და ავუხსენი, რომ მათთან თანამშრომლობას ვერ გავაგრძელებდი. დაცული იყო ყველა პროცედურა მათი გათავისუფლებისა, მათ ჰქონდათ ერთთვიანი ვადა, რომ ჩემთვის ეჩივლათ. – განაცხადა წულუკიანმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, იუსტიციის მინისტრმა სასამართლო რეფორმაზე გაამახვილა ყურადღება და დასძინა, რომ „დღეს რიგით ქართველ მოსამართლეებს შველა სჭირდებათ".

– თუკი ჩვენ ვამბობთ, რომ სასამართლო რეფორმა კარგია და იუსტიციის საბჭოს დასაკომპლექტებლად ახალი და კარგი მოდელი შემოგვაქვს, რატომ უნდა დავტოვოთ ძალაში ის წევრები, რომლებიც ცუდი მოდელითაა შერჩეული, თუკი პარლამენტი ამას ასე გადაწყვეტს, ეს მისი პასუხისმგებლობა იქნება. მე მიმაჩნია, რომ როგორც კი ეს კანონი ძალაში შევა, იუსტიციის საბჭოს ახალი წევრების ახალი წესით დაკომპლექტება უნდა მოხდეს. – განაცხადა წულუკიანმა.

ბოლოს იუსტიციის მინისტრმა ყურადღება მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის ინიციატივაზე გაამახვილა.

– ის საჩივრები, რომელიც პროკურატურაში და იუსტიციის სამინისტროშია შემოსული, ძირითადად პროკურორებისა და მაღალი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ დანაშაულობებს ეხება. ჩვენ ეს განცხადებები რომ ავიღოთ, როგორც მოცემულობა, პროკურორთა მთელი კორპუსი ციხეში უნდა ჩაჯდეს. ამიტომ მთავარ პროკურორთან ერთად ასეთი გამოსავალი მოვძებნეთ, რომ შეიქმნას მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია, რომელიც მაღალი ლაგიტიმურობით იქნება აღჭურვილი. – განაცხადა წულუკიანმა.

სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა ახალი ხელისუფლების მუშაობის განსხვავებულ სტილზე ისაუბრა, რომელიც უკვე ყველა მიმართულებას დადებითად დაეტყო.

– უკვე ყველა მიმართულებით სერიოზული გარღვევაა. რაც შეეხება სასამართლოს დამოუკიდებლობას, მედიის დამოუკიდებლობას ამ მიმართულებითაც აშკარაა წინსვლა. სერიოზული გარღვევაა პეინტენციალურ სისტემაში. სერიოზული ცვლილებები ეხება შრომის კანონმდებლობას, სადაც მნიშვნელოვანი ცვლილებებია შესული, რომლითაც ევროპულ სტანდარტს ვუახლოვდებით. სერიოზული გარღვევაა ხელისუფლების მუშაობის გამჭვირვალობის თვალსაზრისით. აქამდე გვახსოვს, როგორი დახურული იყო ხელისუფლების მუშაობა ყველა მიმართულებით. ასევე აღსანიშნავია სამოქალაქო სექტორთან მთვარობის მუშაობის ახალი სტანდარტი. პრაქტიკულად არც ერთი ნაბიჯი არ იდგმება ხელისუფლების მიერ, რომელიც წინასწარ არ არის შემუშავებული, ექსპერტიზაგავლილი, სამოქალაქო სექტორთან შეთანხმებული. – განაცხადა სოზარ სუბარმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ეკა ბესელიამ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. ჟურნალისტებს დეპუტატ კობა დავითაშვილის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით აინტერესებდათ უმრავლესობის პოზიცია.

ბესელიას განცხადებით, მათ უმრავლესობის დეპუტატს კობა დავითაშვილს ყურადღება დააკლეს.

ასე შეაფასა ბესელიამ ჟურნალისტებთან საუბრისას დავითაშვილის მიერ ბოლო დროს საპარლამენტო უმრავლესობასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები.

– ძალიან კომუნიკაბელური და გულწრფელი ადამიანი ვარ და ურთიერთობის პრობლემა არავისთან მაქვს. თუ კობას რაღაცაზე შეთახმება და საუბარი დასჭირდება, მას, რა თქმა უნდა, ამის საშუალება მიეცემა. ის ჩვენი თანამებრძოლია, არ მინდა, თავი გარიყულად და უყურადღებოდ იგრძნოს, როგორც ჩანს, მას რაღაც ყურადღება დავაკელით. – განაცხადა ბესელიამ.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის, გიორგი კანდელაკის განცხადებით, არასამათავრობო სექტორის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე უმცირესობის წარმომადგენლები იმ პრობლემებს შეეხნენ, რომლის წინაშეც ქვეყანა ბოლო ასი დღის განმავლობაში აღმოჩნდა.

კანდელაკის განცხადებით, ახალი ხელისუფლება ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებს, რასაც სასამართლოზე ზეწოლის, პოლიტიკური ნიშნით დევნისა და თვითმმართველობებში შექმნილი ფაქტები ადასტურებს.

დეპუტატი აცხადებს, რომ ერთადერთი დადებითი, რაც ქვეყანაში ამ პერიოდში მოხდა, ეს პირველ ოქტომბერს ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარების პროცესი იყო.

## ბიძინა ივანიშვილი: „კონსტიტუციას დახვეწა და ჭკუაზე მოყვანა სჭირდება"

**ნათია ხურცილავა**

პრემიერ-მინისტრი საკონსტიტუციო ცვლილებების აუცილებლობაზე საუბრობს.

პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთი წელი მიითვისა.

როგორც ივანიშვილმა კონფერენციაზე განაცხადა, საკონსტიტუციო ცვლილებები აუცილებელია.

– საკონსტიტუციო ცვლილებების აუცილებლობას ყველა ვაღიარებთ, რადგან კონსტიტუცია ერთი კონკრეტული შემთხვევის, ჩემი მოქალაქეობის გამო მთლიანად ყირაზე დააყენეს და დღეს როგორც საფრანგეთის მოქალაქე, ისე ვხელმძღვანელობ მთავრობას. ევროპაში ძალიან ბერი რეფორმა ტარდება, თუმცა მსგავსი პრაქტიკა არსად არის. მაგალითად, გერმანიის მთავრობას ფრანგი ხელმძღვანელი რომ ჰყავდეს. ახლა უმცირესობა ცდილობს თავისი პოზიციები გაამყაროს, მე ამის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ისინი კონსტრუქციულები უნდა იყვნენ. მიმაჩნია, რომ კონსტიტუციას დახვეწა და ჭკუაზე მოყვანა სჭირდება. – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, პარლამენტის მიერ მიღებულ ამნისტიაში ხარვეზები უნდა ყოფილიყო და არის კიდეც.

ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ამნისტიის კანონში არსებული პოლიტპატიმრების სია იურიდიული პრაქტიკის თვალსაზრისით შესაძლოა, სადავო იყოს.

– ამნისტიასთან დაკავშირებით კითხვები მეც დამრჩა, თუმცა კანონპროექტის მიღებაში მე არ ჩავრეულვარ და ვფიქრობ, რომ არც უნდა ჩავრეულიყავი. რა თქმა უნდა, კანონს ხარვეზები ჰქონდა, რაც ალბათ, მისი მიღების სისწრაფესთან იყო დაკავშირებული. თუმცა ამასაც თავისი გამართლება აქვს. პატიმართა აბსოლუტური უმრავლესობა ციხეებში უსამართლოდ ისხდა და ისინი ამნისტიას ელოდებოდნენ, ასე რომ, ხარვეზები უნდა ყოფილიყო და არის კიდეც. – განაცხადა ივანიშვილმა.



ბიძინა ივანიშვილი ჭიდაობის ფედერაციაში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა. კონკრეტულად კი – პოლიციის აკადემიის პრორექტორის ლუკა კურტანიძის მიერ ჩადენილ უხეშობის ფაქტს.

პრემიერის თქმით, ჭიდაობის ფედერაციაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით შენიშვნები მისაღებია და ზოგადად სამოქალაქო სექტორის აზრი ხელისუფლებისთვის გასათვალისწინებელია.

# ქართული პოლიტიკური ელ კლასიკო

## ანუ როდემდე ითამაშებენ მარტო ოცნება და ნაცმოძი

შორენა მარსაგიშვილი

ისევე, როგორც ზღვაში ქვიშის დათვლა, საქართველოში პოლიტიკური პარტიების დათვლაც ძნელია. ლამის თითო ოჯახზე თითი პარტია მოდის. ხალხიც ზომაზე მეტად არის პოლიტიზირებული. ამის მიუხედავად, უმაღლეს ლიგაში მხოლოდ რამდენიმე პარტია ახერხებს თამაშს.

ტრადიცია არც ბოლო არჩევნებისას დარღვეულა. ამჯერად პარლამენტში მხოლოდ 2 ძალა გავიდა. ოცნება და ნაცმოძი ქართულ პოლიტიკაში ისევე თამაშობენ, როგორც ესპანეთის პრიმერა დივიზიონში ბარსელონა და რეალი.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ბარსელონა აშკარად „ქართული ოცნებაა“. ნაცმოძი კი ბარსასგან ჩაგრული რეალი გამოდის. იქ, ესპანეთში, რეალი სამეფო გუნდია, აქაური რეალი საპრეზიდენტო გუნდი გახლავთ.

ჩვენებურ ბარსელონას მთავარი მეოცნებე ბიძინა ივანიშვილი უმაგრებს ზურგს. ერთი ხანობა გადავწყვიტეთ ივანიშვილი ლიონელ მესისთვის შეგვედარებინა, მაგრამ არ გამოვა. ივანიშვილი პეპე – გოკა გაბაშვილი (მასთან შედარებით ცოტა პუტკუნაა, მაგრამ არა უშავს), მარსელო – ჩიორა თაქთაქიშვილი, მასაც ტრავმა აქვს მიღებული.

ხაბი ალონსო გია ბარამიძე იყოს. იმასავით ხან დაცვაშია, ხან თავდასხმაში. სამი ხედირა გოგა ხაჩიძეა. ორივეს ბლანჟე აქვს და იმიტომ. მესუთ იოზილი – პავლე კუბლაშვილი გახლავთ. ანხელ დი მარია – დავით დარჩიაშვილი.

კრიშტიანუ რონალდუობა კონკურსგარეშე ეკუთვნის დავით საყვარელიძეს. მასავით სიმპათიურია და საკმაოდ კარგად თამაშობს. პოლიტიკურად, თორემ მაგის ნათამაშები ფეხბურთი მგონი არავის უნახავს. ქარიმ ბენზემა კი ნუგზარ წიკლაური იყოს. ახლა არ მკითხოთ, რატომო. წიკლაურს ძირითადის მიღმა ვერ დავტოვებდი და ვიღაცისთვის ხომ უნდა შემედარებინა?

ქართული პოლიტიკური ელ კლასიკო იმ ელ კლასიკოსგან ძალიან განსხვავდება. ამის მიუხედავად, ჩვენი საზოგადოება მაინც უყურებს ამათ ორთაბრძოლებს. სხვა გამოსავალი საქართველოს მოსახლეობას ნამდვილად არ აქვს. ქართულ პოლიტიკურ ავანგარდში მხოლოდ 2 გუნდია მოხვედრილი.



თავის საქმეში მესიც არის და კიდევ უფრო მეტი. ამიტომ ბიძინა ბიძინად დარჩეს. გუნდის მწვრთნელობა კი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს მივანდოთ. ვილიანოვას ფუნქცია დავით საგანელიძეს ეკისრება. ეგ აძლევს ხოლმე მითითებებს მოთამაშეებს.

მეკარე ვიქტორ ვალდესი ეკა ბესელია გამოდის, ნაციონალების დარტყმულებს კარგად იგერიებს ხოლმე. დანი ალვეში ზურა აბაშიძე უნდა იყოს. პიკე – ზაქარია ქუცნაშვილი, კარლეს პუიოლი – ზვიად ძიძიგური, ადრიანო – ოთარ ჩრდილელი, ბუსკეტსი – დათო ბერძენიშვილი, მასკერანო – მანანა კობახიძე, ჩავი – ელისო ჩაფიძე, ინიესტა კი – ბიძინა გუჯაბიძე.

პედრო აუცილებლად თინა ხიდაშელია. ის მოწინააღმდეგეს ხშირად აწიოკებს ხოლმე. აი, მისი მეუღლე კი ნამდვილი პოლიტიკური ლიონელ მესია. დავით უსუფაშვილის ფანკლუბი განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა მრავალრიცხოვანი, რაც მან პრეზიდენტს თავისივე სასახლეში „მოაკეტინა“. პარლამენტის სპიკერი შესანიშნავ პოლიტიკურ ფორმაშია.

ნაცმოძი, როგორც უკვე ვთქვით, საპრეზიდენტო გუნდია. ივანიშვილის არ იყოს, სააკაშვილიც ერთადერთია. ამიტომ დავტოვოთ ისევ სააკაშვილად, მისი მსგავსი მაინც არავინაა დედამიწის ზურგზე.

ჩვენებური რეალის მწვრთნელ ჟოზე მოურინიოს აშკარად წააგავს მიშა მაჭავარიანი. არა, მაგის გაწვრთნილი გუნდი არსად გაიშვა, უბრალოდ, რაღაცით წააგავს. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ მოურინიოს მზარეულს სახლში „ბარსელონას“ მაისური აცვია. მაჭავარიანის ძმა ვანოც „ქართული ოცნების“ მაისურით თამაშობს. უფრო ზუსტად, ოცნებობს.

ნაციონალთა იგერ კასილიასი დათო ბაქრაძე იყოს. მასავით უწყინარი ადამიანია და მოწინააღმდეგის სიმპათიებსაც იმსახურებს. პოლიტიკური ბურთების აღებაც მშვენივრად ეხერხება.

ალვარო არბელოა გიორგი კანდელაკი იყოს, კარგად თამაშობს დაცვაში. სერხიო რამოსი აკაკი მინაშვილია, ნამდვილი რეალისა და ბარსელონასგან განსხვავებით, ესენი რაღაცას ხლართავენ. იმის მაგივრად, რომ ერთმანეთს რეალური ოპონირება გაუწიონ, კოჰაბიტაციობენ.

პრიმერა დივიზიონში, სადაც რეალი და ბარსა ასპარეზობენ, სხვა ბევრი კარგი გუნდი თამაშობს. ამ გუნდების სიძლიერე გრანდებსაც აწყობს. ჩვენს პოლიტიკაში კი ასე არ არის. ნაცმოძიცა და ოცნებაც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ უმაღლეს ლიგაში სხვა არ გააჭაჭანონ.

ნაცმოძს თავისი გასჭირვებია. მეოცნებეებისთვის კი ნაცმოძის ოპონირება სასიცოცხლოდ აუცილებელია. 9 წლიანი მმართველობის მანძილზე მათ ბევრი ცუდი საქმე ჩაიდინეს. ჰოდა, როცა ისინი მეოცნებეებს ლანძღავენ, მათი რეიტინგი უმალ მაღლა იწევს. ისევე, როგორც პრიმერა დივიზიონში, ოცნება პოლიტიკაში თამაშს თამაშზე იგებს. ნაციონალები კი ძველი დიდების დაბრუნების მოლოდინში არიან.

მეოცნებეები ამბობენ, ერთი გარინჩა წამოდგება და გაირბენს და მეორე ეგენი დაბრუნდებიანო, მაგრამ ვინ იცის. ისევე, როგორც ფეხბურთში, პოლიტიკაშიც ყველაფერი ხდება.

ყველაზე კარგი იქნებოდა, საქართველოში რამდენიმე ძლიერი პარტია იყოს. ამ შემთხვევაში აღარც ხელისუფლების ოკუპირება მოხდება და აღარც ოპოზიციის. ახლა ისე გამოვიდა, რომ ოპოზიცია ნაციონალური მოძრაობაა. სხვა ოპოზიციური პარტიები კი თამაშგარე მდგომარეობაში არიან. არადა, ეს ის პარტიებია, რომლებიც 9 წლის განმავლობაში ებრძოდნენ ნაციონალებს. ახლა ისინი ლიგის მიღმა არიან დარჩენილი. მათ ნიშას კი ნაციონალური მოძრაობა იკავებს.

და ბოლოს, ბოდიში უნდა მოვუხადო ბარსელონას ფან ნაციონალებს, მათი საყვარელი გუნდი ოცნებას რომ შევადარე. ასევე ბოდიში მაქვს მოსახდელი რეალის მეოცნებე ფანებთან. ძნელია, შენ საყვარელ გუნდს საძულველ პოლიტიკურ პარტიას რომ ადარებენ. რა კარგია, ასეთ გაუგებრობებში „ბაიერნი“ რომ არ ეხვევა.

# გოგა ხაჩიძე: „ნაციონალურ მოძრაობაში აღმოჩნდნენ ვირთხები“

შორენა მარსაგიშვილი

ფეისბუქის ლომმა გოგა ხაჩიძემ, როგორც იქნა, სტატუსების წერის გარდა სხვა საქმისთვისაც მოიცალა. ოცნების წყალობით ბოლმანარევი იუმორით მოძალებულმა „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში პრესკონფერენცია გამართა. მედიამ ხაჩიძე დააგასა. სხვა თუ არაფერი, სააგენტოები მისი სტატუსებისგან დღეში რამდენიმე ნიუსს აკეთებენ. მის გამონათქვამებზე გაზეთებსაც წაგვიცდება ხოლმე ხელი. ამიტომაც გადმოგვძახა ხაჩიძემ ფეისბუქიდან, ჩემი კედლის ჟურნალისტობა აღიარეთო.

ისევე, როგორც სრულიად ნაცმოძი, 8 თებერვალს განვითარებული მოვლენებით ხაჩიძეც შეშფოთებულია. იმ დღეს საჯარო ბიბლიოთეკასთან დიდი გაწევ-გამოწევა იყო. იქ ნაციონალებიც გალახეს და ნაციონალებმაც გალახეს ვიღაც-ვიღაცები.

ამ მოვლენებში გოგა ხაჩიძე არსად ჩანდა. ყურადღების ცენტრში ის თავის განცხადებით მოექცა. აი, რას წერდა 8 თებერვალს ფრონტგადატანილი ხაჩიძე:

„ბატონო ბორის! თქვენ მე ფულისთვის, სამსახურისთვის და თანამდებობისათვის მებრძოლი ხომ არ გგონივართ?! ულრმესად ცდებით!..

გავარტყი ყველა თანამდებობას! თავს შემოგაკლავთ თქვე ........ო!...“.

გუშინ ხაჩიძე უფრო დამშვიდებული ლაპარაკობდა. მომხდარში კი, რა თქმა უნდა, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ადანაშაულებდა.

მართალია იმ ამბებიდან 10 დღე გავიდა, მაგრამ მისთვის დღემდე უცნობია, რომელ კორიდორზე საუბრობს შსს.

– არც მე და არც იმ სხვა ადამიანებს, რომლებიც ეროვნულ ბიბლიოთეკაში პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლის მოსასმენად მიდიოდნენ, ალტერანტიული შესასვლელის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონიათ. რაც შეეხება გიგი უგულავას სიტყვებს, „მიდით, დადგით შოუ“, ვფიქრობ, რომ თბილისის მერმა ამ ფრაზით ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მიმდინარე და მოსალოდნელი უმსგავსობა შეაფასა.

ეს იყო შეფასებითი განცხადება. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ გარკვეული ნაკადი შეიქმნებოდა და ბიბლიოთეკაში შესვლას მოვახერხებდით, – აღნიშნა მან.

ხაჩიძე კატეგორიულად უარყოფს იმ ბრალდება, რომ ეს პროვოკაცია ნაციონალების მოწყობილია. გარემოს დაცვის მინისტრს რკინისებური არგუმენტი მოჰყავს. ამბობს, ჩხუბი რომ გვდომოდა, თან ჩიორას და ხათუნას არ წავიყვანდითო.

– საჩხუბრად წასული ადამიანი ჩიორა თაქთაქიშვილს და ხათუნა ოჩიაურს გვერდით არ დაიყენებს. იქ ძალიან ბევრი ქალბატონი იყო. მე არ ვარ კამიკაძე და არც არავის ჰქონდა სურვილი იმ აგრესიის მორევში თავის შეყოფის. ვინმეს რომ ეჩვენებინა კორიდორი, დიდი სიამოვნებით შევიდოდი იქ, – განაცხადა ხაჩიძემ.

მან სასაცილო უწოდა იმ სასჯელს, რომლებიც 8 თებერვლას დაკავებულ ადამიანებს იქ მომხდარ ინციდენტებში მონაწილეობის გამო მიუსაჯეს. მას მხედველობაში მელორ ვაჩნაძე, მიშა მესხი და გელა მამალაძე ჰყავდა.

ეს სასჯელები ხაჩიძეს სასაცილოდ თუ ეჩვენება, მაშინ სანდრო გირგვლიანის მკვლელობაზე გასამართლებულთა ისტორიის გამო სიცილით უნდა მომკვდარიყო. მაგრამ მაშინ „მიშა მაგარია“ დაწერა. თუმცა ეგ იყო მაშინ, ახლა კი სხვა დროა.



– ეს არის ცუდი სიგნალი, რომელიც ახალი ხელისუფლების მხრიდან კანონდარღვევებთან დაკავშირებით მოდის. გამოდის, რომ პოლიტიკური კვერცხის სროლა დაახლოებით 100 ლარი ღირს, ხოლო თუ ვინმე ჩაკ ნორისი აღმოჩნდება და სამ ადამიანს, სერგო რატიანს, ჩიორა თაქთაქიშვილს და გიგა ნასარიძეს გაუსწორდება, მას ეს შეიძლება 1500 ლარი დაუჯდეს. ზოგიერთ იმ ადამიანს, რომელმაც ნასარიძეს, თაქთაქიშვილს და რატიანს ხელი დაარტყა, შეიძლება ამ საქციელს სუფრაზე უწონებს, ჩაკ ნორისს უწოდებს და აქებს იმის გამო, რომ მან ჩიორა თაქთაქიშვილს აფეთა, – განაცხადა ხაჩიძემ.

ხაჩიძეს და სხვა ნაციონალებს, როგორც ჩანს, ლუკა კურტანიძის სერიოზული „ზუბი“ აქვთ. დღეგამოშვებით ნაციონალები მის გადაყენებას ითხოვენ. რაც უსამართლო მოთხოვნა არ არის. კურტანიძე თავის განცხადებებით და ქმედებებით კრიტიკას იმსახურებს. ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, რომელიც ამავე დროს პოლიციის აკადემიის პრორექტორია, ასე არ უნდა იქცეოდეს.

– პოლიციის აკადემიის პრორექტორად ზის ლუკა კურტანიძე, რომელიც არა მხოლოდ ზის, არამედ ვიღაცებს სცემს და საგაზეთო ინტერვიუებში ზიზღის და სიძულვილის ენის შემცველ განცხადებებს კლასიკურ ჟანრში აკეთებს. ამასთან ერთ-ერთი დეპუტატი ოპონენტებს „გველის თავების“ დაჩეჩქვით ემუქრება. ვარკეთილში დაფიქსირდა პატრულის მთვრალი თანამშრომელი, რომელმაც ადამიანები ლუდის კათხით ხელში დააკავა. ამასთან, ფეისბუკზე გაჩნდა გვერდი, სადაც 3000-ზე მეტი ადამიანი ყოფილი ხელისუფლების 50 მაღალჩინოსნის ცემის იდეით გაერთიანდა, სადაც დეპუტატის თქმით, საპატიო „მეოთხე' ადგილს თვითონ იკავებს. ამ ყველაფერზე კი, შსს-ს მხრიდან არავითარი რეაგირება არ ხდება, – ჩივის გოგა ხაჩიძე.

საინტერესოა, ადრე რატომ არ უსვამდა ამ კითხვებს შს მინისტრს. აი, იმ დროში, ვანო მერაბიშვილი რომ აზანზარებდა ქვეყანას. გველის თავების მხსენებელ დავითაშვილს და ლუკა კურტანიძეს მაშინ სასტიკად სცემეს. მაშინ ხაჩიძეს ხმა არ ამოუღია. პროტესტის გრძნობაც კი არ გასჩენია.

ახლა კი ირაკლი ღარიბაშვილის ქმედებებითა და უმოქმედობით არის აღშფოთებული. მას მულტფილმების სტუდიის დირექტორს ადარებს. ამასთან აღიარებს, რომ ვანო უფრო კარგ მულტფილმებს იღებდა.

– საინტერესოა, დღეს რას აკონტროლებს შს მინისტრი? შესაძლოა, იგი მულტსტუდიას აკონტროლებს, რომელიც „ტომი და ჯერის“ სტილში წითელი და ლურჯი ფერის მულტიპლიკაციური კაცების მონაწილეობით მულტფილმებს იღებს იმის შესახებ, თუ რამდენი ალტერნატიული კორიდორი არსებობდა 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკაში და შემდეგ მას საზოგადოებას უჩვენებს. ვანო მერაბიშვილის დროს ეს სტუდია ძალიან მაღალი ხარისხის კომპიუტერულ თამაშებს აკეთებდა, – აღნიშნა მან.

დეპუტატი ნაციონალების მხარდამჭერებს ჰპირდება, რომ ეს ყველაფერი, რაც დღეს ხდება, დროებითია, რადგან ყველას მალე მობეზრდება.

– თუ ასფალტის ჭამა არ შეიძლებოდა, არც ცემა-ტყეპის ჭამაა შესაძლებელი“, – განაცხადა ნაცმოძის ერთ-ერთმა ლიდერმა.

მას ნაცმოძიდან ხალხის მასობრივ გადინებაზეც მოუწია საუბარი. არჩევნების შემდეგ ნაციონალებს ტოვებენ და ტოვებენ. ცოტა ხნის წინ ნაციონალები დიჯეი შონზომ იგივე ზურაბ გაჩეჩილაძემაც დატოვა. ეს უკანასკნელი თბილისის საკრებულოში ნაციონალების წყალობით მოხვდა. შონზო, სხვათა შორის, გოგა ხაჩიძის მეჯვარე და უფროსი შვილის ნათლიაა.

– პარტიაში არიან ისეთი ადამიანები, მათ შორის ისიც, რომლებიც არ აპირებენ პარტიის დატოვებას არანაირი ფასის თუ ზეწოლის სანაცვლოდ. მე მინდა ვუთხრა მთელ უმრავლესობას, ხელისუფლებას და პირადად ბიძინა ივანიშვილს, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ აღმოჩნდნენ ვირთხები, რომლებიც პირველი დღიდან გაიქცნენ იქ, სადაც გარბიან ხოლმე ვირთხები და შემდეგ გამორბიან ხოლმე, – განაცხადა გოგა ხაჩიძემ.

მან კომენტარი გააკეთა ზურა გაჩეჩილაძის, იგივე შონზოს მიერ თბილისის საკრებულოს ფრაქცია ნაციონალების დატოვების შესახებ.

– პირადად არ მისაუბრია ზურა გაჩეჩილაძესთან და რაიმე კონკრეტული შეფასების გაკეთება მიჭირს. კარგად ვიცი, როგორი განწყობა ჰქონდა ზურა გაჩეჩილაძეს 8 თებერვალს, რადგან იმ დღეს მასთან ერთად ვიმყოფებოდი. შესაბამისად, ამის შემდეგ გაჩეჩილაძის გადაწყვეტილება საკრებულოს ფრაქციის დატოვების შესახებ, ჩემთვის უცნაური იყო, – განაცხადა ხაჩიძემ.

# კასპის პოლიციის ამფეთქებელი დააკავეს

შორენა მარსაგიშვილი

„ქარიშხალ ოლეგას“ გადარჩენილ კასპში გუშინ მორიგი გაუგებრობა მოხდა. საღამოს ხუთის ნახევარზე კასპის პოლიციის შენობის წინ აფეთქება მოხდა. საბედნიეროდ არავინ დაშავებულა. აფეთქებიდან რამდენიმე საათში შსს-მ ამფეთქებელი დააკავა.




„ქართლი.გე“-ს ცნობით, დაახლოებით 16:30 წუთზე კასპის შს სამმართველოს შენობასთან აფეთქება მოხდა. ოფიციალური ინფორმაციით არავინ დაშავებულება. ადგილზე კრიმინალისტიკური სამსახურის თანამშრომლები მაშინვე შეუდგნენ მუშაობას.

აფეთქებამ მცირე პანიკა გამოიწვია. ნაციონალები კრიმინოგენული ვითარების გაუარესებაზე ალაპარაკდნენ.

მომხდარიდან რამდენიმე ხანში შსს-მ საგანგებო განცხადება გაავრცე;ა.

– შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს კასპის რაიონული სამმართველოს შენობის წინ, სავარაუდოდ, ხელყუმბარა აფეთქდა. აფეთქების შედეგად პოლიციის შენობის მინები ჩაიმსხვრა, დაზიანდა ფასადი, ასევე – შესასვლელთან მდგომი ავტომანქანა. პიროვნება, რომელმაც, სავარაუდოდ, ხელყუმბარა კასპის პოლიციის შენობასთან ისროლა – დაკავებულია. მიმდინარეობს გამოძიება, – იუწყება შსს.

იმედი ვიქონიოთ, რომ მსგავსი ფაქტები აღარ მოხდება. კმარა, ამდენი აფეთქება.

# ალექსანდრე ალადაშვილი: „მოსამართლე ბესარიონ ალავიძე იურისტი არ არის!“

შორენა კოწოწაშვილი

ყოფილი მოსამართლე და მოქმედი ადვოკატი ალექსანდრე ალადაშვილი სასამართლო სისტემაში არაუფლებამოსილი პირის მოსამართლედ მუშაობის ფაქტს აპროტესტებს და ხელისუფლებას ამ უკანონობის აღკვეთისკენ მოუწოდებს.

ალექსანდრე ალადაშვილი იმედოვნებს, რომ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი დაინტერესდებიან სასამართლო სისტემაში მყოფი არაკვალიფიციური კადრებით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლე ბესარიონ ალავიძის, როგორც არაპროფესიონალი იურისტის საქმით და იმოქმედებენ კანონის შესაბამისად, რაც თავის მხრივ იმ გადაწყვეტილებების გაუქმებას გულისხმობს, რომლებიც არაიურისტმა მოსამართლემ დააყენა.

ალექსანდრე ალადაშვილის ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს წევრად საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის უხეში დარღვევით არჩეულია მოსამართლე ბესარიონ ალავიძე. იგი უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლეა 2011 წლის 22 თებერვლიდან, ხოლო 2009-2010 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.

– უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილმა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებმა უხეშად დაარღვიეს კონსტიტუციის 86-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა, როცა ბატონი ბესარიონ ალავიძე გაამწესეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ. საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა ასევე უხეშად იქნა დარღვეული მაშინაც, როცა ალავიძის კანდიდატურა წარედგინა პრეზიდენტ სააკაშვილს და შემდგომ პარლამენტს მის უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ ასარჩევად, – წერს ადვოკატი ალექსანდრე ალადაშვილი იუსტიციის მინისტრისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში. მისი თქმით, საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ მოსამართლე ბესარიონ ალავიძეს არა აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, რომელიც წარმოადგენს მოსამართლედ განწესების აუცილებელ პირობას.

აღსანიშნავია, რომ ბესარიონ ალავიძე ამჟამად საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრია მაშინ, როცა მას არ ჰქონდა არც მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების და არც მოსამართლედ გამწესების უფლებამოსილება. როგორც ირკვევა, ალავიძემ 1998 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, პარალელურად სწავლობდა და იმავე წელს დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა მეორადი ფაკულტეტის სამწლიანი კურსი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, რომელიც არ იძლევა იურისტის კვალიფიკაციას.

– ჩვენი ადმინისტრაციული სარჩელი საპენსიო დავის შესახებ ბესარიონ ალავიძემ განიხილა 2010 წლის 4 ივნისს სააპელაციო სასამართლოში და სარჩელი არ დააკმაყოფილა. უზენაესმა სასამართლომ კი ეს საქმე ფორმალური მოტივით წარმოებაშიც არ მიიღო. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ალავიძეს უფლება არ ჰქონდა, დაეკავებინა მოსამართლის თანამდებობა და განეხილა საქმეები. შესაბამისად მის მიერ მიღებული ყველა სასამართლო გადაწყვეტილება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, – აცხადებს ადვოკატი ალექსანდრე ალადაშვილი.

მისი თქმით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ალადაშვილი მიიჩნევს, რომ რადგან მოსამართლე ალავიძეს არ მინიჭებია იურისტის კვალიფიკაცია, ან რაიმე ხარისხი, სამართლიანობა მოითხოვს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ბათილად იქნეს ცნობილი.

ადვოკატმა ალადაშვილმა თავისი პოზიციის გამყარების მიზნით წარმოადგინა ორი კვალიფიციური სპეციალისტის წერილი. ერთს ხელს აწერს ჯავახიშვილის სახელობის სასწავლო დეპარტამენტის უფროსი რუსუდან სანადირაძე, ხოლო მეორეს – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი დავით კერესელიძე. ზემოაღნიშნული წერილების თანახმად, მეორადი სწავლების სამწლიანი კურსის გავლის შედეგად სტუდენტს არ ენიჭება კვალიფიკაცია ან ხარისხი. შესაბამისად, აღნიშნული სამწლიანი კურსის გავლის შემდეგ პირი არ ითვლება უმაღლესი განათლების მქონედ.

– ზემოაღნიშნული იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის და კანონდარღვევის უხეში ფაქტი, რაზეც სასწრაფოდ რეაგირებაა საჭირო, – აცხადებს ალეკო ალადაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატმა ალადაშვილმა არაკვალიფიციური მოსამართლის საქმის შესწავლის და დროულად რეაგირების მიზნით უკვე მიმართა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძეს, ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილს.

# რა საფრთხეს უქმნის ლილოს ნაგავსაყრელი თვითმფრინავებს

მერი ნამორაძე

უფლებადამცველებს თუ დავუჯერებთ, თბილისის აეროპორტით მოსარგებლე ადამიანების სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. ამჯერად საქმე თვითმფრინავების გაუმართაობასთან ნამდვილად არ გვაქვს. პრობლემას ფრინველები წარმოადგენენ, რომლებმაც აეროპორტთან ახლოს, ლილოს ნაგავსაყრელზე დაიდეს ბინა, გვარიანად გამრავლდნენ და ყოველ წუთს ქმნიან იმის საფრთხეს, რომ თვითმფრინავების ძრავაში აღმოჩნდნენ. ასეთი შემთხვევები 2011 წელს უკვე დაფიქსირდა. საბედნიეროდ, სავალალო შედეგი ამას არ მოჰყოლია.

გუშინ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ჟურნალისტებს ამ პრობლემასთან დაკავშირებით შეხვდა. მჟავანაძემ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა თუ რა პრობლემებს ქმნის ლილოს ნაგავსაყრელი, რომლის მშენებლობა 2010 წელს დაიწყო და ექსპლუატაციაში 2011 წელს შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ ნაგავსაყრელი საერთაშორისო სტანდარტებით აშენდა და მისი ექსპლუატაცია წესითა და კანონით 2035 წლამდე უნდა გაგრძელდეს, უმთავრესი პირობა იქნა დარღვეული – იგი აეროპორტიდან 13-14 კილომეტრით უნდა ყოფილიყო დაშორებული, ნაცვლად 7 კილომეტრისა.

როგორც მჟავანაძემ აღნიშნა, ნაგავსაყრელი პრობლემად იქცა ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ზოგადად მთელი საზოგადოებისთვის, რადგან არსებობს თვითმფრინავის ჩამოვარდნის რეალური საფრთხე.

– ამის თქმის საფუძველს ჩვენ გვაძლევს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს წერილი, სადაც დადასტურებულია, რომ ნაგავსაყრელი ზრდის საჰაერო ხომალდებთან ფრინველების შეჯახების რისკს, რაც საფრთხეს წარმოადგენს ფრენების უსაფრთხოებისათვის. ფრინველთა შეჯახების დინამიკა ძალიან მზარდია. 2011 წელს თბილისის აეროპორტში ასეთი ორი შემთხვევა მოხდა, 2012 წელს – შვიდი შემთხვევა. ძრავაში ფრინველის ჩავარდნა პრობლემებს უქმნის საჰაერო ხომალდს. ჯერ ისეთი პრობლემები არ შექმნილა, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩამოვარდნილიყო. ნაგავსაყრელი იზრდება, თანდათან ბევრი ნაგავი შედის, ფრინველთა რაოდენობაც იმატებს. ჩვენ წერილი გვაქვს „ტაო-ჯორჯიადანაც“, სადაც დაფიქსირებული აქვთ, თუ რომელ საჰაერო ხომალდებს შეექმნა პრობლემები. ესენია აეროსვიტი, ყატარი, ფლაიჯორჯია, აშშ-ს ტვირთების გადამტანი სახმელეთო ჯარების თვითმფრინავი. ერთხელ ერთერთ თვითმფრინავს მინაც კი გაებზარა ფრინველის შეჯახების გამო. აეროპორტთან ნაგავსაყრელის ასეთ სიახლოვეს



ყოფნა ეწინააღმდეგება „იკაო“-ს – სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ნორმებს, რომლის წევრია საქართველო. „იკაოს“ ნორმების თანახმად, ღია ტიპის ნაგავსაყრელი აეროპორტიდან 13 კილომეტრი რადიუსით უნდა იყოს დაშორებული. ამ ნორმებში მითითებულია, რომ ხელისუფლებამ აეროპორტებთან ახლოს მდებარე ღია ტიპის ნაგავსაყრელები უნდა გადაიტანოს, – განაცხადა უფლებადამცველმა.

მჟავანაძის ინფორმაციით, „იკაო“ არ არის საქმის კურსში თბილისის აეროპორტთან მდებარე ნაგავსაყრელის შესახებ. უფლებადამცველები ამ ორგანიზაციის ინფორმირებას აპირებენ, რასაც შედეგად საერთაშორისო ორგანიზაციის ზეწოლა უნდა მოჰყვეს ხელისუფლებაზე ვითარების გამოსასწორებლად. ნაგავსაყრელის მოწყობა 12 მილიონი დაუჯდა ბიუჯეტს. მჟავანაძე მიიჩნევს, რომ ამ ფასად არ ღირს არც მოსახლეობისათვის პრობლემების შექმნა და არც საერთაშორისო სკანდალში გახვევა. ჯობს ნაგავსაყრელი იქნას გადატანილი, რადგან აეროპორტის გადატანა გამორიცხულია – გაცილებით ძვირადღირებული სიამოვნებაა.

უფლებადამცველმა ეკოლოგიურ პრობლემებზეც გაამახვილა ყურადღება, რასაც ნაგავსაყრელი ქმნის. ქარს აეროპორტის ტერიტორიაზე ნაგვის ისეთი სუნი მოაქვს, ვერ გაჩერდება ადამიანი. მოსახლეობას გაცნობიერებული აქვს, რომ ნაგავსაყრელის გადატანა ერთ და ორ დღეში ვერ მოხდება, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებას ითხოვენ. ელოდებიან ხელისუფლების განცხადებას, რომ ექვს თვეში თუ ერთ წელიწადში ნაგავსაყრელი გადატანილი იქნება.

მჟავანაძე ახალი ხელისუფლებითაც უკმაყოფილოა, რომელიც წინამორბედის მსგავსად იქცევა: – ნაგავსაყრელის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებული ბრძოლა ორი წლის წინ დაიწყო და ორი წლის წინ სპეცრაზმმა დაარბია პროტესტის გამომხატველი ადამიანები. დღეს ხალხი ელოდება პასუხს, რომ ნაგავსაყრელი გადატანილი იქნება. წარმოიდგინეთ, რა დიდი საფრთხეების წინაშე ვართ. აქ დგას ეკოლოგიური პრობლემა, მთელი თბილისის მოსახლეობისთვის პრობლემა, რადგან ზემო სამგორის მაგისტრალში ჩაედინება ჭუჭყიანი წყალი და თბილისის მოსახლეობის 20 % თბილისის ზღვიდან იღებს წყალს, თბილისის ზღვა კი ბინძურდება. საერთაშორისო პრობლემაა, რომელიც ეხება აეროპორტს და ბოლოს და ბოლოს, თვითმფრინავის ჩამოვარდნამდე მივიღოთ ეს გადაწყვეტილება. ვერავინ დაგვაბრალებს, რომ რაღაცას ვაბუქებთ. აქ არის წერილი სამოქალაქო ავიაციის სააგენტოდან, რომ შეიძლება ჩამოვარდეს თვითმფრინავი. შეიძლება ნაგავსაყრელი რაღაც ეკოლოგიურ ჩარჩოში მოექცეს, ისე გააკეთონ, რომ სუნი აღარ იდგეს, მაგრამ აეროპორტთან დაკავშირებულ პრობლემას ვერ მოხსნიან. სანამ დრო არის, გადავიტანოთ! შეიძლება ფრენები შეწყდეს და ჩვენ მხოლოდ ქუთაისის აეროპორტით ვისარგებლოთ, რადგან ბათუმშიც იგივე პრობლემებია. თუმცა, ბათუმში უკვე მიღებულია გადაწყვეტილება ნაგავსაყრელის გადატანის შესახებ. რატომ უმალავდნენ „იკაოს“ ამ ნაგავსაყრელის არსებობას, ეს კიდევ ცალკე საუბრის თემაა, – აღნიშნა მჟავანაძემ.

მჟავანაძის გარდა, ლილოს მოსახლეობის წარმომადგენლებიც გაესაუბრნენ ჟურნალისტებს, რომლებმაც ეკოლოგიურ საფრთხეებზე გაამახვილეს ყურადღება.

**ზაზა გაბათაშვილი, ლილოს მცხოვრებთა საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი:**

– გარემოს დაცვის სამინისტროსაც უწერია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში, რომ ყოველგვარი ნაგავსაყრელის მოწყობა 10-12 კილომეტრის რადიუსში დაუშვებელია. პროექტი სულ სხვა ტერიტორიაზე იყო გაკეთებული. შემდეგ მიღებული იქნა სუფთა პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ ადგილზე გადმოტანისა – დროში ვერ ეტეოდნენ, რადგან მერის არჩევნები ახლოვდებოდა. ბატონმა გიგი უგულავამ ახსენა კიდეც, ხომ მოგაშორეთ ეს ავადსახსენებელი ნაგავსაყრელიო და ნაცვლად იმისა, რომ ქალაქიდან გასულიყო, თბილისის ტერიტორიაზე, ლანდშაფტის დაცვის ზონაში, უფრო შიგნით შემოიტანეს, კერძო საკუთრება წაართვეს მოსახლეობას. კერძო საკუთრებას რომ თავი დავანებოთ, გარემო საშინლად არის დაბინძურებული. მოსახლეობას სუნის გარდა აწუხებს ნაგავსაყრელიდან გამოსული წვენი, რომელიც ჩაედინება მდინარე ლოჭინში. იქვე არის აგარაკები, კინოსტუდიის აგარაკი, საერთოდ ვერ გაჩერდები, ისეთი სუნია. გარდა ამისა, ფრინველებსაც გადააქვთ ეს სიბინძურე. მესამე წელია, რაც ვიბრძვით, გავაგზავნეთ წერილები პრეზიდენტის სახელზე, პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე, მაგრამ არავისგან პასუხი არ მიგვიღია.

**ზურაბ თამლიანი, ლილოს მცხოვრები:**

– გაფიცვების დროს ჩვენი მოთხოვნა იყო ნაგავსაყრელის გადატანა. პირდაპირ კონტაქტზე გავედით მერიის სამსახურთან, რომელსაც ეს საკითხი ეხებოდა. რაღაცას შეგვპირდნენ, ახლა გარემოს დაცვის სამსახურია შესული ინსპექტირებისთვის. გვეგონა შემდეგი ნაბიჯები გადაიდგმებოდა, მაგრამ დღეს უკვე აღარ არის ის კონტაქტი. იქ გახშირებულია ბავშვების ავადმყოფობა. ღია ტიპის ნაგავსაყრელია და მოგეხსენებათ, ფრინველი პირდაპირი გადამტანია ყოველგვარი დაავადების. მომრავლებულია ნადირი, იწამლება ჰაერი, წყალი და იწამლება ხალხი. ჩვენი მოთხოვნაა, ნაგავსაყრელი მოგვაშორონ ლილოდან.

# გიორგი არველაძე ახალ ხელისუფლებას თავისუფალ მედიაზე ზეწოლაში ადანაშაულებს

ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი გენერალური დირექტორი და ახლახან დაფუძნებული საინფორმაციო პორტალის, „პოლიტიკოს“ მთავარი რედაქტორი გიორგი არველაძე ახალ ხელისუფლებას თავისუფალ მედიაზე ზეწოლაში ადანაშაულებს.

როგორც არველაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, გუშინ იგი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაიბარეს და დაახლოებით 4 საათის განმავლობაში კითხვებს ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით უსვამდნენ.

„მეკითხებოდნენ ყველაფერზე, მათ შორის იმაზე, თუ ვინ იყო საინფორმაციო სამსახურის უფროსი, ასევე ჩემს კავშირებზე არაბ ინვესტორებთან, როგორ მოხდა „იმედის“ პატარკაციშვილებისთვის გადაცემა და ასე შემდეგ. მე დავინტერესდი, თუ რაზე იყო საქმე აღძრული, რის საფუძველზე მიმდინარეობდა ჩემი დაკითხვა, თუმცა მათ პასუხი ვერ გამცეს და მითხრეს, რომ დაკითხვაზე კიდევ არაერთხელ მიხილავდნენ“, – განაცხადა არველაძემ

„იმედის“ ყოფილი შეფი დაკითხვაზე დაბარებას მის ამჟამინდელ საქმიანობას უკავშირებს. არველაძის მტკიცებით, პორტალმა „პოლიტიკო“ ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა საინტერესო ჟურნალისტური გამოძიება 9 თვის ბარბარე რაფალიანცის დაღუპვის სკანდალურ საქმესთან დაკავშირებით, სადაც ბევრი ახალი გარემოებაა გამოვლენილი.

„ჩემი დაკითხვაზე დაბარება სწორედ ამ მასალის გამოქვეყნების შემდეგ მოხდა. ეს თავისუფალ მედიაზე ზეწოლაა“, – განაცხადა არველაძემ.

მედიანიუსი

# ყოფილ 68-ე სკოლაში უკანონოდ შეჭრილი სოციალურად დაუცველები შენობის დატოვებას არ აპირებენ

თბილისში ყოფილ 68-ე სკოლაში შეჭრილი სოციალურად დაუცველები , ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილების მიუხედავად , რომლის მიხედვითაც, საცხოვრებელ ფართებში უკანონოდ შეჭრილ პირებს სოციალური დახმარება შეუწყდებათ, შენობის დატოვებას არ აპირებენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება შენობაში შეჭრილებს ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დახმარების დეპარტამენტის უფროსმა გია კაკაჩიამ გააცნო და განუმარტა, რომ იმ პირებს, რომლებიც სახელმწიფოსგან 200 ლარიან დახმარებას იღებენ და შენობის დატოვებას არ აპირებენ, სოციალურ დახმარებას ვეღარ მიიღებენ. შეგახსენებთ, რომ საცხოვრებელ ფართებში უკანონოდ შეჭრილი პირებისთვის სოციალური დახარების შეწყვეტასთან დაკავშირებით დღეს ჯანდაცვის სამინისტროს მაოდგილემ დავით ლომიძემ განაცხადა. მისივე თქმით, ის ოჯახები კი ,რომლებიც დატოვებენ დაკავებულ ფართებს, გააგრძელებენ სოციალური დახმარების მიღებას.

მედიანიუსი

# ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბჭოს ვიზიტის თარიღი ამ კვირაში დაზუსტდება

თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას თქმით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბჭოს ვიზიტის თარიღი უახლოეს დღეებში დაზუსტდება. როგორც გუშინ ჟურნალისტებს ალასანიამ განუცხადა, მთავარია, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბჭოს ვიზიტი პოლიტიკურად გადაწყვეტილია. მისი თქმით, ეს მიუთითებს იმაზე, რომ მთავრობა ნატო-ში ინტეგრაციის მიმართულებით აქტიურად მუშაობს და ამ ვიზიტის სახით ამან უკვე გარკვეული შედეგიც გამოიღო. ამ კვირაში თავდაცვის მინისტრი ბრიუსელში გაემგზავრება და ნატოს მაღალი რანგის წარმომადგენლობის ვიზიტის ზუსტი თარიღი სწორედ მაშინ დაკონკრეტდება.

მისივე თქმით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბჭოს, ტრადიციულად, ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი უხელძღვანელებს და დელეგაცია ნატო-სთან ინტეგრაციის კუთხით საქართველოში მიმდინმარე დემოკრატიულ პროცესებს გაეცნობა. „დღეს ითქვა, რომ ამ თვეების განმავლობაში ჩვენ პარტნიორებთან ვმუშაობდით, რომ ასეთი მაღალი დონის პოლიტიკური ვიზიტი წელს განხორციელებულიყო საქართველოში. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რამხელა მნიშვნელობას ანიჭებს ალიანსი საქართველოს თანამონაწილეობას როგორც საერთაშორისო ოპერაციებში, ისე თავად ღირებულებას, რასაც ნატო-სთვის საქართველო, როგორც ასპირანტი და მომავალი წევრი ქვეყანა წარმოადგენს“, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ცნობისთვის: ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბჭოს საქართველოში ვიზიტის შესახებ განცხადება გუშინ ნატო-ს საგანგებო წარმომადგენელმა შუა აზიასა და სამხერთ კავკასიაში ჯეიმზ აპატურაიმ გააკეთა.

მედიანიუსი

# არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ასოციაცია მთავრობასთან დიალოგისთვის მზად არის

სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ ქართველმა არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებლებმა ასოციაცია დააარსეს და ჟურნალისტების წინაშე წასდგნენ. ქართველი მწარმოებლების გაერთიანება მომავალში დარგში არსებული პრობლემების გადაჭრისთვის, სფეროს მომავალი განვითარებისა და ექსპორტის გაძლიერებისთვის სხვადასხვა სახის ერთობლივი პროექტების განხორციელებას გეგმავს.

ასოციაციის პირველი მნიშვნელოვანი წამოწყება კი არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების რეგულაციის გაუქმებისკენ, ან შეცვლისკენ იქნება მიმართული.

**ლევან ბაღდავაძე, შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე:**

– შეიქმნა ასოციაცია, რომლის მიზანი დარგში არსებული პრობლემების გადაჭრა და მოგვარებაა. სამწუხაროა, რომ პრობლემით ვიწყებთ. ეს ეხება ელექტრონული მარკირების საკითხის გადაჭრას, რომელიც აუცილებლად ცუდად იმოქმედებს ჩვენს სფეროზე. 2012 წლის 24 აპრილს გამოიცა ბრძანება სავალდებულო მარკირების შესახებ, რომელსაც ახორციელებს შვეიცარიული კომპანია „სიქპა“, რომელსაც შესაბამისად, უნდა გადავუხადოთ მარკირების ღირებულება, რაც გამოიწვევს პროდუქციის გაძვირებას. ეს კი, უარყოფითად იმოქმედებს არამარტო მწარმოებლებზე, არამედ – მომხმარებელზეც. მსგავსი გადასახადი არცერთ განვითარებულ ქვეყანაში არ არის, თუ არ ჩავთვლით აფრიკულ და ლათინური ამერიკის ქვეყნებს. ალბანეთში მსგავს საკითხს ვეტო პრეზიდენტმა დაადო, ხოლო ავსტრალიაში – პარლამენტმა.

**ავთანდილ სვიმონიშვილი, სს „წყალი მარგებელის“ („ნაბეღლავი“) გენერალური დირექტორი:**

– ჩვენი ასოციაცია, მხოლოდ ასეთი წარმომადგენლობითი არ იქნება და გაფართოებას ვგეგმავთ. კარი ყველასთვის ღიაა და ვისაც სურვილი ექნება გახდება ასოციაციის წევრი. დღეს, ჩვენი ძირითადი საკითხია ახალი რეგულაცია არააქცოზური საქონლის მარკირების შესახებ, რომელიც ძალაში 1 მარტიდან შედის. ჩვენ ბევრჯერ მივმართეთ ხელისუფლებას ამ საკითხთან დაკავშირებით და ავუხსენით, თუ რატომ არ არის საჭირო მარკირების შემოღება, მაგრამ პასუხი ვერ მივიღეთ. გვინდა კიდევ ერთხელ დავაყენოთ ეს საკითხი. ფინანსთა მინისტრს ორი წერილი გავუგზავნეთ, მაგრამ პასუხი ისევ ვერ მივიღეთ. ახლა გვინდა საზოგადოება მედიის საშუალებით ჩავაყენოთ საქმის კურსში, რადგან მარკირება უარყოფითად იმოქმედებს ჩვენს დარგზეც და ქვეყნის ეკონომიკაზეც.“



**დავით გიგაია, შპს „აქვა გეოს“ („სნო“) გენერალური დირექტორი:**

– მარკირების გადასახადი უარყოფითად იმოქმედებს წარმოებაზე და მძიმე ტვირთად დაგვაწვება. ეს განსაკუთრებით აისახება რეალიზაციაზე. ჩვენც ნაკლებს მივიღებთ და ავტომატურად ნაკლები შევა სახელმწიფო ბიუჯეტშიც. სამაგიეროდ, იხეირებს შვეიცარული საწარმო „სიქპა“, რომელიც მარკირების პროცესს ახორციელებს. მთავრობის ეს ნაბიჯი შეაფერხებს დარგის განვითარებას. აქედან გამომდინარე, ეს პროექტი წარმატებულად ვერ ჩაითვლება.

**ვახტანგ ლაღიძე, შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ აღმასრულებელი მენეჯერი:**

– როდესაც საკითხი დადგა, საუბარი იყო, რომ ელექტრონული მარკირებით ბრძოლა ცხადდებოდა ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, მაგრამ ვფიქრობთ, ეს არაფერს შეცვლის. პირიქით, დიდი დარტყმა იქნება ჩვენთვისაც და ბიუჯეტისთვისაც. თუ საუბარია აღრიცხვაზე, ყველა კომპანიას გააჩნია უახლესი ტექნოლოგია, რომელიც ისედაც აღრიცხავს ყველაფერს და ეს კონტროლი ნამდვილად ზედმეტია. სახელმწიფოს შეუძლია კონტროლი „ონლაინ რეჟიმში“ განახორციელოს.

**ლევან კასრაძე, სს „იბერია რეფრეშმენტის“ (პეპსი), კომერციული დირექტორი:**

– ისე გამოდის, რომ ჩვენი თავის კონტროლში უნდა გადავიხადოთ გარკვეული თანხა, რომელიც ქვეყანაში კი არ რჩება, არამედ უცხოურ კომპანიაში მიდის. აქამდე მწარმოებლებს გვქონდა 5 სახის გადასახადი და ახალი კანონით, მე-6 ემატება. ისიც უნდა ავლნიშნოთ, რომ ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ სახელმწიფოსთან, რათა ჩვენი წარმოება უფრო კონტროლირებადი გახდეს. ყველა კომპანია ცდილობს საერთო ენა გამონახოს მთავრობასთან. ჩვენი მიზანია დარგი დავიცვათ. ადრე დიალოგებზე საუბარი არ იყო და არც ხერხდებოდა. პირდაპირ გვეუბნებოდნენ – ასეა გადაწყვეტილი და მორჩა. დღეს სიტუაცია შეიცვალა, ხელისუფლება დიალოგს, თანამშრომლობას გვთავაზობს. შესაძლოა, ეს სიახლე ჩვენთვის უფრო კომფორტული იყოს, მაგრამ ეს არის დამატებითი გადასახადი, რომელიც გაზრდის პროდუქტის საფასურს. საექსპორტო თვალსაზრისით კი, ეს დიდი დარტყმა იქნება, რადგან მსოფლიო ბაზარზე ფასში ყოველი ცენტის ცვლილება მნიშვნელოვანია.

მწარმოებელი კომპანიების განცხადებით, წინა ხელისუფლების ერთ-ერთი არგუმენტი, მარკირების შემოღების დროს, ფალსიფიკაციასთან ბრძოლას უკავშირდებოდა, თუმცა როგორც თავად აცხადებენ, ფალსიფიკაციის მაჩვენებელი არ არის საგანგაშო და უკანასკნელი 5 წლის მანძილზე არ დაფიქსირებულა მეტ-ნაკლებად მასშტაბური შემთხვევები, რომელიც ზიანს მიაყენებდა არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებლებს ან ბიუჯეტს.

მეორე არგუმენტად კი, სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის აუცილებლობა სახელდებოდა. მწარმოებლების აზრით, კომპანიები არ უნდა იხდიდნენ დამატებით თანხას იმაში, რომ სახელმწიფომ ისინი გააკონტროლოს. აღრიცხვის წარმოების სხვა, გაცილებით უფრო მარტივი და იაფი საშუალებებიც არსებობს.

კომპანიების წარმომადგენელთა აზრით, ელექტრონული მარკირების სისტემის შემოღებას ცალსახად უარყოფითი ეკონომიკური და ფისკალური ეფექტი ექნება. ასოციაციის წევრებმა მზადყოფნა გამოთქვეს, შეხვდნენ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს, პირადად მინისტრს და დაწვრილებით გააცნონ საკუთარი პოზიცია და არგუმენტები. მათ იმედი დაიტოვეს, რომ მოლაპარაკებების გზით მიაღწევენ შეთანხმებას, რომელიც მათთვისაც, სახელმწიფოსთვისაც და მომხმარებლისთვისაც მისაღები იქნება.

# კომპანია „ნატახტარი“ უერთდება „არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ასოციაციის“ განცხადებას

## არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების რეგულაცია უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს




კომპანია „ნატახტარი“ უერთდება „არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ასოციაციის“ განცხადებას იმის თაობაზე, რომ არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების რეგულაცია უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს.

**თორნიკე ნიკოლაიშვილი „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი:**

– აღნიშნული რეგულაციის შემოღებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს არამარტო პროდუქციის (ჩვენს შემთხვევაში ლიმონათის) თვითღირებულების ზრდა, არამედ ბაზარზე ჩვენი პროდუქციის გაძვირებაც და რაც ყველაზე მტკივნეულია, ჩვენი საექსპორტო პოტენციალის მკვეთრად გაუარესება. წელს „ნატახტარის ლიმონათი“ უკვე 20 ქვეყანაში გადის და ჩვენს ქვეყანას და ქართულ წარმოებას უწევს, პირველ რიგში, პოპულარიზაციას. ჩვენ გვესმის სახელმწიფოს მხრიდან აღრიცხვიანობის საჭიროება და მნიშვნელობა, მაგრამ მეწარმეების დაზარალებისა და მთლიანი სექტორის მომავლის საფრთხის ქვეშდაყენების ხარჯზე ეს ნამდვილად არ უნდა ხდებოდეს.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ხუთმა მსხვილმა ქართულმა კომპანიამ გააპროტესტა ახალი რეგულაცია. მათი ძირითადი არგუმენტები უკავშირდებოდა პროდუქციის გაძვირების, უარყოფითი ფისკალურ-ეკონომიკური ეფექტის მიღების, ექსპორტის შემცირების საფრთხის, კანონის არასამართლიანობისა, მომხმარებელთა დაზარალების საკითხებს და სახელმწიფოს მხრიდან აღრიცხვიანობის ალტერნატიული სისტემის შემოღების აუცილებლობის საკითხებს.

2012 წლის 24 აპრილს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის №129 ბრძანების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ცვლილებას „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში, განისაზღვრა არააქციზური საქონლის მარკირების სავალდებულოწესი. თავად ეს ცვლილება კი ეფუძნება საგადასახადო კოდექსის 1921 მუხლს, რომლის მიხედვითაც საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია განსაზღვროს სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის ნუსხა დამარკირების პირობები.

აღნიშნული ბრძანების თანახმად, მატერიალური ან არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირებას ექვემდებარება არაალკოჰოლური სასმელები (მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყლები). სავალდებულო მარკირება ხორციელდება ბოთლის, ქილის ან კასრის გვერდზე, თავსახურზე ან ტარის ძირზე. ამასთან, შერჩეული პირის მიერ არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება განისაზღვრება: ა) არაალკოჰოლური სასმელისთვის (გარდა მინერალური და მტკნარი წყლისა) – 1.000 ცალ ერთეულზე – 5,5 ევროს ეკვივალენტი ლარებში; ბ) მინერალური და მტკნარი წყლისათვის – 1.000 ცალ ერთეულზე – 4,63 ევროს ეკვივალენტი ლარებში.

ელექტრონულ მარკირებას, საქართველოს სახელმწიფოსთან დადებული ექსკლუზიური ხელშეკრულების საფუძველზე, ახორციელებს შვეიცარული კომპანია „სიქპა“, რომელსაც მოქმედი რეგულაციის ამოქმედების შემთხვევაში, არაალკოჰოლური სასმელის მწარმოებელი გადაუხდის მომსახურების საფასურს.

# რა „სიურპრიზს“ უმზადებს სერგიენკოს უწყება სოციალურად დაუცველებს

მერი ნამორაძე

სოცდაუცველების უკანონო შეჭრა-შემოჭრა სხვადასხვა შენობებში შეიძლება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ახალმა გადაწყვეტილებამ აღკვეთოს. ფართების უკანონოდ დაკავების მასობრივი პროცესი არჩევნებიდან რამდენიმე დღეში დაიწყო და ერთგვარ გამოწვევად იქცა ახალი ხელისუფლებისთვის. კარგი ბიჭი იყავი და დაგეკავებინა ფართი უკანონოდ არჩევნებამდე. რაკი სოციალური პრობლემების მოგვარება დაასახელეს მეოცნეებმა პრიორიტეტად, სოცდაუცველები გათამამდნენ და ქირისათვის გამოყოფილი თანხები აღარ იკმარეს, გარკვეულმა ნაწილმა სასწრაფოდ მოითხოვა ფართების დაკანონება. არასამთავრობო სექტორის ნაწილი ამ პროცესებში მღვრიე წყალში თევზის დაჭერის მცდელობასაც ხედავდა მავანთა მხრიდან.

აღმოჩნდა, რომ მღვრიე წყალში თევზის დამჭერებს შეიძლება კოვზი ნაცარში ჩაუვარდეთ. გუშინ, სოციალურად დაუცველი პირების სხვადასხვა ადგილებში უკანონოდ შეჭრასთან დაკავშირებით ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ დავით ლომიძემ საგანგებო განცხადება გააკეთა. აღმოჩნდა, რომ ბინის ქირის გამოყოფის მიუხედავად, სოცდაუცველთა ნაწილი ფართებს მაინც უკანონოდ იკავებს. სამინისტრომ გადაწყვიტა, ასეთებს 200 ლარიანი სოციალური დახმარება შეუწყვიტოს.

როგორც ლომიძემ აღნიშნა, 2012 წლის ოქტომბრის დასაწყისში დაფიქსირდა სოციალურად დაუცველების მხრიდან სხვადასხვა ობიექტების თვითნებურად დაკავების ფაქტები. აღნიშნული პროცესი დაიწყო 3 ოქტომბერს, რომელიც სხვადასხვა ინტენსივობით დღემდე გრძელდება. მთავრობამ 2012 წლის ოქტომბრის ბოლოს გამოსცა განკარგულება, რომელიც გულისხმობდა სხვადასხვა ობიექტებში უკანონოდ შეჭრილი მოქალაქეების აღრიცხვას. შემდეგ გამოიცა მთავრობის დადგენილება, რომელიც გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ითვალისწინებდა ბინის ქირის უზრუნველსაყოფად სოციალური დახმარების გამოყოფას 200 ლარის ოდენობით. ასევე შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, რომელმაც განიხილა იმ დროისათვის შემოსული 2 300 განცხადება. ამ განცხადებიდან დაკმაყოფილებულია 1195 განმცხადებელი. დახმარებაზე თანხმობა განაცხადა 863 ოჯახმა.

2013 წლის იანვარ–თებერვალში მთავრობამ განახორციელა ასევე მონიტორინგი, რომლის შედეგად გამოვლინდა, რომ სოციალური დახმარების მიმღები 863 ოჯახიდან 106 ოჯახი უკანონოდ რჩება სხვადასხვა ობიექტებში. ეს ნიშნავს, რომ ამ ოჯახებმა არ შეასრულეს განცხადებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, არ დატოვეს ობიექტები და ისევე უკანონოდ იმყოფებიან დაკავებულ ობიექტებში. ამის გამო, მომავალი თვიდან დადგენილებაში შესული ცვლილებების საფუძველზე, თუ მათი მხრიდან არ მოხდება სოციალური დახმარების მიზნობრივი გამოყენება, შეუწყდებათ სოციალური დახმარების მიღება. ის ოჯახები, რომლებიც დატოვებენ უკანონოდ დაკავებულ ფართებს, კვლავ მიიღებენ სოციალურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით.

როგორც ჩანს, უკანონო შეჭრა-შემოჭრის პრევენციული ღონისძიება, რომელსაც სოციალური დახმარების სამინისტრო გაატარებს, ამჯერად გაამართლებს და გონივრული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობასაც მისცემს სოციალურად დაუცველებს.

# ვინ უნდა დაიცვას ტყე

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

რადგან საქართველოში ორხელისუფლებიანობის უამრავი ნიშანი არსებობს, ამიტომ ,,ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი პრეზიდენტი სააკაშვილი და მესამე ხელისუფლებად წოდებული სასამართლო ვახსენოთ როგორც მიმავალი ( და არა წასული) ხელისუფლება. სწორედ ამ მიმავალი ხელისუფლების მდგრადობის პერიოდში ქვეყანაში დანაშაულებრივი აქტებიდან განსაკუთრებულია ლიცენზიები, რომლებიც გაიცა ტყის რეწვის თვალსაზრისით. წითელ ნუსხაში შეტანილი ჯიშების გაჩეხვა სანიტარული ჭრის მოტივით ძირითადად შეეხო წაბლს. წაბლი წიფლისებრთა ოჯახის ერთი ყველაზე გამორჩეული მცენარეა. მისი მერქანი, ნაყოფი, ყვავილი და მწვანე მასაც ზედმიწევნით დასაფასებელია. მერქანი გამორჩეული თვისებებითა და ფერ-ორნამენტებით ხასიათდება, ნაყოფი სახამებლით მდიდარი გემრიელი საკვებია ადამიანისთვის, როგორც ნედლი სახით, ასევე თერმული თუ ტექნოლოგიური დამუშავების შემდეგ (მეღორეობისათვის შეუდარებელ საკვებად ითვლება), თუმცა წაბლნარების გარდა წიწვოვნებისა და სხვა ფართოფოთლოვნების რეწვაზეც არ ამბობდნენ უარს, რადგან ეს ბიზნესი ზემიწევნით მომგებიანი იყო, ამიტომ მას ფლობენ ყოფილი პრემიერის ბიძა და დასაქმების ყოფილი მინისტრი ტრაპაიძეც.

საქართველოს ტერიტორიის თითქმის ნახევარი ტყიანად ითვლება, განსაკუთრებით ტყიანია მთიანი და გოტაკ-ბორცვიანი ლანდშაფტი, ვაკეებზე ძირითადად წარმოდგენილია კოლხეთის დაბლობსა და ალაზნის ველზე.

საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია ხელუხლებელი (პირველქმნილი) ტყეები, რომლებიც განსაკუთრებული მაღალპროდუქტიულობით გამოირჩევა. ხელუხლებელ სოჭნარებს, სოჭნარ-წიფლნარებს, სოჭნარნაძვნარებს, პროდუქტიულობის მაჩვენებლით, ანალოგი არ გააჩნიათ ევროპისა და აზიის ქვეყნებში. მსოფლიოს ბიომრავალფეროვანი 25 რეგიონიდან კავკასია და პირველ რიგში საქართველო ითვლება ,,ცხელ წერტილად“. ჩვენს სამშობლოში 400-მდე სახეობის ხე და ბუჩქია, ველურად მზარდებიდან საქართველოში 51 სახეობის ხემცენარეა, რომელთა სიმაღლე აჭარბებს 25 მეტრს, სწორედ მათი რეწვა იძლევა დიდ მოგებას და არა ისეთი სახეობები, რომლებიც მერქნის დიამეტრითა და სიმაღლით არ გამოირჩევა. 61 სახეობის ენდემიდან ბრაკონიერული ჭრის ობიექტი უმეტესად იმერული მუხაა, თუმცა არც სხვა ენდემებს უდგათ ხელსაყრელი პირობები. მაგარმერქნიანი მცენარეებით შედგენილი ტყეები საერთო ფართობის 70%-ს აღემატება, მაგრამ მათი ფართობები ყოველდღიურად მცირდება ტყის ჭრით დაკავებული ორგანიზაციების მიერ.

მოსახლეობა ყველა რეგიონში გამოთქვამს პროტესტს ტყეების ჭრის გამო. ლიცენზიები არ უქმდება ერთი ხელის მოსმით და თავისთავად ცხადია, მწარმოებლები კვლავ აგრძელებენ ტყის რეწვას. მოსახლეობის პროტესტი ხეების ქვეშ დადგომა ყველაზე საშიშ პროტესტის ფორმად ითვლება. მწარმოებელი თავისთავად ცდილობს, რომ ტყის ჭრის დროს ადამიანები არ დააზიანოს(ან არ დაღუპოს), მაგრამ ხალხის ტყიდან გამოსვლისთანავე იწყება ტყის განადგურება.

დაღდასმა, რომელიც აჩვენებს მოსაჭრელ ხეს, უნდა იყოს სპეციალისტის მიერ განხორციელებული. სამწუხაროდ, მიმავალი ხელისუფლების პირობებში, დაღდასმის წესის უგულებელყოფა ხშირად ხდებოდა. როცა მოსახლეობას ეჭვი ექნება ჭრის სამართლიანობაზე, მაშინ პირველ რიგში ამ საკითხის დადგენა აუცილებელია. მეწარმეები ხშირად არღვევენ ტყიდან მოჭრილი მასალის გამოტანის პირობებს, რაც დაჯარიმების საფუძველია. ზედიზედ რამდენჯერმე დაჯარიმება შესაძლებელია არა მარტო ფინანსური სახდელის დაკისრებით დასრილლდეს, არამედ ლიცენზიის ჩამორთმევითაც (დამოკიდებულია დაჯარიმების ხარისხზე).

მნიშვნელოვანია ასევე ტრანსპორტირების საკითხიც. ტვირთის გადაზიდვას აქვს თავისი წესები, რომლის დარღვევაც სამართალდარღვევაა.

საქართველოს ტყეებში ლიცენზიების გაცემის წესი ალბათ ახლო მომავალში შეიცვლება. საქართველოს პარლამენტის უმრავლესობა თვლის, რომ ტყეების ჭრა უნდა შეჩერდეს (ეს ,,ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დაპირებაც იყო წინასაარჩევნოდ). საერთოდ, ბუნებითსარგებლობის კანონმდებლობა თუ არ შეიცვალა, მაშინ საქართველო რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე ეკოლოგიურად საშიშ ზონად გადაიქცევა.

მართალია, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროები ჯერჯერობით გადამწყვეტ სიტყვას არ ამბობენ ტყის დაცვის საკითხში, მაგრამ ერთ თვეზე მეტი დრო მაინც დასჭირდება ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის ენერგეტიკიდან ბუნების დაცვის სამინისტროსადმი გადაცემას. ვნახოთ, თუ ეს უწყებრივი გადაცემა თუ მოუტანს საქართველოს ტყის დაცვასა და განახლებას.

მანამდე ისევ მოსახლეობამ უნდა დაიცვას ტყე.

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „ახალი ხელისუფლება უგერგილოდ იქცევა“

გულიკო ბალაძე

**ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, ოპერაცია „ენვეროს" საქმის პროკურორი ფხაკაძე, რომელიც კუდზე ზედამხედველობას ახორციელებდა, დააწინაურეს და თბილისში გადმოიყვანეს. ოპერაცია „ენვეროს" საქმესთან დაკავშირებით მსჯავრდებული და შემდეგ პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირები კი მოითხოვენ, მათ საქმეებს გიეფით „საიდუმლო" მოეხსნას და სრულად აღსდგეს მათი უფლებები.**

– ქვეყანაში ძალიან დიდი მასშტაბით სუფევს დაუსჯელობისა და უსამართლობის განცდა. ადამიანები თითქმის ხუთი თვეა ელოდებიან კონკრეტული პირების დასჯას. მიმდინარეობს თეატრალური დაკითხვები – დაიბარებენ ადამიანებს, გაუშვებენ, დაიბარებენ – გაუშვებენ, ანუ არის პროკურორი გამოძახებით და თეატრალური დაკითხვები. ამის გამო ადამიანები დაძაბულები არიან. ამის შედეგია კვერცხების სროლა და ფიზიკური შეურაცხყოფები. როცა ხელისუფლება ხარ, ვერ ვხვდები, მუშტი-კრივზე გადასვლის რა აუცილებლობაა. შენ ხარ ხელისუფლება და შენ უნდა აღასრულო ის, რაც გაკისრია. არ უნდა იმოქმედო იმ სახით, თითქოს შენ კვლავ ოპოზიციაში ხარ, – აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე, – ვგულისხმობ, ვთქვათ, კობა დავითაშვილს და ლუკა კურტანიძეს. ამბობენ, ცხვირ-პირს დავამტვრევთო. რას დაამტვრევ? თუ დამნაშავეა, აგერ არის და დაიჭირე. შენ ხელთ არის ამის ბერკეტები და ინსტრუმენტები. რაც ხდება, საშინელებაა. რამდენიმე თვის წინ ბიძინა ივანიშვილი გავაფრთხილე, რომ მის მიმართ პროვოკაცია იგეგმებოდა. ვაცხადებდი, რომ ის კადრები, რომელიც მას ჰყავდა პოლიციასა და პროკურატურაში, იგივეს გააკეთებდნენ, რაც მათ ზვიად გამსახურდიას გაუკეთეს, რაც გაკეთდა 8 თებერვალს, იგივეს, რაც 2 სექტემბერს. სისხლი შეიძლება იმ სახით არ დაღვრილა, მაგრამ მაინც დაიღვარა – ვიღაცას ცხვირი გაუტეხეს, ვიღაცას მუშტი მოხვდა და მთელმა დასავლურმა მედიამ, მთელმა ევროკავშირმა დაგმო ხელისუფლების საქციელი. ამ აქციით ხელისუფლება მოძალადე გამოვიდა, ანუ ის პროვოკაცია, რაც მოეწყო 8 თებერვალს, დაახლოებით 2 სექტემბრის მსგავსი იყო. იქ ნაციონალებმა პროვოკაცია მოაწყვეს – ხალხს აგინებდნენ, უნდოდათ უფრო მეტად ყოფილიყვნენ გალახულები და უფრო მეტი სისხლი დაღვრილიყო მათი ცემის შედეგად, შემდგომ უფრო მეტად მოერგოთ ტანჯულის მანტია. ხელისუფლება პროვოკაციაზე არ უნდა წამოეგოს და ისეთი სიტუაცია შექმნას, მსგავსი ექსცესები არ მოხდეს. ეს არის არაპროფესიონალიზმისა და პოლიციაში არსებული ძველი კადრების ბრალი. ღარიბაშვილი სიტუაციას მარტო ვერ განმუხტავდა, მაგრამ მის ქვეშევრდომებს უნდა აემოქმედებინათ დაცვის მექანიზმები, ანუ 8 თებერვალი არის შავი ლაქა აღნიშნული ხელისუფლებისთვის. ეს მოხდა, რადგან პოლიციაშიც და სხვა უწყებებშიც მოქმედებენ ადამიანები, რომლებიც თანაუგრძნობენ სააკაშვილს.

***– პოლიციასა და დაცვის სამსახურს შორის კოორდინაცია იყო დარღვეულიო.***

– კოორდინაცია არ არის პრობლემა. საქმე ისაა, მიხეილ სააკაშვილს საკმაოდ სერიოზული დასაყრდენები აქვს სახელმწიფო სტრუქტურებში. თუკი არ დაისჯებიან დამნაშავეები პროკურატურასა და პოლიციაში, არ აგებენ პასუხს ჩადენილი დანაშაულისთვის, ნორმალურ შედეგებამდე ვერ მივალთ. ადამიანებს, რომლებიც დანაშაულობებში არიან შემჩნეული, უკანონო დაპატიმრებებს ახორციელებდნენ, დღეს არა თუ პასუხს სთხოვს ვინმე, არამედ ისევ იმ ადგილებზე ვტოვებთ. მათ თუ ყველაფერი შერჩათ, უფრო მეტ სითავხედეს გამოიჩენენ. აცხადებენ, სასამართლო ჩემი არ არისო, უამრავი განცხადება შევიდა მოსამართლეთა დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. ჩვენმა ორგანიზაციამ შეიტანა საჩივრები სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეზე, კუბლაშვილზე, მის მოადგილე ფხაკაძეზე. ანტიკორუფციულ დეპარტამენტში მუშაობს გამომძიებელი ბადრი ქათაშვილი. საჩივარი შევიტანეთ კონკრეტულ საქმეზე და საქმე აღიძრა. ამ გამომძიებელს ჯერ საქმის აღძვრაც არ უნდოდა, მაგრამ ჩვენ ყველა მტკიცებულება წარვადგინეთ. ჩვენთან საუბარში მან განაცხადა, რომ არავინ იცის, ისტორია რას იტყვის და მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის საქმიანობას შთამომავლობა როგორ შეაფასებსო. შეიძლება ეს ადამიანი თავის ქმედებებში ობიექტური იყოს?! ყველას თავისი პოლიტიკური შეხედულება აქვს, მაგრამ როდესაც გამომძიებლები და პროკურორები ასე აზროვნებენ და ასე ფიქრობენ, რეალურად, იმ საქმესაც ისე მიუდგებიან, როგორი პოლიტიკური შეხედულებაც მათ აქვთ. შეუძლებელია დღეს მიხეილ სააკაშვილის საქმიანობას ამართლებდე ადამიანი და იყო ასეთ სტრუქტურებში. ასეც მოხდა, არანაირი წინსვლა არ არის ჩვენ მიერ შეტანილ საქმესთან დაკავშირებით. ის ადამიანები, რომლებიც ადეიშვილის მითითებებს მონურად ასრულებდნენ, დღეს ასეთ საქმეებზე არავითარ რეაგირებას არ ახდენენ. სასამართლოებში არსებული მდგომარეობაც ხელისუფლების ბრალია.

***– რატომ არის ხელისუფლების ბრალი? რა უნდა ქნას ხელისუფლებამ?***

– დაიჭირონ კუბლაშვილი. მივმართავ, დაიჭირეთ კუბლაშვილი, რადგან დასაჭერია.

***– დასავლეთი მათ მოუწოდებს, თანაარსებობის რეჟიმში იმუშაონ ნაციონალურ მოძრაობასთან.***

– სააკაშვილი ბოლოს ამერიკელებსაც აღარ ემორჩილებოდა. თუკი ითვალისწინებ იმ რჩევებს, რომ დამნაშავე აღარ უნდა დასაჯო და იმის დირექტივებით საზრდოობ, შენც იგივე ყოფილხარ. ასეთი დამოკიდებულება აბსურდამდე მიგვიყვანს. ყველაფერი უსამართლობის გამო მოხდა. ისეთი პროკურორები და პოლიციელებია, რომლებიც პროვოკაციებში არიან ჩართული. ჩვენ კიდევ მეტი პროვოკაციები გველოდება ნაციონალური მოძრაობისგან. კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი, 1 ოქტომბრის შემდეგ ნაციონალური მოძრაობა ისე თუ გათავხედდებოდა, რომ არა თუ პასუხს არ აგებდა, არამედ აქეთ გადმოვიდოდა შეტევაზე – ხალხს აგინებდა, გალანძღავდა, ტანჯულისა და ჩაგრულის მანტიას მოირგებდა და დასავლეთში იმაზე დაიწყებდა ლაპარაკს, ნაციონალებს ჩაგრავენო. ასეთი რამ ვერ წარმომედგინა, მაგრამ ეს სიტუაცია შექმნა დღევანდელი ხელისუფლების უგერგილობამ.




***– თქვენ განაცხადეთ, თეატრალური დაკითხვები ხდება და პროკურორი გამოძახებითაო. რატომ უნდა იყოს პრობლემა დაკითხვაზე ქალაქის მერის მიყვანა და რატომ უნდა იბარებდეს გამომძიებლებს ის თავისთან?***

– ახალი ხელისუფლება ნაციონალებს გმირებად გარდაქმნის. სიმონ მასხარაშვილმა ბაჩო ახალაია ცოტნე დადიანად მოიხსენია, რადგან „ქართული ოცნება“ უგერგილოდ იქცევა. ვერ გავიგე, რად უნდა ვანო მერაბიშვილის ხუთჯერ მიყვანა? თუკი მთავარმა პროკურატურამ 5 თვის განმავლობაში დამამტკიცებელი საბუთი ვერ იპოვა, მაშინ ყველანი დასახსნელები არიან თანამდებობიდან. როგორ შეიძლება ამდენი ხანი ვანო მერაბიშვილის (რომელმაც მთელი რეპრესიული მანქანა ჩართო, ხალხი გაანადგურა, გააცამტვერა, დახვრიტა) ბრალეულობის დამადასტურებელი საბუთები ვერ იპოვო. პირდაპირ სირცხვილია, რომ ვანო მერაბიშვილის მიმართ ბრალი არ არის წაყენებული.

***– სერიოზული გამოძიების გარეშე არ უნდათ, ალბათ, ბრალის წაყენება?***

– ამდენი ხანი, რაა დასადგენი? სირცხვილია. ვანო მერაბიშვილის ბრალეულობის დამადასტურებელი საბუთი თუ ვერ იპოვეს, ეს არის სირცხვილი. რაც შეეხება გიგი უგულავას, გიგი უგულავა დაკითხვებზე კი არ უნდა დადიოდეს, გიგი უგულავას შემდეგ მასაც ბრალი უნდა ჰქონდეს წაყენებული. აქ კიდევ მეორე მომენტია – უკანონოდ გასამართლებული ხალხი, რომელიც დღეს სამართალს ითხოვს, 5 თვე ხდება და რაღაც კომისიაზე მიდის ჩურჩულით ლაპარაკი. ამდენი ხანი რატომ ვერ მოიფიქრე, რა გააკეთო? დამნაშავე რომ უნდა დაისაჯოს, ამის რად უნდა ლაპარაკი. ბაჩო ახალაიასთვის ის ადგილი, სადაც ახლა იმყოფება, კურორტია. იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, მისთვის ყველაზე უსაფრთხო ადგილი დღეს საპატიმროა და ზის კიდევაც. ცოტა ხანში მართლა შეიძლება ნაციონალებმა გარკვეული სოლიდური ავტორიტეტი და დასაყრდენი მოიპოვონ დასავლეთში და მართლაც დადგეს დღის წესრიგში მათი დაბრუნების საკითხი. უნდა აღადგენო სამართლიანობა და აღასრულო სამართალი. ყველაფერი ხომ უსამართლობის გამო მოხდა.

***– თქვენ რომ მთავარი პროკურორის ადგილზე იყოთ, რას იზამდით?***

– სააკაშვილის რეჟიმს მოვუწყობდი ნიურბერგის მსგავს პროცესს – გასამართლდებოდა ყველა მაღალჩინოსანი. სასამართლოც გასაწმენდია. ამ რეჟიმის გასამართლებაში სასამართლოც იგულისხმება.

ეკა ირემაშვილი

# იშხანი და ოშკი აღდგება

## სად აშენდება მეჩეთი?

მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ გაახმაურა, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის მოლაპარაკებები შედგა და ქართული მხარე ოშკისა და იშხნის რესტავრაციაში ქართველ სპეციალისტებს ჩართავს, ხოლო სანაცვლოდ ბათუმში მეჩეთი უნდა აშენდეს, საზოგადოება აქტიურად დაინტერესდა იმით, თუ კონკრეტულად სად იგეგმება მეჩეთის აშენება.

თურქეთში დასრულებული სამთავრობო ვიზიტის შემდეგ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ გააკეთა განცხადება, რომ ამ მოლაპარაკებების საფუძველზე ქართულ ძეგლებზე ქართველი სპეციალისტები შეძლებენ სარესტავრაციო სამუშაოებში მონაწილეობას, ამის სანაცვლოდ კი ბათუმში მეჩეთი აშენდება, თუმცა ეს არ იქნება აზიზეის მეჩეით.

— მიღწეულია შეთანხმება, რომ თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ძეგლები აღდგება. ამჯერად საუბარია იშხნისა და ოშკის თაობაზე. ასევე გადაწყვეტილია, რომ ოშკისა და იშხნის კულტურული ძეგლების რესტავრაციაში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი სპეციალისტები, ხოლო ბათუმში გამოიყოფა ადგილი, სადაც აშენდება მეჩეთი. მთავარია პრინციპული შეთანხმება მოხდა, აზიზეის მეჩეთთან დაკავშირებით თავს ვიკავებთ, მაგრამ კონკრეტულად სად აშენდება ბათუმში მეჩეთი, ამას მერე გაიგებთ, ჯერ მეც არ ვიცი, — აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

საქართველოს საგარეო მინისტრის მაია ფანჯიკიძის თქმით, თურქეთთან მიღწეულია შეთანხმება, რომ ოშკისა და იშხნის რესტავრაციაში ქართველი სპეციალისტები ჩაერთვებიან. ბათუმში კი გამოიყოფა ადგილი, სადაც მუსლიმანური რელიგიის წარმომადგენლებისათვის სამლოცველო აშენდება.

— ანკარაში ვიზიტისას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით აღნიშნა, მიღწეულია შეთანხმება, რომ ოშკისა და იშხანის რესტავრაციაში მონაწილეობას ქართველი სპეციალისტები მიიღებენ, ხოლო ბათუმში გამოიყოფა ადგილი, სადაც მუსლიმანური რელიგიის წარმომადგენლებისათვის სამლოცველო აშენდება. ეს, პირველ რიგში, ქართველი მუსლიმანებისთვის კეთდება, რათა მათ თავიანთი მრწამსის შესაბამისად ლოცვის საშუალება ჰქონდეთ. ადგილი ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ უახლოეს ხანში გადაწყდება. არის გარკვეული წარმოდგენები, სად შეიძლება აშენდეს მეჩეთი. ალბათ საბოლოო გადაწყვეტილებას აჭარის მთავრობა მიიღებს. არც ის ვიცით, რა არქიტექტურით აშენდება. საბედნიეროდ, ისეთი საკითხი გადაიჭრა, რომელიც გასულ წელს ჩვენთვის იყო შიდა დაპირისპირების თემა, რაც შეეხება აზიზეის მეჩეთს, მასზე საუბარი არ არის. ბათუმში მეჩეთისთვის ადგილი უნდა შეირჩეს ერთობლივად, თუმცა ალბათ უპირატესობა ქართულ მხარეს ექნება. მალე ცნობილი გახდება, სად აშენდება მეჩეთი, თუმცა აქამდე კონკრეტული საუბარი არ ყოფილა, — აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

მიღებულ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა „ლეიბორისტული პარტია“ და ორ ქვეყანას შორის მიღწეული შეთანხმება გააპროტესტა. „ლეიბორისტების“ იდეოლოგიური მდივნის პაატა ჩოხელის თქმით, ბათუმში მეჩეთის მშენებლობა სახელმწიფოს დამანგრეველი კურსის გაგრძელებაა. „ლეიბორისტებმა“ მიმართეს ბიძინა ივანიშვილს გააუქმოს თურქეთში მიღწეული შეთანხმება, ხოლო კოალიციის წევრებს საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისკენ მოუწოდეს.

ბათუმში მეჩეთის აშენების შესახებ გადაწყვეტილების შესახებ პრემიერმა თურქეთში ოფიციალური ვიზიტის დროს ისაუბრა. ჯერჯერობით უცნობია საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია ხელისუფლების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. წინა ხელისუფლების დროს სასულიერო პირები მუსულმანური სამლოცველოს მშენებლობას არ ეთანხმებოდნენ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ოფიციალური დოკუმენტების გაფორმებისთანავე იშხნისა და ოშკის ტაძრების რესტავრაციას დაიწყებს. სამინისტროს პრესსამსახურში განმარტავენ, რომ თურქეთის სახელმწიფოსთან შეთანხმების დოკუმენტურად გაფორმება ფორმალური პროცედურაა და ქართული მონასტრების აღდგენა აუცილებლად დაიწყება. ქართველი სპეციალისტები მზად არიან თურქეთის ტერიტორიაზე ჩავიდნენ და ქართული კულტურის ძეგლებზე არსებული ვითარება შეისწავლონ.



ცნობილია, რომ ისტორიული ძეგლების რესტავრაციის შესახებ თურქეთის სახელმწიფოსთან მოლაპარაკებები რამდენიმე წელია გრძელდება. თავდაპირველად საუბარი იყო თურქეთში ოთხი ქართული მონასტრის — ოშკის, ხანძთის, იშხნისა და ოთხთა ეკლესიების სანაცვლოდ საქართველოში სამცხეს მხარჯავის, ახალციხის მეჩეთის, ქობულეთში ჯამეს მეჩეთის რესტავრაციასა და ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აშენების შესახებ. მოლაპარაკებებს თურქულ მხარესთან მაშინდელი კულტურის მინისტრი ნიკოლოზ რურუა აწარმოებდა. ამ საკითხმა საზოგადოებაში ვნებათაღელვა გამოიწვია, ამიტომ სამინისტრომ სპეციალური განცხადებაც გაავრცელა:

„როგორც ცნობილია, ქართული ხუროთმოძღვრების რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ძეგლი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მათ შორის, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ნამდვილი გვირგვინი ოშკი, ასევე იშხანის ტაძარი, ინგრევა და უკვე განადგურების პირას არის მისული.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, გამოდის რა მოსაზრებიდან, რომ ამ ძეგლების საბოლოო განადგურება ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა ქართველი ერისათვის, უკვე რამდენიმე წელია აწარმოებს მოლაპარაკებას თურქულ მხარესთან ქართული კულტურის საგანძურის გადარჩენის და მომავალი თაობებისათვის პირვანდელი სახით გადაცემის კუთხით.

ამ მოლაპარაკებების დროს თურქულმა მხარემ დააყენა საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ისლამური კულტურის ძეგლების აღდგენისა და მოვლის თაობაზე. კერძოდ, ოშკსა და იშხანში განხორციელებული სამუშაოების კვალდაკვალ თურქული მხარე აყენებს საკითხს ახალციხის არსებული მეჩეთის მოვლისა და ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აღდგენის თაობაზე.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ახალციხეში მეჩეთი უკვე არსებობს მეჩვიდმეტე საუკუნიდან ახალციხის ისტორიული ციხის ტერიტორიაზე. ამჟამად ხორციელდება არა მეჩეთის მშენებლობა, როგორც მცდარად ვრცელდება ცნობები ზოგიერთი საინფორმაციო საშუალებების მიერ, არამედ ციხის ტერიტორიაზე ჯაყელების ისტორიული სასახლის და ქართული ქრისტიანული ტაძრის ახალი მშენებლობა. ეს ძეგლები რუსული ჯარის მიერ იქნა განადგურებული და ციხის მთლიანი კომპლექსის აღდგენა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტია ბოლო წლებში განხორციელებულ, საქართველოს ისტორიული ძეგლების აღდგენის სფეროში. პროექტი ემსახურება საქართველოს ამ ისტორიული ქალაქის საერთაშორისო მნიშვნელობის ტურისტულ ცენტრად ქცევას და შედეგად ხალხის დასაქმებასა და კეთილდღეობის ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი ადგილობრივ საზოგადოებაში დიდი მხარდაჭერით სარგებლობს და მოსახლეობა მის განხორციელებას დიდ იმედებს უკავშირებს.

აზიზიეს მეჩეთი, რომელიც დღეისათვის სრულად განადგურებულია და მუსლიმი ქართველებისათვის მნიშვნელოვან კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს, აღდგენილი იქნება ისტორიული მასალების მიხედვით და მისი რეკონსტრუქციის ადგილის განსაზღვრა საქართველოს მხარის პრეროგატივას წარმოადგენს.

მთავრობებს შორის შეთანხმება გულისხმობს აღდგენილი ძეგლების ფუნქციონირებას კულტურულ ცენტრებად.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს საპატრიარქო, ისევე როგორც ზოგადად კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობით დაინტერესებული საზოგადოება, მუდმივად საქმის კურსში იყო მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ. უკანასკნელი შეხვედრა ამ თემაზე კულტურის მინისტრმა საპატრიარქოში ამ ორიოდე დღის წინ გამართა, ვინაიდან საკითხი ეხება ეროვნულ საქმეს, ჩვენი ძეგლების გადარჩენას და შესაბამისად, საპატრიარქოს აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. მომავალშიც — სამინისტრო მზად არის ყველა დაინტერესებულ მხარეს სრული ინფორმაცია მიაწოდოს.“

ნიკოლოზ რურუას მიერ თურქულ მხარესთან მიღწეულ შეთანხმებას საქართველოს საპატრიარქო ეწინააღმდეგებოდა, როგორც ყველა ქართული ეკლესიის მესაკუთრე მოლაპარაკებების პროცესში ჩართვას მოითხოვდა და საკუთარ პირობებს აყენებდა. ჯერ უნდა აღედგინათ არდაშნისა და ხახულის ტაძრები, ხოლო დანარჩენი ტაძრების აღდგენა სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებს საპატრიარქოსთან შეთანხმებით უნდა გადაეწყვიტა. საპატრიარქოს მუდმივი ჩარევის შედეგად მოლაპარაკებები წლების განმავლობაში ჭიანურდებოდა. საქართველოს საპატრიარქომ ამ მოვლენებს საგანგებო განცხადებაც მიუძღვნა:

„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გერმანიაში ყოფნის პერიოდში, მასმედიით გახდა ცნობილი, რომ საქართველოს ხელისუფლება აპირებს, თანხმობა მისცეს ბათუმში ე.წ. აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას და ახალციხეში ახმედის მეჩეთის რესტავრაციას. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებები ორ წელიწადზე მეტია, მიმდინარეობს თურქეთისა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის და ეს ხდება საქართველოს კანონმდებლობის (კონსტიტუციური შეთანხმების) უხეში დარღვევით, რადგან საქართველოს საპატრიარქო, რომელიც არის ყველა ქართული ეკლესია-მონასტრის მესაკუთრე, არ იყო და არ არის ჩართული ოფიციალურ მოლაპარაკებებში; მიუხედავად ამისა, ჩვენ ჩვენი პრინციპული, მაგრამ, ამავე დროს, კონსტრუქციული პოზიცია ყოველთვის გვქონდა.

ეს პოზიცია დაფიქსირდა თურქეთის პრემიერ-მინისტრ, ბატონ რეჯებ თაიფ ერდოღანისადმი 2011 წელს სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის მიერ მიწერილ წერილშიც, რომლის პასუხიც სამწუხაროდ, დღემდე არ მიგვიღია.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მეტად პრობლემატურია ხელისუფ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფსორიაზისგან განვიკურნე**

**დაავადებული ვიყავი ფსორიაზით 14 წელი. სადაც წამალს გავიგებდი, ყველაფერს ვხმარობდი, მაგრამ ამაოდ. მეგობრისგან გავიგე, რომ არსებობდა ფურცელაძის მალამო, რომელიც სასწაულებრივად არჩენდა ფსორიაზს.**

**მკურნალობის დაწყების დღიდანვე ვიგრძენი შვება, თანდათან კანი გათავისუფლდა გაუხეშებული ქერქისგან, 5-6 კვირის შემდეგ დაავადება სრულიად გაქრა. უკვე მესამე წელია, ჯანმრთელი ვარ.**

**დიდი მადლობა ქ-ნ ჟ.ფურცელაძეს ჩემი განკურნებისთვის. მისი მალამოები არჩენს აგრეთვე ფრჩხილის სოკოს, სებორეას, დამწვრობას, ჭრილობას, ნაწოლებსა და ბუასილს.**

**საკონტაქტო ტელ: 223-87-18; 599-57-68-57; 790-33-41-71.**

**აუდიტი**

**გთავაზობთ „C“ და „B“ კატეგორიის ალტერნატიული საგადასახადო შემოწმებას.**

**დაიმახსოვრეთ ტელეფონები:**

**2-25-67-37; 5-99-26-55-85.**

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: LBRTGE22**
**ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

**განცხადებები**

● იყიდება ინვალიდის ეტლი იდეალურ მდგომარეობაში. ფასი 200 ლარი. ტელ: 577-48-50-48 ნაზი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

# ლელომ პირველო გაიმტკიცა

**ლელო – არმია 19:16**

**ლელო:** ყიასაშვილი, გუგავა, კოპაძე, ცერცვაძე, ნიჟარაძე, ხმალაძე, კაჭარავა; გოგიშვილი, ბელქანია, პატარაია, ჭეიშვილი, ქოიავა, დარასელია, სურგულაძე, ჭყოიძე

**არმია:** კობახიძე, გოგოლაშვილი, ჯიმშელაძე, ჩხიკვაძე, გაბროშვილი, ნინიძე, ჯინაშვილი; კაკოვინი, მამუკაშვილი, გურგენიძე, ბიწაძე, სურგულაძე, თხილაიშვილი, კალმახელიძე, ბუჯიაშვილი

განახლდა საქართველოს მორაგბეთა 23-ე ეროვნული ჩემპიონატი და ცენტრალურ მატჩში „ლელომ" არმიელებს დამაჯერებლად მოუგო, რითიც ლიდერობა განიმტკიცა.

თამაში ძლიერი ქარის ფონზე გაიმართა. ანგარიში ბახვა კობახიძემ ჯარიმით გახსნა, რასაც ირაკლი ყიასაშვილმა გასატანი პოზიციიდან რომ ვერ უპასუხა, თუმცა ეს ქარის ბრალი იყო. იგივე ქარის ბრალი კობახიძის საპასუხო არეკნიც არაზუსტი რომ აღმოჩნდა, თუმცა მან 32 მეტრიდან ჯარიმა კიდევ ერთხელ შეასრულა და ტაიმი არმიელებმა 6:0 მოიგეს.

მეორე ტაიმში გადამწყვეტ უპირატესობას „ლელო" დაეუფლა. ყიასაშვილმა ჯარიმით ჩამორჩენა ჯერ შეამცირა, შემდეგ კი გაათანაბრა – 6:6.

„ლელო" არც ამის შემდეგ მოეშვა და ტაიმის შუაში ცენტრიდან გატანილი ჯარიმით დაწინაურდა. მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ყიასაშვილს შეეძლო და თითქმის ცენტრიდან ჯარიმა ააცილა, რომელსაც ორიოდე წუთში არეკნიც გაუცუდდა.

სამაგიეროდ, „ლელომ" მეტოქის შეცდომით ისარგებლა, როდესაც მას საკუთარ 22-ში ფეხით გადაკიდებული ბურთი დაუვარდა, იერიში ხელით ფლანგზე გაშალა და ცერცვაძემ ლელო გაიტანა, ხოლო ყიასაშვილმა გარდასახვა შეასრულა.

განახლდა თამაში და უკვე თხილაიშვილმა გაკვეთა მარჯვენა ფლანგზე დაცვის ხაზი და გარდასახვამ ჩამორჩენა კვლავ სამ ქულამდე დაიყვანა, მაგრამ დარჩენილი წამები სიტუაციის შესაცვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა და ლიდერმა „ლელომ" ჩემპიონ „არმიასთან" პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის სრულფასოვანი რევანში აიღო, რითაც ლიდერობაც გაიმყარა.

**ლოკომოტივი (თბილისი) – აია (ქუთაისი) 13:13 (7:10)**

ლოკომოტივი: წიკლაური, ბიწაძე, ქავთარაძე, კავთიძე, ჟამუტაშვილი, კვინიხიძე, ღვინჯილია; გასვიანი, გენებაშვილი, ელოშვილი, გეგია, სულთანიშვილი, ხოლუაშვილი, ჩიტიძე, მაისურაძე

აია: ძნელაძე, გოშაძე, ფრუიძე, კუხიანიძე, კვერნაძე, სინაურიძე, როხვაძე; ულუმბელაშვილი, მატკავა, ლომიძე, შალამბერიძე, ძაგნიძე, დგებუაძე, ყურაშვილი, თხელიძე

თბილისელები მეტოქეს ძალისმიერ თამაშში ჯაბნიდნენ, მაგრამ ქუთაისელები კარგად იცავდნენ თავს და სწრაფი უკანახაზელების ხარჯზე გეგმავდნენ უპირატესობის მოპოვებას. მატჩის დებიუტში ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა „ლოკომოტივს" ჰქონდა, მაგრამ ბობა კვინიხიძეს არეკნი გაუცუდდა. საპასუხო შეტევისას გიორგი ფრუიძემ მეტოქის დაცვის ხაზი გაჭრა და ლელო ძელებსშუა გაიტანა, გაგა სინაურიძემ კი, გარდასახვით მე-6 წუთზე ანგარიში 7:0 გახადა.

მასპინძლებმა სცადეს პასუხის გაცემა, მაგრამ ბექა წიკლაურს ლელომდე სანტიმეტრები დააკლდა, შემდეგ კვინიხიძემ ჯარიმა გააცუდა.

ამის შემდეგ თემურ ბენდიაშვილის შეგირდებმა ჯარიმა კარში აღარ დაარტყეს და ლელოზე ითამაშეს. გარკვეული დროით „აიამ" საკუთარი ჩათვლის მოედნის ხელუხლებლად შენახვა მოახერხა, მაგრამ წნეხს ვერ გაუძლო და რამდენიმე დარტყმის შემდეგ ლევან გენებაშვილმა საპასუხო ლელო გაიტანა, ხოლო გარდასახვის დარტყმა ვახტანგ კავთიძემ ითავა და წონასწორობა აღადგინა. ტაიმის ბოლოს „აია" გააქტიურდა, იერიში მარცხენა ფლანგზე გაიშალა, მაგრამ ჩათვლის მოედნიდან ორიოდე მეტრში ბაკურ გოშაძე აუტში გადაიყვანეს.

სამაგიეროდ, ქუთაისელებს ჯარიმის უპირატესობა ჰქონდათ და სინაურიძემ ის 3 ქულად აქცია – 10:7. სულ ბოლოს სტუმრები მოედანზე კაცნაკლული დარჩნენ, მსაჯმა თორნიკე ძაგნიძე გაასინბინა და „ლოკომოტივმაც" შეუტია და კავთიძეს კარის გასწვრივ 25 მეტრიდან წონასწორობა უნდა აღედგინა, მაგრამ გასატანი ჯარიმა კარს ააცილა.

მეორე ტაიმი კვლავ „ლოკომოტივის" იერიშებით დაიწყო, რომელიც საგრძნობ უპირატესობას დაეუფლა და მისი ასახვა ლელოში სცადა. თბილისელებმა რამდენიმე დასარტყმელი ჯარიმა აუტში გადაიტანეს, მაგრამ ლელოს გატანა ვერ მოახერხას და 65-ე წუთზე კავთიძემ ჯარიმით ანგარიში გაათანაბრა. ამას კვლავ „აიას" გააქტიურება მოყვა და სინაურიძემ ქუთაისელები ჯარიმით ერთხელაც დააწინაურა, მაგრამ ბოლო სიტყვა კვლავ „ლოკომოტივის" იყოკავთიძემ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 13:13.

**არმაზი – ბათუმი 23:16**
**ხარები – ყოჩები 29:16**

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 13 | 12 | 0 | 1 | 372:162 | 56 |
| 2.არმია | 13 | 11 | 0 | 2 | 328:195 | 51 |
| 3.აია | 13 | 8 | 2 | 3 | 356:198 | 42 |
| 4.არმაზი | 13 | 10 | 0 | 3 | 262:207 | 42 |
| 5.ჯიქები | 13 | 6 | 0 | 7 | 242:222 | 31 |
| 6.ლოკომოტივი | 13 | 5 | 2 | 6 | 265:243 | 29 |
| 7.ხარები | 13 | 4 | 0 | 9 | 191:287 | 20 |
| 8.ბათუმი | 13 | 3 | 0 | 10 | 207:320 | 15 |
| 9.აკადემია | 13 | 3 | 0 | 10 | 111:352 | 14 |
| 10.ყოჩები | 13 | 1 | 0 | 12 | 194:342 | 7 |

# კასპაროვი საქართველოს ესტუმრა



**საქართველოს საქმიანი ვიზიტით ჭადრაკის დიდოსტატი და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე გარი კასპაროვი სტუმრობდა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ეწვია, სადაც ლეგენდარულმა მოჭადრაკემ მინისტრის პირველ მოადგილე, ზურაბ აზმაიფარაშვილთან ერთად, მედიისათვის პრესკონფერენცია გამართა.**

პრესკონფერენციას ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილეები – თამაზ თევზაძე და რატი ბრეგაძე დაესწრნენ.

პრესკონფერენციაზე კასპაროვმა ჭადრაკის სასკოლო საპილოტე პროგრამის შესახებ ისაუბრა, რომელიც საქართველოს 100 საჯარო სკოლაში დაინერგება. პროგრამა ქართულ ენაზე ითარგმნა და ქართულ სკოლებში არსებული საწავლო პროგრამასთან ადაპტირდა.

ბრიფინგზე კასპაროვმა კომენტარი 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზეც გააკეთა და აღნიშნა, რომ მიუხედავად აქამდე დახარჯული 50 მილიარდი დოლარისა, რუსეთის ფედერაციას ოლიმპიური თამაშების ორგანიზების მხრივ სერიოზული პრობლემები აქვს და დღევანდელი გადასახედიდან, ოლიმპიადის ჩატარება შესაძლოა კატასტროფის წინაშე დადგეს.

სამინისტროში ჩატარებული პრესკონფერენციის შემდეგ, კასპაროვმა პროგრამის – „ჭადრაკი სკოლაში" თბილისის პირველ ექსპერიმენტალურ სკოლაში საჩვენებელი გაკვეთილი ჩაატარა. გაკვეთილის მსვლელობას პარალელურ, „ონ ლაინ" რეჟიმში ქუთაისის 21-ე და ფოთის მე-2 სკოლის მოსწავლეებიც შეუერთდნენ.

**გარი კასპაროვი:**

– ყოველთვის მოხარული ვარ საქართველოში ვიზიტით. ამჯერად ჩემს ვიზიტს მხოლოდ სპორტული მნიშვნელობა აქვს. ძალიან კარგია, რომ გასულ წელს დაგეგმილი სასკოლო ჭადრაკის პროგრამის რეალიზება მიმდინარეობს და ჭადრაკს სახელმწიფოს მხრიდან კვლავ აქვს მხარდაჭერა. საქართველოს სკოლებში ჭადრაკის სასკოლო პროგრამის დანერგვა ვფიქრობ ზოგადად ჭადრაკის პოპულარიზაციას კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს და ასევე გავლენას იქონიებს მოზარდების სამომავლო განათლებასა და აზროვნების დახვეწაზე.

**ზურაბ აზმაიფარაშვილი:**

– მართლაც სასიხარულოა, რომ საქართველოს ასეთი დონის მოჭადრაკე სტუმრობს, როგორიც გარი კასპაროვია. კასპაროვთან ერთად ჩვენ საქართველოს სკოლებში ჭადრაკის სწავლების იმ თანამედროვე პროგრამის დანერგვას ვცდილობთ, რომელიც მოსწავლეებს არა მხოლოდ ჭადრაკს, არამედ სწრაფად აზროვნებას შეასწავლის. ეს ყოველივე კი მოზარდების შემეცნების და განათლების თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია.

**გიორგი გიორგაძე:**

– პროგრამა „ჭადრაკი სკოლაში" ჩვენთვის მართლაც მნიშვნელოვანი პროექტია. ასევე სასიხარულოა, რომ გარი კასპაროვის საჩვენებელ გაკვეთილებში საქართველოს რეგიონული სკოლებიც ჩაერთვებიან და ქუთაისისა და ფოთის სკოლების მოსწავლეებსაც მიეცემათ შანსი მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის გაკვეთილები მოისმინონ. ასე რომ, დასაწყისი ძალზე კარგია და იმედი გვაქვს აღნიშნული პროგრამა სამომავლოდ დიდ წარმატებას მოგვიტანს.

# ჰეიგმა სარუსეთოდ 25 მორაგბე შეარჩია

23 თებერვალს, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 2013 წლის ერთა თასის მე-3 ტურის მატჩს გამართავს, რომელიც ამავდროულად 2015 წლის მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპია. ქართველი ბორჯღალოსნები სოჭში რუსეთის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა მოახლოებული მატჩისთვის 25 მორაგბე გამოიძახა.

წინა შეკრებისგან განსხვავებით ახალზელანდიელმა სპეციალისტმა გაფართოებული შემადგენლობა 25 კაცამდე დაიყვანა, სადაც 14 მორკინალია, 11 კი უკანახაზელი. ამათგან, 23 სამატჩო განაცხადში მოხვდება. განვლილ ორ თამაშთან შედარებით ნაკრებში ორი ახალი სახეა და ორივე პირველხაზელი – „ტულუზელი" ვასილ კაკოვინი და „ბრივის" კვაჭი იური ნატრიაშვილი.

**საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა**

შერკინება: ვასილ კაკოვინი (ტულუზა, საფრანგეთი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე, საფრანგეთი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი, საფრანგეთი), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი, საფრანგეთი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი, საფრანგეთი), იური ნატრიაშვილი (ბრივი, საფრანგეთი), შალვა მამუკაშვილი (არმია), გიორგი ჩხაიძე (ტარბი, საფრანგეთი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი, საფრანგეთი), ლაშა ლომიძე (მონპელიე, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი (მასი, საფრანგეთი), ბექა ბიწაძე (არმია), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი, შოტლანდია), მამუკა გორგოძე (მონპელიე, საფრანგეთი);

უკანა ხაზი: გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები), მერაბ კვირიკაშვილი (სენ-ჟუნიენი, საფრანგეთი), ლაშა ხმალაძე (ლელო), მერაბ შარიქაძე (ჰართპული, ინგლისი), დავით კაჭარავა (როდეზი, საფრანგეთი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო, საფრანგეთი), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი, საფრანგეთი), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა წიკლაური (ლოკომოტივი).

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლივერპული-სუონსი ..................... 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 26 | 21 | 2 | 3 | 62:31 | 65 |
| 2.სიტი | 26 | 15 | 8 | 3 | 48:24 | 53 |
| 3.ჩელსი | 26 | 14 | 7 | 5 | 55:28 | 49 |
| 4.ტოტენჰემი | 26 | 14 | 6 | 6 | 44:30 | 48 |
| 5.არსენალი | 26 | 12 | 8 | 6 | 50:29 | 44 |
| 6.ევერტონი | 26 | 10 | 12 | 4 | 40:32 | 42 |
| 7.ლივერპული | 27 | 10 | 9 | 8 | 49:34 | 39 |
| 8.სუონსი | 27 | 9 | 10 | 8 | 38:34 | 37 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 26 | 11 | 4 | 11 | 36:35 | 37 |
| 10.სტოკი | 26 | 7 | 12 | 7 | 26:31 | 33 |
| 11.ვესტ ჰემი | 26 | 8 | 6 | 12 | 29:38 | 30 |
| 12.ფულემი | 26 | 7 | 8 | 11 | 36:42 | 29 |
| 13.სანდერლენდი | 26 | 7 | 8 | 11 | 28:34 | 29 |
| 14.ნორვიჩი | 26 | 6 | 11 | 9 | 25:40 | 29 |
| 15.ნიუკასლი | 26 | 7 | 6 | 13 | 34:46 | 27 |
| 16.საუთჰემპტონი | 26 | 6 | 9 | 11 | 36:45 | 27 |
| 17.ასტონ ვილა | 26 | 5 | 9 | 12 | 25:50 | 24 |
| 18.რედინგი | 26 | 5 | 8 | 13 | 33:48 | 23 |
| 19.უიგანი | 26 | 5 | 6 | 15 | 30:51 | 21 |
| 20.ქპრ | 26 | 2 | 11 | 13 | 19:41 | 17 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სოსიედადი-ლევანტე ..................... 1:1
ვალენსია-მალიორკა ..................... 2:0
ვალიადოლიდი-ატლეტიკო .......... 0:3
რეალი-რაიო .................................. 2:0
ესპანიოლი-ბეტისი ...................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 24 | 21 | 2 | 1 | 80:27 | 65 |
| 2.ატლეტიკო | 24 | 17 | 2 | 5 | 47:23 | 53 |
| 3.რეალი | 24 | 15 | 4 | 5 | 60:22 | 49 |
| 4.მალაგა | 24 | 12 | 6 | 6 | 35:21 | 42 |
| 5.ვალენსია | 24 | 12 | 4 | 8 | 34:35 | 40 |
| 6.სოსიედადი | 24 | 10 | 7 | 7 | 38:30 | 37 |
| 7.რაიო | 24 | 12 | 1 | 11 | 33:41 | 37 |
| 8.ბეტისი | 24 | 11 | 3 | 10 | 31:35 | 36 |
| 9.ლევანტე | 24 | 10 | 4 | 10 | 30:36 | 34 |
| 10.სევილია | 24 | 9 | 5 | 10 | 33:35 | 32 |
| 11.ხეტაფე | 24 | 9 | 5 | 10 | 34:41 | 32 |
| 12.ესპანიოლი | 24 | 8 | 7 | 9 | 31:34 | 31 |
| 13.ვალიადოლიდი | 24 | 8 | 6 | 10 | 32:32 | 30 |
| 14.გრანადა | 24 | 7 | 5 | 12 | 23:34 | 26 |
| 15.ბილბაო | 24 | 7 | 5 | 12 | 29:46 | 26 |
| 16.ოსასუნა | 24 | 5 | 7 | 11 | 20:27 | 25 |
| 17.სარაგოსა | 24 | 7 | 3 | 14 | 22:34 | 24 |
| 18.სელტა | 24 | 5 | 5 | 14 | 22:31 | 20 |
| 19.მალიორკა | 24 | 4 | 6 | 14 | 23:45 | 18 |
| 20.დეპორტივო | 24 | 3 | 7 | 14 | 28:54 | 16 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უელვა-რასინგი ............................ 1:0
ხიხონი-ელჩე ................................ 0:2
კორდობა-ალკორკონი ................. 1:1
ლას პალმასი-ხირონა .................. 5:2
მირანდესი-მურსია ...................... 0:1
ნუმანსია-ხერესი ......................... 3:0
უესკა-ლუგო ................................ 3:0
ერკულესი-ვილიარეალი ............. 1:1

**იტალია. სერია ა**

ჯენოა-უდინეზე ............................ 1:0
კატანია-ბოლონია ........................ 1:0
ნაპოლი-სამპდორია ..................... 0:0
პესკარა-კალიარი ........................ 0:2
ტორინო-ატალანტა ...................... 2:1
ფიორენტინა-ინტერი ................... 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 25 | 17 | 4 | 4 | 50:17 | 55 |
| 2.ნაპოლი | 25 | 15 | 6 | 4 | 46:21 | 51 |
| 3.მილანი | 25 | 13 | 5 | 7 | 44:31 | 44 |
| 4.ლაციო | 24 | 14 | 5 | 6 | 35:26 | 44 |
| 5.ინტერი | 25 | 13 | 4 | 8 | 40:33 | 43 |
| 6.ფიორენტინა | 25 | 12 | 6 | 7 | 45:30 | 42 |
| 7.კატანია | 25 | 11 | 6 | 8 | 32:30 | 39 |
| 8.რომა | 25 | 11 | 4 | 10 | 51:45 | 37 |
| 9.უდინეზე | 25 | 9 | 9 | 7 | 35:34 | 36 |
| 10.პარმა | 25 | 8 | 8 | 9 | 31:33 | 32 |
| 11.ტორინო | 25 | 7 | 11 | 7 | 29:28 | 31 |
| 12.სამპდორია | 25 | 8 | 6 | 11 | 31:30 | 29 |
| 13.კიევო | 25 | 8 | 5 | 12 | 26:40 | 29 |
| 14.კალიარი | 25 | 7 | 7 | 11 | 28:41 | 28 |
| 15.ატალანტა | 25 | 8 | 5 | 12 | 22:35 | 27 |
| 16.ბოლონია | 25 | 7 | 5 | 13 | 33:35 | 26 |
| 17.ჯენოა | 25 | 6 | 7 | 12 | 26:37 | 25 |
| 18.პესკარა | 25 | 6 | 3 | 16 | 20:51 | 21 |
| 19.სიენა | 24 | 6 | 6 | 12 | 24:34 | 18 |
| 20.პალერმო | 25 | 3 | 10 | 12 | 22:39 | 18 |

**შენიშვნა:**

*სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა*
*სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა*

**იტალია. სერია ბ**

ნოვარა-ვერონა 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ნიურნბერგი-ჰანოვერი ................. 2:2
ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი ............. 0:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-აუგსბურგი ........... 2:1
ვერდერი-ფრაიბურგი .................. 2:3
ჰამბურგი-გლადბახი ................... 1:0
მაინცი-შალკე ............................. 2:2
ფორტუნა-ფიურტი ....................... 1:0
დორტმუნდი-აინტრახტი .............. 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 22 | 18 | 3 | 1 | 57:7 | 57 |
| 2.დორტმუნდი | 22 | 12 | 6 | 4 | 50:26 | 42 |
| 3.ლევერკუზენი | 22 | 12 | 5 | 5 | 43:30 | 41 |
| 4.აინტრახტი | 22 | 11 | 4 | 7 | 38:34 | 37 |
| 5.ფრაიბურგი | 22 | 9 | 7 | 6 | 29:22 | 34 |
| 6.ჰამბურგი | 22 | 10 | 4 | 8 | 27:27 | 34 |
| 7.მაინცი | 22 | 9 | 5 | 8 | 30:27 | 32 |
| 8.ჰანოვერი | 22 | 9 | 3 | 10 | 41:41 | 30 |
| 9.შალკე | 22 | 8 | 6 | 8 | 35:37 | 30 |
| 10.გლადბახი | 22 | 7 | 9 | 6 | 31:33 | 30 |
| 11.ვერდერი | 22 | 8 | 4 | 10 | 38:41 | 28 |
| 12.შტუტგარტი | 22 | 8 | 4 | 10 | 24:39 | 28 |
| 13.ფორტუნა | 22 | 7 | 6 | 9 | 27:29 | 27 |
| 14.ნიურნბერგი | 22 | 6 | 8 | 8 | 22:29 | 26 |
| 15.ვოლფსბურგი | 22 | 7 | 5 | 10 | 22:32 | 26 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 22 | 4 | 4 | 14 | 26:46 | 16 |
| 17.აუგსბურგი | 22 | 2 | 9 | 11 | 18:35 | 15 |
| 18.ფიურტი | 22 | 2 | 6 | 14 | 13:36 | 12 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დინამო-ზანდჰაუზენი .................. 3:1
დუისბურგი-კაიზერი ................... 0:0
ფრანკფურტი-კოტბუსი .............. 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბორდო-ლიონი ............................ 0:4
რეიმსი-სენტ ეტიენი ................... 1:1
სოშო-პსჟ ..................................... 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 25 | 15 | 6 | 4 | 47:16 | 51 |
| 2.ლიონი | 25 | 14 | 6 | 5 | 43:24 | 48 |
| 3.მარსელი | 25 | 14 | 4 | 7 | 32:29 | 46 |
| 4.ნიცა | 25 | 11 | 9 | 5 | 37:28 | 42 |
| 5.სენტ ეტიენი | 25 | 11 | 8 | 6 | 37:19 | 41 |
| 6.რენი | 25 | 12 | 4 | 9 | 37:32 | 40 |
| 7.ლორიენი | 25 | 10 | 9 | 6 | 41:39 | 39 |
| 8.მონპელიე | 25 | 11 | 5 | 9 | 40:32 | 38 |
| 9.ბორდო | 25 | 9 | 11 | 5 | 26:20 | 38 |
| 10.ლილი | 25 | 9 | 10 | 6 | 31:25 | 37 |
| 11.ვალანსიენი | 25 | 9 | 6 | 10 | 34:36 | 33 |
| 12.ტულუზა | 25 | 8 | 8 | 9 | 32:32 | 32 |
| 13.აიაჩო | 25 | 7 | 10 | 8 | 28:33 | 29 |
| 14.სოშო | 25 | 7 | 5 | 13 | 25:36 | 26 |
| 15.ბასტია | 25 | 7 | 5 | 13 | 29:51 | 26 |
| 16.ბრესტი | 25 | 7 | 4 | 14 | 25:36 | 25 |
| 17.რეიმსი | 25 | 5 | 9 | 11 | 22:29 | 24 |
| 18.ევიანი | 25 | 5 | 8 | 12 | 23:38 | 23 |
| 19.ტრუა | 25 | 3 | 10 | 12 | 28:46 | 19 |
| 20.ნანსი | 25 | 3 | 9 | 13 | 22:41 | 18 |

**შენიშვნა:**

*აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა*

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ვიტესი-გრონინგენი ..................... 2:0
დენ ჰააგი-ჰერენვენი ................. 2:1
ზვოლე-ფეინოორდი ................... 3:2
ვალვაიკი-აიაქსი ........................ 0:2

**პორტუგალია. ა ლიგა**

მარიტიმუ-ეშტორილი ................ 2:1
ოლჰანენსე-სეტუბალი ............... 0:1
ფერეირა-ნასიონალი .................. 1:1
გიმარაეში-მორიერენსე ............. 1:0
ბენფიკა-აკადემიკა ..................... 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლოზანა-ბაზელი ......................... 1:2
ლუცერნი-ციურიხი ..................... 1:1
თუნი-სერვეტი ............................ 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-აუსტრია ........................ 1:2

**ბელგია. პროლიგა**

ლოკერენი-ბრიუგე ...................... 1:1
გენკი-კორტრაიკი ........................ 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლევადიაკოსი-ატრომიტოსი ........ 0:0
ვერია-ასტერასი .......................... 1:2
ქსანთი-ოლიმპიაკოსი ................ 0:2
არისი-პანათინაიკოსი ................ 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ორდუ-ისთანბული ....................... 2:2
ბურსა-ელაზიგი ........................... 1:0
ტრაბზონი-ფენერბახჩე .............. 0:3

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

ტიგრე-ბოკა ................................ 0:0
ქილმესი-ოლ ბოიზი ................... 2:1
ოლდ აბოიზი-ლანუსი ................ 0:3
რივერ პლეიტი-ესტუდიანტესი ... 1:0

**კალათბურთი**

**ნბა. ყველა ვარსკვლავის მატჩი**

დასავთელი-აღმოსავლეთი .. 143:138

**ჩოგბურთი**

**ატპ. სან ხოსე. ფინალი**

რაონიჩი-ჰაასი ........................ 6:4;6:3

**ატპ. საან პაულ. ფინალი**

ნადალი-ნალბანდიანი ............. 6:2;6:3

**ვტა. დოჰა**

ულიამსი!ს.-აზარენკა ....... 6:7;6:2;3:6

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ბუფალო-პიტსბურგი ................... 3:4
ჩიკაგო-ლოს ანჯელესი .............. 3:2
ვინიპეგი-ბოსტონი ..................... 2:3
დალასი-კალგარი ....................... 3:4
მინესოტა-დეტროიტი ................. 3:2
რეინჯერსი-ვაშინგტონი ............. 2:1
ვანკუვერი-სენტ ლუსი ........ 3:3(0:1ბ)

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# იშხანი და ოშკი აღდგება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ლების სურვილი, ბათუმში ახალი მეჩეთ-კომპლექსის მშენებლობის შესახებ, რასაც ძველი მეჩეთის აღდგენად წარმოაჩენენ.

არა აქვს გამართლება იმ პოზიციასაც, თითქოს ეს კეთდება ოშკისა და იშხნის გადარჩენის მიზნით, რადგან, საერთაშორისო სამართლის ნორმებით, მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა თურქეთის სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა. ამიტომაც, ხელისუფლებას ამ მიზნით წლების წინ უნდა მიემართა იუნესკოსთვის (რაც არაერთხელ შევახსენეთ) და ეს თემა დღეს განხილვის საგნად არ უნდა ექცია.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ წამოვაყენეთ ისეთი წინადადება, რომელიც შესაძლებელს გახდის ქართულ-თურქული ამ მოლაპარაკებების ორმხრივად მისაღები გზით განვითარებას. ამიტომაც იყო, რომ საქართველოში და პირველ რიგში აჭარაში გახსნილი ასობით მეჩეთისა და ჯამეს საპირწონედ ტაოსა და ლაზეთში თითო-თითო ეკლესიის აღდგენა-ამოქმედება შევთავაზეთ და ამასთან საპატრიარქოს ჩართვა აღნიშნულ მოლაპარაკებებში.

ჩვენ ვდგამთ კიდევ ერთ ნაბიჯს და ამ ეტაპზე აღარ ვაყენებთ ხახულის ეკლესიის (ტაოს მხარე) ფუნქციონირების საკითხს. ვითხოვთ, მხოლოდ უძველეს ქართულ საეპისკოპოსო ქალაქ არდაშენში (ლაზეთის მხარე), მცირე ზომის ბაზილიკის ჩვენი თანხებით აღდგენა-ამოქმედებას. (შევნიშნეთ, რომ ამ რეგიონში ქართული სხვა არაერთი გაცილებით დიდი ძეგლია) და ამის შემდეგ თურქეთსა და საქართველოში მეჩეთებისა და ტაძრების რესტავრაციაზე საუბარს ჩვენი მონაწილეობით. ხოლო, თუ ამის განხორციელება რაიმე მიზეზით თურქული მხარისთვის მიუღებელია, ჩვენთვისაც ყოვლად მიუღებელია ოშკის და იშხნის გადარჩენის საბაბით ბათუმში ჩვენი ისტორიის მძიმე პერიოდის სიმბოლოს, აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა.



ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ასეთი ქმედებით ხელოვნურად ხდება მუსლიმებსა და ქრისტიანების შორის დაძაბულობის პროვოცირება; არადა, საქართველოში მუსლიმები რომელი ერის წარმომადგენლებიც არ უნდა იყვნენ ისინი, ისევე, როგორც სხვა რელიგიის აღმსარებელნი, არასოდეს იზღუდებოდნენ, პირიქით, ყოველთვის კარგად გრძნობდნენ თავს და ამიტომაც იყო, რომ არაერთმა მათგანმა შესწირა სიცოცხლე საქართველოს დაცვას; ეს დღესაც ასეა და ამას პირველ რიგში ქართველი ადამიანის შემწყნარებლური ქრისტიანული ბუნება განაპირობებს.

გამოვთქვამთ იმედს, რომ როგორც თურქეთის, ისე საქართველოს ხელისუფლება გაითვალისწინებს ჩვენს შეთავაზებას და არ გადადგამენ ისეთ ნაბიჯებს, რაც ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის პრობლემების შექმნას შეუწყობს ხელს."

როგორ განვითარება მოვლენები და სად აშენდება მეჩეთი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ძეგლების რესტავრაციის სანაცვლოდ, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

# ქველმოქმედება სოფიკო ჭიაურელის სახელით

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გიორგი შენგელაიაზე დაქორწინდა. წყვილს ორი ვაჟი – ნიკუშა და ალექსანდრე შეეძინათ. მსახიობი გადაღებებზე თითქმის ყოველთვის ორი შვილით დადიოდა. გიორგი შენგელაიას და სოფიკო ჭიაურელის ქორწინება დასრულდა და ცხოვრების მეგზურად სოფიკო ჭიაურელმა კოტე მახარაძე აირჩია. ამბობენ, რომ კოტე მახარაძეს და სოფიკო ჭიაურელს ერთმანეთი ვერიკო ანჯაფარიძის მიერ აღდგენილ „ურიელ აკოსტაში" თამაშისას შეუყვარდათ. მსახიობი ყოველთვის ნანობდა, რომ საყვარელი ადამიანისგან შვილი არ გააჩინა. კოტე მახარაძემ ფიქრის გორაზე დააარსა ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო", რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა, ხოლო კოტეს ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ, ამ საქმეს სოფიკო ჭიაურელი ჩაუდგა სათავეში. მსახიობი დედის სახელობის თეატრს გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი 71 წლის ასაკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ საკუთარ სახლში გარდაიცვალა. ის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მეუღლის კოტე მახარაძის გვერდით დაკრძალეს.

ამჯერად ფონდი „იავნანა" სოფიკო ჭიაურელის 75 წლის იუბილეს უძღვნის საქველმოქმედო კონცერტს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, ნანი ბრეგვაძე, ბუბა კიკაბიძე, ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, ნიკოლოზ რაჭველი, სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და სხვა მუსიკოს-შემსრულებლები.

– 2008 წლის ოქტომბრიდან დღემდე ჩვენი ფონდი მხარდამჭერთა თანადგომით ყოველთვიურ დახმარებას ურიცხავს აგვისტოს ომის დროს დაობლებულ ყველა ბავშვს. სამწუხაროდ, ომის შემდეგ მამის გარეშე 133 ბავშვი დარჩა. 7 წლის დიტო რაზმაძეს კი გორის დაბომბვის დროს მამასთან ერთად ორსული დედაც დაეღუპა, დიტო 2008 წელს ფონდის შვილობილი გახდა, „იავნანამ" მას შეუძინა ბინა და 18 წლის ასაკამდე მის მეურვეობაზე მთლიანად აიღო პასუხისმგებლობა. ჩვენი დიდი სურვილია, რომ ყველამ ერთად შევძლოთ და ამ ბავშვებს სრულწლოვანების ასაკამდე შევუნარჩუნოთ ყოველთვიური დახმარება. ერთი წლის მანძილზე ერთი ბავშვის მხარდასაჭერად საჭირო თანხა 1200 ლარს შეადგენს. შემოგვიერთდით, აგვისტოს ომის დროს დაღუპული ჯარისკაცების შვილების მხარდაჭერა ჩვენი ვალია! – ნათქვამია ფონდის „იავნანა" სპეციალურ განცხადებაში.

სოფიკო ჭიაურელის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი კონცერტის ბილეთების ფასია 10, 15, 20, 35, 55 ლარი.

– ასევე შეგიძლიათ შემოწიროთ 1200 ლარი და მიიღოთ სპეციალური ბილეთი, რითაც თქვენ ერთ წლიან დახმარებას გაუწევთ აგვისტოს ომის დროს დაღუპული ჯარისკაცის შვილს! 2 მარტის საღამოზე დასასწრებად ასეთი 129 ბილეთი გაიცემა. შემოუერთდით ჩვენს ტელემარათონს! დარეკეთ ნომერზე 09 01 30 30 30. პროექტის წარმომდგენები არიან ფონდი „იავნანა" და კომპანია „სილკნეტი", – აღნიშნულია საგანგებო განცხადებაში.

საქველმოქმედო კონცერტის მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თბილისის მერია და მარჯანიშვილის თეატრი. ბილეთების გაყიდვა ფილარმონიის სალაროებში 15 თებერვლიდან დაიწყო.

## კროსვორდი ბ



შვეულად: 1. პირველი შვილი; 2. საკათედრო ტაძარი თბილისში; 3. ავტოდრომი მილანის მახლობლად; 5 მცენარეთა და ცხოველთა კლასიფიკაციის ყველაზე მსხვილი ერთეული; 6. სვან მამაკაცთა ცეკვა; 8. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 11. მწერალ გიორგი ახვლედიანის ლიტერატურული ფსევდონიმი; 13. მოდური სიმღერა, მუსიკალური ნაწარმოები; 14. ჩქარტემპიანი უნგრული ცეკვა; 15. ასაკოვანი უცოლშვილო მამაკაცი; 19. ახალი თევზისგან მომზადებული იაპონური კერძი.

თარაზულად: 1. ტბა საქართველოში; 4. სომხური ანბანის შემქმნელი; 7. მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 9. სხვადასხვა ქსოვილის ნაკუწებისგან შეკერილი ტანსაცმელი; 10. უმარტივესი ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ცხოველი; 12. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 16. სათამაშო სახლი, კაზინო; 17. მამლების ჩხუბი; 18. შვეიცარიის ალპებში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ბალახოვანი მცენარე; 20. ღრმა ძილის მდგომარეობა; 21. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 22. ოლქი ესპანეთში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. კანადა; 5. პირამიდა; 6. სიმბა; 7. აქსიომა; 8. ეთნოსი; 10. არაკი; 13. იდეალი; 15. ლიმიტი; 16. ნიკე; 17. ვირა; 20. ლეირდი; 21. კიოსკი; 22. პროლოგი; 23. ლინონი.

**შვეულად:** 1. პაროდია; 2. ნაფთალინი; 3. ლიგროინი; 4. კაქტუსი; 5. პიროლი; 9. სკივრი; 11. კონკური; 12. ფიკუსი; 14. ეპილოგია; 18. ანხოი; 19. კროლი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ეშაფოტი; 2. გარდი; 3. რო; 4. მელ; 5. ფრე; 6. ბანი; 7. კია; 8. იშემია; 9. მუშტრა; 10. პიერ; 11. არ; 12. ალენ; 13. ფრუ; 14. კატალოგი; 15. სირია; 16. მიო; 17. ინტინა; 18. იმამი; 19. სერ; 20. იაგუარი; 21. ლა; 22. ალი; 23. ანანკე; 24. ალაზანი; 25. იან; 26. არა; 27. ლამარია; 28. მახა; 29. ბალი; 30. არაყი; 31. ესკიმო; 32. კოლი; 33. ორლი; 34. სიო; 35. პა; 36. ლია; 37. ნალი.

**სურათებზე:** ლუსია მედესი; ანხელ დი მარია.

# საქართველოში, 31 ათას მასწავლებელს ბანკში დავალიანება აქვს

შორენა გონგლაძე

ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი ასლან აბაშიძე გუშინ საინფორმაციო სააგენტო „ივერონის" პრესკლუბში, ჟურნალისტების კითხვებს პასუხობდა. კითხვები ძირითადად რუსეთ-საქართველოს შორის დღეს არსებულ მდგომარეობას და შემდგომში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შესაძლო განვითარებას ეხებოდა. პროფესორი ასლან აბაშიძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით სამოქმედო გეგმა არ გააჩნია.

როგორც ასლან აბაშიძემ განაცხადა, ივანიშვილის მთავრობის ერთი ნაწილი განცხადებებს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების საკითხებზე აკეთებს მაშინ, როდესაც მეორე ჯგუფი საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში უნდა გაწევრიანებაზე საუბრობს, რაც მისი თქმით, არარეალურია.

– დღეისათვის, ერთ-ერთი უმწვავესი საკითხი არის რუსეთ-საქართველოს შორის არსებული პრობლემები.

როგორ შეიძლება, ერთსა და იმავე დროს, ნატოში და ევროკავშირში შედიოდე და ამავე დროს, აფხაზეთის და სამაჩაბლოს უცებ დაბრუნება და თან, რუსეთთან დაახლოება გინდოდეს. დღევანდელი ფონიდან გამომდინარე ეს მიუღწეველია. ერთის მხრივ, ერთი ჯგუფი ცდილობს ევროპასთან ინტეგრაციას, მეორე ჯგუფი კი, რუსეთთან კავშირის განახლებას. ამ ფონზე ვერაფერს ვერ მივაღწევთ, უნდა გავაკეთოთ დივერსიფიკაცია და გავარკვიოთ, საით მივდივართ. ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ერთი გეგმა, რომელსაც მე ჯერჯერობით ვერ ვხედავ, – განაცხადა პროფესორმა.

მისივე თქმით, ხელისუფლებაში მოსულმა პარტიამ უნდა განაცხადოს, რა გეგმით მოდის და რა სტრატეგიას იღებს საგარეო ურთიერთობებში. ეს არის ურთულესი პრობლემა და თუ ვინმე ამაზე მარტივად ილაპარაკებს, ის თავის თავს ატყუებს. ამიტომ, ამ საკითხს ვინც ხელს მოკიდებს, ეს საკითხი უნდა დაანაწევროს ძალიან ბევრ დეტალებად და ყველა საკითხი საფეხურებრივად უნდა იყოს განხილული და განხორციელებული. ვინც ფიქრობს, რომ ეს საკითხი ასე უცებ არის გადასაწყვეტი, ეს შეცდომაა. რაც შეეხება ჯგუფს, რომელიც შეიქმნა და მუშაობს ამ საკითხებზე, ჩემთვის გაუგებარია ერთი რამ, ხდება შეხვედრები, მიმდინარეობს მუშაობა ამ ჯგუფის მიერ და ამ ყველაფრის პარალელურად, საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ საქართველოს აქვს აღებული კურსი ევროინტეგრაციისკენ და ეს არ შეიცვლება. თუ ამ ფონზე განვიხილავთ ყველა გადადგმულ ნაბიჯს, მაშინ ჩვენ ვერაფერს ვერ მივაღწევთ. – აცხადებს აბაშიძე.

რაც შეეხება მოსაზრებას, ქვეყნის საგარეო კურსის დაფიქსირებას კონსტიტუციაში, ასლან აბაშიძის განცხადებით, ეს არის შეცდომა.

– არის საუბარიც, რომ საქართველოს საგარეო კურსი უნდა დაფიქსირდეს კონსტიტუციაში, ჯერ ერთი, ეს არის გაუაზრებელი საუბარი, არ შეიძლება ყველაფერი ჩაიწეროს კონსტიტუციაში. როდესაც მმართველი პარტია მოდის ხელისუფლებაში, მან უნდა განსაზღვროს ქვეყნის კურსი. მე მიმაჩნია, რომ ისეთი საკითხები, როგორიცაა ნატოსთან ურთიერთობა, რუსეთთან და სხვა მეზობლებთან ურთიერთობა, ეს უნდა იყოს ტაქტიკა იმ მმართველი პარტიისა, რომელიც ხალხმა აირჩია. მან ღიად და გასაგებად უნდა განაცხადოს, მას რა უნდა. მგონია, რომ რაღაც შიშის გრძნობაც გააჩნიათ, რომ ამ თემას ღრმად შეეხონ, მაგალითად, თქვან, რომ ჩვენ დღეს არ გვაწყობს ხმამაღლა და დარწმუნებით ვილაპარაკოთ ნატოში შესვლაზე. თუ საქართველო დარწმუნებით იტყვის, რომ ჩვენ შევდივართ ნატოში და ეს არის ჩვენი პირველი ამოცანა, არავითარი შედეგიანი მოლაპარაკებები არ იქნება რუსეთთან. თუ ეს არ მოხდება, შესაბამისად ვერ მოხდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხის გადაწყვეტა. ამიტომ, ჩვენ უნდა ვიფიქროთ ისეთ გეგმებზე, როგორიც იქნება ყველაფერი ერთმანეთში შეზავებული.

ასლანტ აბაშიძემ საკონსტიტუციო ცვლილებებზეც ისაუბრა, მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობის" შეთავაზება, რომ ოქტომბრამდე ამოქმედდეს ის მუხლები, რომლებიც პრეზიდენტის უფლებებს განსაზღვრავს, რეალურად ქვეყანაში არაფერს შეცვლის. მისივე თქმით, წინა ხელისუფლება კარგად შემუშავებულ სტრატეგიას მიჰყვება, რომელიც საბოლოოდ ახალ ხელისუფლებას პოლიტიკურად გააკოტრებს. „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის დროს მიღებული კონსტიტუცია კარგად ჩაფიქრებული გეგმა იყო. ეს ორი კურდღლის დევნაა. თუ გამარჯვება „ნაციონალებს" დარჩებოდათ, მაშინ ოქტომბერში დასუსტდებოდა პრეზიდენტის ძალაუფლება და პრემიერის გაძლიერდებოდა, რაც ვისაც აწყობდა, ყველამ ვიცით. თუ წააგებდნენ არჩევნებს, მაშინ გადავიდოდნენ ოპოზიციაში და არ დაუტოვებდნენ ბერკეტებს ახალ ხელისუფლებას. 100 დღის შემდეგ კი შეეკითხებოდნენ, რა გააკეთეს. ეს ახლა უკვე ხდება. თუ წინა ხელისუფლება დაგეგმილ სტრატეგიას განახორციელებს, ახალ ხელისუფლებას პოლიტიკურად გააკოტრებს. „ნაციონალურმა მოძრაობამ" მოიგონა ბარიერები, ეს მათი ტაქტიკაა, წითელი ზღვარი გაავლეს. მოუწოდებენ – ახლავე განაცხადეთ, რომ ჩვენი გეზი ევროატლანტიკური სტრუქტურაა, არავითარი კავშირი რუსეთთან, თურქეთთან ჩვენ რაც მოვილაპარაკეთ, ის უნდა გააკეთოთ, ეს კონსტიტუციური შეთავაზებაც მსგავსი ბარიერია, არაფერი შეიცვლება. ეს არის ნაღმი ახალი ხელისუფლებისთვის". – აცხადებს ასლან აბაშიძე.

– რაც შეეხება კონსტიტუციაზე მუშაობას, ვხედავ, რომ დაიწყეს მოწვევა უცხოელი სპეციალისტების, რომლებიც იმუშავებენ კონსტიტუციაზე. მე არ მესმის, როგორ შეიძლება უცხოელი სპეციალისტი ჩამოიყვანო საქართველოში და დაავალო კონსტიტუციის შექმნა. კონსტიტუციის მოდელი არის ქვეყნის კარგად ცოდნა, მისი ტრადიციები, იმ ხალხის შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე, მისი პოლიტიკა. ისეთ სპეციალისტებს, რომლებმაც არ იციან, რა არის საქართველო და ჩამოიტანენ თავიანთ მოდელებს, როგორც ეს გააკეთეს სხვადასხვა ქვეყნებში, ეს მოდელი ჩვენ არ გამოგვადგება. მე მიმაჩნია, რომ საქართველოს ჰყავს ძალიან ბევრი კარგი სპეციალისტი, ის ადამიანები აქტიურად უნდა ჩაებან ამ საკითხებზე მუშაობაში. პირადად მე მზად ვარ, აქტიურად ჩავერთო ამ პროცესებში. მე მიმაჩნია, რომ თუ ჩვენ დღეს უფრო აქტიურად და უფრო მწვავედ არ ვისაუბრებთ ასეთ საკითხებზე, ხვალ შეიძლება გვიანი იყოს.

აბაშიძე საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ სიტუაციასაც შეეხო. მისი განცხადებით, საქართველოში პატიმართა უფლებების დარღვევის საკითხებზე არაერთხელ ყოფილა საკმაოდ მწვავე კრიტიკა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.

– დღეს, როდესაც ამ თემაზე თავისუფლად დაიწყო ლაპარაკი, მე მიმაჩნია, რომ ეს არის წინაპირობა იმისა, რომ რა შეცდომებიც იყო წარსულში ის შეცდომები გამოსწორდება. ხშირად ისმის ფრაზები, რომ საფრთხე ემუქრებათ დემოკრატიულ ინსტიტუტებს. მაინტერესებს, რომელი დემოკრატიული ინსტიტუტი იყო შექმნილი თუ სასამართლო არ არის დამოუკიდებელი, თუ პროკურატურა გადაიქცა გარიგების ინსტიტუტად, როდესაც გვყავს ამდენი პატიმარი, რა დემოკრატიულ ინსტიტუტებზე გვაქვს ლაპარაკი? არის ასეთი სტატისტიკა, რომ საქართველოში, 31 ათას მასწავლებელს აქვს ბანკში დავალიანება, თქვენ წარმოიდგინეთ, რა კატასტროფული მდგომარეობაა, სამწუხაროდ, ჩვენ ვიცით, რა არის გაჭირვება, კარგად ვიცით, რა არის ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და იმედია, იმ შესაძლებლობას, რაც დღეს ახალი მთავრობის სახით მოგვეცა, კარგად გამოვიყენებთ ამ ყველაფრის გამოსასწორებლად. – აცხადებს აბაშიძე.

რაც შეეხება რუსულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, სადაც რუსეთის ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით, ცხინვალის რეგიონის რუსეთის ფედერაციის საშემოსავლო და საგადასახადო სივრცეში ინტეგრაციის შესახებაა საუბარი, ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული საკითხი, რუსეთის ფედერალური ხაზინის უფროსის მოადგილემ, სტანისლავ პროკოფიევმა და ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკის პრემიერმინისტრმა სერგეი ტაკოევმა ცხინვალის რეგიონის რუსეთის ფედერაციის საშემოსავლო და საგადასახადო სისტემაში ინტეგრაცია განიხილეს. ამავე ინფორმაციით, პროკოფიევმა და ჩრდილო ოსეთის ხაზინის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, დაეხმარონ ცხინვალის რეგიონს სახაზინო დაწესებულების ჩამოყალიბებაში.

ასლან აბაშიძის განცხადებით, ეს არის ცრუ ინფორმაცია, რომელიც მიზანმიმართულად არის გავრცელებული.

– მე ამ ინფორმაციის ნამდვილობას გამოვრიცხავ, ეს არის ჭორი და რატომ, რუსეთს არ განუცხადებია, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი არის მისი ტერიტორიის ნაწილი, ამიტომ იურიდიულად შეუძლებელია ამ ყველაფრის განხორციელება.– აცხადებს აბაშიძე.

# იასონ ბესელია: „გამოიძიეთ, ვინ გასცა ბორის ივანოვის დაკავების ბრძანება“

შორენა გონგლაძე

საქართველოს სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსი, გენერალი ბორის ივანოვი მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის ბოლომდე გამოძიებას და 2006 წელს წარდგენილი ბრალის მოხსნას ითხოვს. როგორც ,,ივერონის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ბორის ივანოვის ადვოკატმა იასონ ბესელიამ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ წარდგენილ მუხლებს ამნისტია ეხება, ბრალდებული ამით სარგებლობას არ აპირებს და მას საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება სურს. – ბორის ივანოვი მოსკოვიდან 2006 წლის ზაფხულში დასთან სტუმრად ჩამოვიდა. მის წინააღმდეგ დაიგეგმა სპეცოპერაცია სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში. ,,სოდ“-ის თანამშრომლები სახლთან დილითვე შეიკრიბნენ, თუმცა აყვანის სპეცოპერაცია 6 საათზე დაიწყეს. სახლში შესულმა სამართალდამცველებმა ივანოვს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები ჩაუდეს და ასევე მისი მამის სახლის ჩხრეკისას ,,გეკოს“ ტყვიები ამოიღეს. მას ბრალი ორი მუხლით წაუყენეს, 236-ე და 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვა და საბრძოლო მასალის უკანონო შენახვა.

– მიუხედავად იმისა, რომ ბორის ივანოვს ათობით მოწმე ჰყავდა, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ აღნიშნული ნივთები მას ჩაუდეს, დღემდე ეს მოწმეები არავის დაუკითხავს. დაიკითხა მხოლოდ სამი მოწმე, რომლებმაც საქმეს არსებითად ვერაფერი შემატეს, ამჯერად ჩვენი შუამდგომლობა სასამართლომ დააკამაყოფილა და ათობით მოწმეს დაკითხავენ, – განაცხადა ადვოკატმა იასონ ბესელიამ. ადვოკატი მოითხოვს გამოძიებულ იქნეს, თუ ვინ გასცა ბორის ივანოვის დაკავების ბრძანება. როგორც თავად ბრალდებული აცხადებს, მის წინააღმდეგ ოპერაცია მაღალჩინოსნებმა დაგეგმეს, რომელთა ვინაობას ამ ეტაპზე არ ასახელებს.



იასონ ბესელიას ინფორმაციით, ბორის ივანოვი 2006 წლის დეკემბერში 100 ათასი ლარი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს და ამ პერიოდის შემდეგ ის მოსკოვში ცხოვრობს. მას გათავისუფლების შემდეგ ქართველმა მაღალჩინოსნებმა კატეგორიულად მოსთხოვეს საქართველოს ტერიტორიის დატოვება. ამასთან, მისივე თქმით, უმძიმესია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, არის ავთვისებიანი სიმსივნით და დიაბეტით დაავადებული, არ აქვს თირკმელი.

შეგახსენებთ, რომ 80-იან წლებში გენერალ ბორის ივანოვს სხვადასხვა წამყვანი თანამდებობები ეკავა ძალოვან უწყებებში. იყო თბილისის კრიმინალური პოლიციის უფროსი და სამხედრო პოლიციის ხელმძღვანელი. 90-იან წლებში მან საქართველო დატოვა და საცხოვრებლად რუსეთში გადავიდა, სადაც ასევე ძალოვან სტრუქტურებში წამყვან თანამდებობებზე მუშაობდა. ადვოკატი იმედოვნებს, რომ გამოძიება და სასამართლო იქნება ობიექტური და მისი დაცვის ქვეშ მყოფი საკუთარ სიმართლეს ამჯერად მაინც დაამტკიცებს.

# სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოში თანაუგრძნობს თანამშრომელ ნანა გახარიას ბებიის

**ლოლა მუშკუდიანი-ხალიანის**

გარდაცვალების გამო.



მეუღლე ნანა სილაგაძე, შვილი ივლიანე მუშკუდიანი, შვილიშვილი ლუკა მუშკუდიანი, და ნივრა მუშკუდიანი, დისშვილები გია და ნინო ახვლედიანები იუწყებიან

**ანზორ მუშკუდიანის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 19, 20 თებერვალს, კონიაკის დასახლება ილორის ქუჩა №23.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 21 თებერვალს, 14 საათზე, ღვთისმშობლის სახელობის (ილორის ქუჩაზე მდებარე) ტაძრიდან.

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უცხო ენების კაბინეტის გამგის ნანა ბუდაღაშვილის მეუღლის

**თამაზ სანებლიძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ააიპ სამგორი 1994-ის თანამშრომლები ვუსამძიმრებთ ჩვენს თანამშრომელს თამაზ ლეკიშვილს მეუღლის

**მანანა გურგენიძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# რაფაელ კორეა ეკვადორის პრეზიდენტად ხელმეორედ აირჩიეს

კვირას ჩატარებულ არჩევნებზე, ეკვადორის პრეზიდენტი რაფაელ კორეა კვლავ სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე აირჩიეს. როგორც ეკვადორის ტელევიზია იუწყება, ეგზიტპოლებმა აჩვენა, რომ მან ხმების თითქმის 59% დააგროვა. ნაციონალური საარჩევნო საბჭოს პირველმა ბიულეტენმა ეგზიტპოლის მონაცემები დაადასტურა. ხმების 10%-ის დათვლამ აჩვენა. რომ კორეას ხმა მისცა ამომრჩევლების 57%-მა. ასე რომ, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური საჭირო არ იქნება, – აღნიშნავს „იტარტასი“.



არჩევნებზე მეორე ადგილი დაიკავა ბანკირმა გილერმო ლასომ (24%), ხოლო მესამე – ქვეყნის ყოფილმა პრეზიდენტმა ლესიო გუტიერესმა (5,5).

ეკვადორის ახლანდელ არჩევნებზე ეგზიტპოლების ჩატარების ნებართვა პირველად გასცეს – გამოკითხვა საარჩევნო უბნებიდან გამოსვლისთანავე ხდებოდა. პოლიტიკური კომენტატორები აღნიშნავენ, რომ ეგზიტპოლებმა პრაქტიკულად ისეთივე შედეგები აჩვენა, რაც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ, რომელიც საარჩევნო კამპანიის დამაგვირგვინებელ ეტაპზე მოეწყო.

სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვებით, რაფაელ კორეა შვიდ მეტოქესთან უზარმაზარი უპირატესობით ლიდერობდა.

პრეზიდენტის გარდა, სამხრეთამერიკული რესპუბლიკის მცხოვრებლები ნაციონალური კონგრესის დეპუტატებს (ერთპარტიული პარლამენტი) და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობას ირჩევდნენ, პროვინციების პრეფექტებისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების ჩათვლით.

საარჩევნო სიებში შეყვანილი იყო 11,6 მილიონი ეკვადორელის სახელი; ამასთან, 18-დან 65 წლამდე რესპუბლიკის ყველა მცხოვრებისთვის არჩევნებში მონაწილეობა აუცილებელია.

# მალის, საფრანგეთის და ნიგერის სამხედროები ქალაქ ბურემში შევიდნენ

მალიში საგრძნობი შედეგები მოიტანა მიმდინარე ანტიტერორისტულმა ოპერაციამ სამთავრობო ძალების, ფრანგული სამხედრო კონტინგენტის, ასევე აფრიკული საერთაშორისო მისიის მონაწილეობით: მალის, საფრანგეთის და ნიგერის სამხედროები ქალაქ ბურემში შევიდნენ.

ეს ქვეყნის ჩრდილოეთში განლაგებული პირველი დასახლებული პუნქტია, ქალაქებს გაოსა და კიდალს შორის; ძალოვნები მას რადიკალური დაჯგუფებების მთავარ ბასტიონად თვლიდნენ, რომელიც მეზობელი რაიონებისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა. სამხედროების აზრით, სწორედ ბურემიდან იყვნენ ექსტრემისტები, რომლებმაც თებერვლის დასაწყისში გაოზე მოულოდნელი შეტევა განახორციელეს.

არსებული ინფორმაციით, სამი ქვეყნის საარმიო ქვედანაყოფს, დასახლებულ პუნქტში შესვლილას გართულება არ ჰქონია და მას ადგილობრივი ბრბო სიხარულის ყიჟინით შეხვდა.



სამხედროები მალევე კვარტალების წმენდას და ქუჩებში პატრულირებას შეუდგნენ. ამ დროისთვის, სამხედროების მთავარი ამოცანა, ბურემის ირგვლივ განლაგებულ რაიონებში უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

ამას გარდა, სამხედროები ზომებს იღებენ, რათა არ დაუშვან ექსტრემისტების უეცარი გამოხდომები, რომლებიც კარგად არიან შეიარაღებული და ადგილმდებარეობას შესანიშნავად იცნობენ.

ამასაობაში, ძალოვნების მონაცემებით, ექსტრემისტების ძირითადი ძალები, მათ შორის დაჯგუფებების მეთაურები, ამ დროისთვის იმალებიან ქვეყნის ჩრდილოეთში – კიდალის და ტესალიტის რაონებში, ასევე მთიან იფაგასში, რომელიც ალჟირს ესაზღვრება.

# ჰავაიზე გოგონამ ადამიანებისთვის სახიფათო ვეშაპთან ერთად გაცურა



მინიატურულმა ქერა გოგონამ არამარტო გაბედა დიდ თეთრ ვეშაპთან მიახლოება (რომელიც ადამიანებს თავს ესხმის), არამედ ფარფლებში ხელიც ჩაავლო და გვერდით გაცურა. ოუშენ რამსი ცხოველების უფლებების დამცველია, ამ აქციით შეეცადა ადამიანების ყურადღება იმისკენ მიეპყრო, რომ ამ სახეობის ვეშაპები კვდომის ზღვარზე იმყოფება.

როგორც მოგვიანებით უშიშარმა გოგონამ განაცხადა, თავიდან ის ვეშაპის შორიახლოს ცურავდა, მერე მშვიდად მიუახლოვდა, სახიფათო თევზს ხელი მოუთათუნა და მან საშუალება მისცა ხელი მოეკიდა და ერთად გაეცურათ. რამსის თქმით, ეს ჰგავდა ცხენებთან ურთიერთობის მის გამოცდილებას, იტყობინება „მეილ ონ სანდი“.

საოცარი ექსპერიმენტი კამერით გადაიღეს. ამ სახეობის ვეშაპები ცნობილია გიგანტური ზომით – მათი სიგრძე ექვს მეტრს, ხოლო წონა ორ ტონას აღწევს. ისინი ცოცხალი არსებებისთვის ყველაზე სახიფათო საზღვაო მტაცებლებად ითვლებიან. როგორც წესი, ვეშაპები ჭამენ თევზებს და საზღვაო ფრინველებს, მაგრამ ზოგჯერ ადამიანებსაც თავს ესხმიან.

როგორც ცხოველების უფლებადამცველმა აღნიშნა, ტელევიზიასა და ფილმებში ვეშაპების, როგორც კაციჭამიების ჩვენება, ადამიანებს აშინებს. სინამდვილეში ისინი ჭკვიანები არიან, ანგარიშიანნი და საერთოდ, ადამიანებს დიდი სიფრთხილით უახლოვდებიან.

რამსის თქმით, მან ვეშაპებთან ერთად ცურვა 14 წლის ასაკში დაიწყო. ჟანგბადის გარეშე მისი წყალქვეშ ყოფნის რეკორდი 5 წუთსა და 45 წამს შეადგებს. გოგონას თქმით, მისი მიზანი ადამიანების იძულებაა, რომ ამ მტაცებლებს სხვა თვალით შეხედონ და მათ პატივს სცემდნენ და არ ეშინოდეთ.

# მეტეორებმა ცა კუბაში, აშშ-ში, ბრიტანეთსა და გაერთიანებულ არაბთა ემირატებშიც გაანათეს

ჩელიაბინსკში „კოსმოსური შეტევის“ შემდეგ, ვრცელდება ინფორმაციები, რომ ცაზე ცეცხლოვანი ბუშტები ასევე შენიშნეს დიდ ბრიტანეთში, გაერთიანებულ არაბთა ემირატებში, აშშ-სა და კუბაშიც. კუბაში ისიც კი იგრძნეს, აფეთქებამ როგორ შეარყია შენობები.

ვიდეორეგისტრატორის წყალობით, სან-ფრანცისკოში მოკაშკაშე ბურთი კამერით გადაიღეს. სწრაფად მოძრავი ცეცხლი პარასკევს, დახლოებით რვა საათზე შენიშნეს, იტყობნეა „დეილი ნიუსი“.

მძღოლი და მისი თანამგზავრი მარტო არ ყოფილან, ვინც მოკაშკაშე ბურთი დაინახა. „ის ჯერ ღია მწვანე იყო, როდესაც გამოჩნდა, მერე მოყვითალო გახდა. უბრალოდ გასაოცარი სანახაობა იყო!“, – განაცხადა კენდის გურუვაიამ, რომელმაც ეს ყველაფერი სან-ხოსედან დაინახა.



თავისუფლების კუნძულის მცხოვრებლები ასევე ამის მოწმენი გახდნენ და საკუთარ თავზეც კი განიცადეს კოსმოსური სხეულის გავლენა, აღნიშნავს „კუბასი“. 15 თებერვალს გამოცემა იტყობინებოდა, რომ ქალაქ როდოსთან დაეცა მეტეორიტი. ადგილობრივებმა განაცხადეს, რომ აფეთქების ხმაც გაიგეს.

„ჩემი სახლი მთლიანად შეზანზარდა. ასეთი უცნაური ხმები არასოდეს გამიგია“, – აცხადებს თვითმხილველი „ვოის ოფ რაშასთან“ საუბრისას.

„ნასა“ კომენტარს არ აკეთებს დაკავშირებულია თუ არა კუბის, აშშ-ს და ბრიტანეთის მოვლენები ურალის (ჩელიაბინსკის) შემთხვევასთან. ჯერჯერობით ამერიკელი ასტრონომები აღნიშნავენ, რომ ჩელიაბინსკის მეტეორიტს, 15 თებერვალს დედამიწასთან რეკორდულ სიახლოვეს ჩავლილ მსხილ ასტეროიდთან კავშირი არ აქვს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# TV პროგრამა

**სამშაბათი 19 თებერვალი**

**06.30** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** „ჩვენი დილა„ **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30** „მოამბე„ **11.00** „სამოთხის ვაშლები„ **12.45** „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია **13.30** „დღეს ორის ნახევარზე„ **15.00** დ/ფ „ძვლების მკვლევარები„ **18.00** „პეპე და მეგობრები„ **19.05** ტ/სერ „რესტავრატორი„ **21.00** ტ/სერ „პური და თავისუფლება„ **22.00** „აქცენტები„ **23.40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: არსენალი — ბაიერნი (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა„ **01.50** მხ/ფ „სიყვარულის სურნელი„ (მ. რაიანი)

**08.00** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00** „ბრიფინგის დრო„ **11.00, 16.00** დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 1-2 ნაწ. **14.00** დ/ფ „სამხედრო საზღვაო შიარაღება„ **19.00** ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ **22.00** „თავისუფალი ტრიბუნა„ **00.00** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. „იღბლიანი მოახლე„ **11.20** სერ. „მაფიის ქვრივი„ 2 სერ. **13.00** სერ. „გაქცევა– 4„ **14.40** სერ. „24 – 5„ **15.40** სერ. „დამალული სიმართლე„ **17.50** სერ. „თილისმა„ **18.50** სერ. „სახიფათო ვნება„ **21.00** სერ. „მარტოსული„ **22.00** კონცერტი. „ჯემალ სეფიაშვილი„ **01.05** სერ. „ღვინის გზა„ **01.40** მხ/ფ “ჯარისკაცები“ (დ. ლუნდგრენი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. „სიყვარული მშვენიერია„ **11.00** სერ. „იდუმალი ქალი„ **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** „შუა დღე„ **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ.„ვნების უფსკრული„ **18.45** სერ. „მგზნებარე გული„ **20.05** სერ. „ღირსება და ამბიცია„ **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** „ნანუკას შოუ„ **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ „ველური ბუნება„ **06.35** სპექტაკლი „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება„ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** „განთიადი„ **10.00, 18.05, 21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.35** საქართველოს ისტორია **10.55** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** დრო და ტრადიციები **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ „ძმა„ **13.30** კონცერტი-ანა-სოფია მუთერი **14.50, 18.35, 23.15** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ „ველური ბუნება„ **15.55** დოკ/ფ „მირონმდინარე ხატები„ **16.20** აქტუალური თემა **16.40** დოკ/ფ „რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა„ **17.40** დოკ/ფ „კადრს მიღმა„ **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** შარავანდედი (გად. 8) **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.20** დოკ/ფ „უჯარმის პატარა სახლი„ რ. ინანიშვილი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.45** კარაბადინი

მაესტრო **7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 8.20, 9.15, 10.30, 11.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 3.35, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ახალი ამბები **12.00** ახალი ამბები 12 საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები 3 საათზე **18.00** ახალი ამბები 6 საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0.30** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ **20.05, 1.40** თოქ-შოუ „არგუმენეტები„ **21.00** ახალი ამბები 9 საათზე **22.00, 1.20** ყოველდღიური აბები **22.20, 2.00** თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ **0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


19 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6568 |
| ევრო | 2,2097 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5685 |
| 100 რუსული რუბლი | 5,5018 |

## ამინდის პროგნოზი 19 თებერვლისთვის





# მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 1
უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 2
VI-XI საუკუნეები

22 თებერვლიდან გაიყიდება
პირველი და მეორე ტომები
1 მარტიდან
მესამე ტომი
5 მარტიდან
მეოთხე ტომი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 4
XVII-XX საუკუნეები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 3
XII-XVI საუკუნეები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55


## ასტროპროგნოზი
19 თებერვლისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
წარმატებული დღეა

**ვერძი** – სახლში დიდი სიხარული გელით, მოემზადეთ. **კურო** – ფული გაქვთ, შენაძენი გაგამხიარულებთ. **ტყუპები** – თქვენი საქმე წინ მიდის, გელით საჩუქარი. **კირჩხიბი** – არ იჩქაროთ, საქმე მშვიდად აკეთეთ. **ლომი** – პატარა პრობლემას ადვილად გადალახავთ. **ქალწული** – ფული არ გაქვთ, მაგრამ მალე გექნებათ. **სასწორი** – ყველაფერი ისე იქნება, როგორც დაგეგმეთ. **მორიელი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მშვილდოსანი** – ყურადღების ცენტრში ხართ, ეს მდგომარეობა ძალიან მოგწონთ. **თხის რქა** – დაისვენეთ და ენერგის მყისვე აღიდგენთ. **მერწყული** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმე კარგად წაგივათ. **თევზები** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

შვეულად: 1. გალაქტიონ და ტიციან ტაბიძეების მშობლიური სოფელი; 2. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. საჭმლის მომნელებელი შინაგანი ორგანო; 5. მოყვითალო, წვრილი წინწკლები სახეზე, ხელებზე; 6. მინერალური წყალი იმერეთში; 7. სიახლის შემოტანა რაიმე საქმეში; 11. წითელყურძნოვანი ვაზის იტალიური ჯიში; 13. მძიმე, გარდამავალი პერიოდი; 14. ჰუნების ბელადი; 15. ეკლესია თბილისში; 16. ძვირფასი სარეწაო თევზი; 17. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 19. ჭრელი ძვირფასი ქვა, კვარცის ნაირსახეობა; 20. ხის ქოშები.

თარაზულად: 1. მაგიდის სათამაშო; 4. მწვადის შეწვისას წვეთ-წვეთად ჩამოჟონილი ცხიმი; 8. დაბლობ ადგილებში დამდგარი, დამყაყებულ-წყლიანი ტერიტორია; 9. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ერთ-ერთი რელიგია; 12. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საფრანგეთში; 14. ქართული გაზეთი; 15. უეცრად ამოვარდნილი ძლიერი ქარი; 16. მოხარშული ზეთი სალებავების და ლაქების დასამზადებლად; 18. საწვავი სითხე; 21. სახელმწიფო ევროპაში; 22. ბანქოს სათამაშო სპეციალური მაგიდა; 23. გასეირნება ქალაქგარეთ ბუნების წიაღში დროის გასატარებლად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



# ტეხასში ვარსკვლავები შეიკრიბნენ



ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში ნბა-ს „ყველა ვარსკვლავის“ მატჩი გაიმართა და დასავლეთის ნაკრებმა საკუთარ ტერიტორიაზე აღმოსავლეთს დაძაბულ ბრძოლაში 143:138 მოუგო.

უპირატესობა მაინც დასავლეთის გახლდათ, რადგან სეზონის მვპ-ის კანდიდატი კევინ დურანტი ბლომად იხვეჭდა ქულებს, კრის პოლი ჩვეულად არიგებდა პასებს, კობი ბრაიანტი აკურატულად ისროდა. სამაგიეროდ, სრულად ჩააგდო მატჩი აღმოსავლეთის უდავო ლიდერმა ლებრონ ჯეიმსმა. არ გაამართლა სასტარტო ხუთეულში ერთბაშად სამი „მაიამელის“ დაყენებამაც.

ყველაფერი ბოლოში გადაწყდა, როდესაც 132:126-ზე ჯერ კრის პოლმა ჩააგდო ზუსტი სამქულიანი, შემდეგ კობი ბრაიანტმა და ჯეიმს ჰარდენმაც ზუსტად გაისროლეს საშუალო დისტანციებიდან და დასავლეთი შეხვედრის დასრულებამდე 2:30-წუთიით ადრე 10 ქულიანი ჰანდიკაპით გაიჭრა წინ. კარმელო ენტონიმ და პოლ ჯორჯმა სცადეს სიტუაციის გამოსწორება, მათ უმოკლეს დროში 5 ქულაც ჩააგდეს, მაგრამ პოლმა მორიგი სამიანი ჩასვა, შემდეგ ერთი საჯარიმოც გამოიყენა და დასავლეთის ნაკრებს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა 143:138.

მატჩის მვპ სრულიად შესაძლებელი გახლდათ შეხვედრაში ორივე გუნდის შემადგენლობაში ყველაზე მეტი ქულის ჩამგდები კევინ დურანტი გამხდარიყო (30 ქულა), თუმცა კრის პოლის ბოლო წუთებზე ჩადენილმა გმირობებმა უდიდესი როლი ითამაშა და ახალგაზრდა გამთამაშებლი (ორმაგი დუბლი 20 ქულა+15 მოხსნა) მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

დასავლეთის ნაკრები: პოლი (20ქ, 15მ), ბრაიანტი (9ქ, 8პ), ჰოვარდი (9ქ, 7მ), გრიფინი (19ქ), დურანტი (30ქ); დანკანი (2ქ), პარკერი (13ქ, 5პ), ჰარდენი (15ქ), რენდოლფი (6ქ), ვესტბრუკი (14ქ), ლი (6ქ), ოლდრიჯი

აღმოსავლეთის ნაკრები: ვეიდი (21ქ, 7პ), ენტონი (26ქ,12მ), გარნეტი, ბოში (6ქ), ლებრონი (19ქ); ჩენდლერი (7ქ,8მ), ირვინგი (15ქ), დენგი (10ქ), ჯორჯი (17ქ), ნოა (8ქ,10მ), ჰოლიდეი (6ქ), ლოპესი (3ქ).

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ქველმოქმედება სოფიკო ჭიაურელის სახელით

ეკა ირემაშვილი

2 მარტი ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავის – სოფიკო ჭიაურელის გარდაცვალების დღეა. ამ თარიღთან დაკავშირებით, თბილისის საკონცერტო დარბაზში ფონდი „იავნანა“ საქველმოქმედო ტელემარათონს გამართავს და მას თავისი ერთ-ერთი პირველი მხარდამჭერის ლეგენდარული სოფიკო ჭიაურელის 75 წლის იუბილეს მიუძღვნის. მიუხედავად იმისა, რომ სოფიკო ჭიაურელს დაბადების დღე 21 მაისს აქვს, „იავნანამ“ საიუბილეო თარიღს დაასწრო და გადაწყვიტა, სოფიკო ჭიაურელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო მისი გარდაცვალების დღეს ჩაატაროს.

სოფიკო ჭიაურელი მიხეილ ჭიაურელისა და ვერიკო ანჯაფარიძის შვილია. ამიტომ არავისთვის აღმოჩნდა გასაკვირი, როცა მან პროფესიის არჩევანი გააკეთა და მსახიობობა გადაწყვიტა. მსახიობის დედა ვერიკო ანჯაფარიძე ხელოვნების ინგლისურმა აკადემიამ მეოცე საუკუნის საუკეთესო მსახიობი ქალების ათეულში შეიყვანა. სოფიკო ჭიაურელმა თავისი მოღვაწეობის პერიოდში თეატრსა და კინოში 100-ზე მეტი როლი შეასრულა. სადებიუტო კინოროლი მისთვის რეზო ჩხეიძის ფილმი „ჩვენი ეზო“ გახდა, რომელსაც დაემატა ფილმები „ვერის უბნის მელოდიები“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „არ დაიდარდო“, „ნატვრის ხე“. მსახიობი აქტიურად თანამშრომლობდა სერგო ფარაჯანოვთან და ხშირად სოფიკო ჭიაურელს მის მუზასაც უწოდებდნენ.

სოფიკო ჭიაურელს თავდაუზოგავი შრომა დაუფასდა და მრავალი ჯილდო მიიღო. მსახიობი ჯერ საქართველოს სახალხო არტისტი გახდა, მოგვიანებით კი სახალხო არტისტის წოდება სომხეთში მიანიჭეს. ლოკარნოს საერთაშორისო ფილმის ფესტივალზე სოფიკო ჭიაურელს საუკეთესო მსახიობის ტიტული ერგო. იგი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრიზის მფლობელიც იყო, რაც იმ დროისთვის ძალიან დიდ აღიარებას ნიშნავდა. სოფიკო ჭიაურელმა საერთაშორისო ფესტივალებზე რვაჯერ მიიღო პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, მიენიჭა სახელმწიფო პრემია, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია, ღირსების ორდენი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემია, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია, ნინო ჩხეიძის სახელობის პრემია და დასახელდა „ეკრანის დედოფლად“, რასაც ვერა ხოლოდნაიას სახელობის პრემიის მინიჭება მოჰყვა.




რაც შეეხება თეატრს, სოფიკო ჭიაურელი მცირე დროით რუსთაველის თეატრში მოღვაწეობდა, თუმცა შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში დაიწყო მუშაობა და არაერთი დაუვიწყარი პერსონაჟი შექმნა. თეატრალები ყოველთვის აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებულად ღირებულია სპექტაკლები „ეზოში ავი ძაღლია“, „მე ვხედავ მზეს“, „ანა კარენინა“, „ურიელ აკოსტა“, „კაცია ადამიანი“, „იადონას თეატრი“.

სოფიკო ჭიაურელი პირველად

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ლურჯი ნითელი ყვითელი შავი